



ი. კოჭლამაზაშვილი, თ. დოლიძე

წმინდა გრიგოლ ნოსეფის თხზულებათა
შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგის, ბიზანტინისტიკისა და
ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი
პატრისტიკული კვლევის საერთაშორისო ასოციაციის
ქართული სექცია

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies
International Association of Patristic Studies (IAPS)
Georgian Section

პატრისტიკული კვლევა საქართველოში
გ. I

Patristic Studies in Georgia

Vol. I

პროგრამა „ლოგოსი“

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

სერიის მთავარი რედაქტორი
თინა დოლიძე

Series Editor-in-Chief
Tina Dolidze

სარედაქციო საბჭო

ქეთევან ბეზარაშვილი
გურამ თევზაძე
ექვთიმე კოჭლამაზაშვილი
თამარ ოთხმეზური

Editorial Board

Ketevan Bezarashvili
Guram Tevzadze
Ekvtimé Kochlamazashvili
Tamar Otkhmezuri

გარეკანზე – წმ. გრიგოლ ნოსელი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 648 ხელნაწერი (1030 წ., ეფთვიმე მთაწმიდელის „მცირე სვინაქსარი“)

დიზაინი: ალექსანდრე ჯიქურიძე

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13
0179 თბილისი

ტელ.: 25-02-58, ფაქსი: 22-11-81

ელ. ფოსტა: greekstudies@caucasus.net

წმ. გრიგოლ ნოსელის
თხზულებათა შემცველ
ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ხელნაწერები აღწერეს,
შესავალი და საძიებლები დაურთეს
მაკავშირის კოფერაციაშვილმა და თინა დოლიძემ

Description of Georgian Manuscripts
including
St. Gregory of Nyssa's works

Description, Introduction and Indices by
Ekvtimé Kochlamazashvili and Tina Dolidze

თბილისი 2009 Tbilisi

წინამდებარე გამოცემით იწყება სერია „პატრისტიკული კვლევა საქართველოში“, რომელიც დაფუძნებულია პატრისტიკული კვლევის საერთაშორისო ასოციაციის (IAPS) ქართული სექციის მიერ. ამ სერიით განზრახულია, დაინტერესებულ მკითხველს მიეწოდოს სამეცნიერო ძიებანი ქრისტიანულ სიძველეთა, განსაკუთრებით კი ეპლების მამათა შემოქმედების შესახებ: ამ დარგის პრობლემატიკის ამსახველი მონოგრაფიული ნაშრომები, სამეცნიერო სტატიებისა და კონფერენციის მასალების შემცველი კრებულები და პატრისტიკული ძეგლების ძველ ქართულ თარგმანთა პუბლიკაციები.

სერიის პირველი ტომი, რომელსაც ამჟამად ვთავაზობთ მკითხველს, მიზნად ისახავს, მონიურავიულად შეისწავლის ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის წმ. გრიგოლ ნოსელის (IV ს.) შემოქმედების ქართული ვერსია, როგორადაც ის წარმოდგენილია ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში. ხსნებული ავტორის ცალკეულ თხზულებებს ქართველი მკითხველი უძველესი დროიდან იცნობს. პირველი (ანონიმური) თარგმანები VIII ს-და X ს-ის I ნახევრამდე შეუსრულებათ, X-XI სს-ში კი წმ. გრიგოლის შემოქმედების დიდი ნაწილი თარგმნეს საუკეთესო ქართველმა მთარგმნელებმა – ეფთვიმე და გორგი მთაწმილელებმა, ეფრემ მცირემ და არსენ იყალთოელმა. ბიბლიოგრაფიული ცნობები წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ გაბნეულია სხვადასხვა კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობებსა და კვლევით ნაშრომებში. არსებობს რამდენიმე სპეციალური კატალოგიც (პ. კეჭელიძე, გ. ფერაძე, ნ. მელიქიშვილი). წინამდებარე აღწერილობა თავს უყრის, ავსებს და აზუსტებს ამ საკითხზე არსებულ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს უკანასკნელი გამოკვლევების გათვალისწინებით.

რედაქტორი

ნინო მელიქიშვილი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

IV საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო მწერალი, ღოგმატური ღმრთისმეტყველების, მისტიკის, სიტყვაკაზმული მქადაგებლობისა და ბიბლიური ეგზეგატიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი წმიდა გრიგოლ ნოსელი (დაახლ. 331-394 წწ.) შეა საუკუნეებში გაიცნო ქართველმა მკითხველმა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა ქართულად ითარგმნა წმიდა მამის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი თხზულება. ისინი უთარგმნიათ ისეთ გამოჩენილ ღმრთისმეტყველთ, როგორიც იყვნენ ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე, სტეფანე სანანოსძე და სხვ. ზოგიერთი თხზულება ორჯერ და სამჯერაც თარგმნილა.

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა უძველეს (X ს-ის II ნახევრამდელ) ქართულ თარგმანებად ითვლება „კაცისა აგებულებისათუს“¹ და ფრაგმენტულად შემორჩენილი საკითხავი „შობისათუს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისი და წმიდისა სტეფანშითუს“². ასევე, ათონამდელი თარგმანი უნდა იყოს „განმარტებად სიტყუსად მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“. დანარჩენი თარგმანები კი ქართულად ათონურ და პოსტათონურ პერიოდში გადმოუღიათ.

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა ქართულად თარგმნაში უდიდესი წვლილი მოუძღვის ქართული მთარგმნელობის ორბურჯეს – ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელებს. ბიბლიოგრაფიუ-

1 ი. აბულ აბე, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთამსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათუს“, თბ., 1964. ამ ძეგლის მეორე გამოცემა იხ.: შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილ მა და ელ. გიუნაშვილ მა, თბ., 1979.

2 ი. აბულ აბე, „მრავალთავი“ (ტექსტები), ნაკვეთი პირველი, მისსავე კრებულში: შრომები III, თბ., 1982, 80.

ლი ცნობები ორივე ათონელი მამის მიერ წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა თარგმნის შესახებ დაცულია მათ ბიოგრაფიებში,¹ მაგრამ არასრულად.² დღევანდლამდე მოღწეული ხელნაწერებიც ძალზე იშვიათად უთითებენ ავტორის ვინაობას. ამის გამო ზოგიერთი თარგმანის მიკუთვნება ამა თუ იმ მთარგმნელისადმი – ჯერ კიდევ პრობლემურია.³

1 ძევლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელი შვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ჭურციკიძემ, ც. ჭანკივეგმა და ც. ჯლამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციონთ, თბ., 1967, 38-100, 101-207.

2 ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანებში გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან მოხსენიებულია: „(1) შესხმად მმისა თქსისა დიდისა ბასილისი და (2) ქალწულებისათვეს და (3) წმიდისა მამაო ჩუენოვასა თარგმანი და (4) წმიდათა მარხვათათვეს და (5) წმიდისა მოსე წინააღმდარმეტყუელისა ცხორებისა თარგმანი, სახედ დაყუდებისა, რომელი მმასა ვისმე ეთხოა“ [ძეგლები 1967: 63], გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაში კი ზოგადადა ნახსენები „წიგნი გრიგოლ ნოსელი ა, რომლისა შუენიერებამ და ქებამ ზეშთა არს ყოვლისა მითხრობისა“ [ძეგლები 1967: 147]. საკუთრივ რომელი თხზულებები იგულისხმება ამ „წიგნში“ – ბიოგრაფი არაფრეს გვაუწყებს. ხელნაწერებში შემორჩენილი მთარგმნელის სუული ანდერძების მიხედვით დაბეჭითებით გიორგის სუულად შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ „დაბადებისათვეს კაცისა“, „პასუხი ექვსთა მათ დღეთათვეს“ და „თარგმანებად ქებისა ქებათავსად“. უფრო მცირე გვაუწყებს გიორგი მთაწმიდელის მიერ წმ. გრიგოლ ნოსელის კიდევ ორი თხზულების თარგმნას („შემძინავისათვეს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა“ და „გრიგოლ საკვირველომოქმედის ცხოვრება“), მაგრამ რადგანაც უფრომს საშუალება ვერ მიეცა, უშუალოდ გასცნობოდა ამ თარგმანებს, და მათი გიორგის სუულობა მხოლოდ ქურმოკვრით იცოდა, ამიტომაც მისი ბიძლიოვრაფიული ცნობა ასოლუტურად სანდო არ შეიძლება იყოს.

3 ტექქსტოლოგიური კვლევის შედეგად ამას წინათ მოხერხდა ორი ანონიმური თარგმანის („სიტყუად სწავლისა და მოძღურებისა“ „წმიდისა სამებისათვეს, რომელსა შინა მოიკენებს აბრაკამს“) მიკუთვნება ეფთვიმე მთაწმიდელისადმი (თ. დოლიძისა და ე. კოჭლამაზაშვილის გამოკვლევებით). ისინი აქმდე საკარაულოდ გიორგი მთაწმიდელის თარგმანებად მიიჩნეოდა (კ. გეგლიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, მის სავე კრებულში: ეტიუდები V, თბ., 1957, 29). სხვა თარგმანების ატრიბუცია კვლავ მომავლის საქმედ რჩება.

ეფთვიმესა და გიორგის შემდეგ წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებებზე აღარავის უმუშავია ამ მასშტაბით. ეფრემ მცირემ თარგმნა ორი საკითხავი („სიტყუად შობისათვის უფლისა ჩუენისა იქსუ ქრისტესისა და ჩჩულთათვს, ბეთლემს მოწყუედილთა“, „ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ყოვლადქებულისა გრიგოლი საკურველმოქმედისად“), არსენ იყალთოელმა კი – „ეპისტოლე კანონიანი ლიტოს მიმართ ეპისკოპოსისა მელიტინელთადას“ და მცირე ექსცერპტები გრიგოლ ნოსელის რამდენიმე თხზულებიდან, როგორც შემადგენელი ნაწილი წმ. იოანე დამასკელის კომპილაციური ნაშრომისა – „გამოკრებანი წამებათანი“.

ეს უკანასკნელი სავსებით შეუსწავლელი იყო ბოლო დრომდე. ამიტომაც მას შეცდომით აიგივებდნენ წმ. იოანე დამასკელის სხვა კომპილაციურ ნაშრომთან – De Sacris Parallelis (PG t. 95, col. 1040-1588; t. 96, col. 1-442). ორი თხზულების შედარებამ ცხადყო, რომ ისინი სრულიად სხვადასხვა ძეგლებია.¹

„გამოკრებანი წამებათანი“ დოგმატური შინაარსის ექსცერპტების სისტემურ გამოკრებას წარმოადგენს, რომელშიც წმიდა მამათა თხზულებებიდან ამოღებული ამონარიდები დაჯგუფებულია თემატიკის მიხედვით. კომპილაციური ნაშრომი 31 თავს მოიცავს (ზოგიერთ ხელნაწერში 31-ე თავი თხზულების მირითადი ნაწილისაგან მოშორებით, „დოგმატიკონის“ სხვა ნაწილშია გადატანილი, ზოგან კი სრულიად დაკარგულია).

„გამოკრებანის“ ერთი ნაწილის (გრიგოლ ნაზიანზელის პომილიათაგან გამოკრებული ექსცერპტების) შესწავლას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა დ. შენგელიამ.² მანვე გამოაქვეყნა

1 ნ. ჩიკვატია, ანტიმონოთელიტური თხზულებები ძველ ქართულ მწერლობაში: მაცნე, ელს, № 3, 1992. დ. შენგელია, იოანე დამასკელის მხოლოდ ქართული თარგმანით ცნობილი თხზულება „გამოკრებანი წამებათანი“: მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი) XXI (თბ., 2005), 85-101. დ. შენგელია, ეკუთვნის თუ არა „გამოკრებანი წამებათანის“ თარგმანი არსენ იყალთოელს? ლდ (თბ., 2006), 61-82.

2 დ. შენგელია, გრიგოლ ნაზიანზელის პომილიები, როგორც ერთ-

„გამოკრებანის“ შედგენილობის ნუსხა ნაწილობრივ.¹

რადგანაც „გამოკრებანში“ სხვა ავტორებთან ერთად საკმაოდ ხშირადაა ციტირებული წმ. გრიგოლ ნოსელი, ამიტომაც ამ ავტორის ბიბლიოგრაფიის შესაღენად საჭირო შეიქნა ხსენებული კომპილაციის სრული აღწერილობის შედგენა, რასაც დანართად ამავე წიგნში ვთავაზობთ მკითხველს.

გრიგოლ ნოსელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანების ბიბლიოგრაფია პირველად შეაღინა კორნელი კეპელიძემ,² შემდევ იგი შეაგროვ გრიგოლ ფერაძემ,³ მოგვიანებით კი – ნინო მელიქიშვილმა.⁴

ბოლო ოცი წლის განმავლობაში წმ. გრიგოლ ნოსელის შემოქმედებას ქართველ მკვლევართა მრავალი შრომა მიეძღვნა. მათ შორისაა ტექსტების პუბლიკაციები, სტატიები და მონოგრაფიები.⁵ კვლევითმა მონაპოვარმა ახალი ცნობებით გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ამ ავტორის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ. წინამდებარე აღწერილობის ავტორებმა მიზნად დაისახეს წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიული ცნობების თავ-

ერთი წერტილი „დოგმატიკონში“ დაცული თხზულებისა „გამოკრებანი წამებათანი“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2006.

1 დ. შენგელია, „დოგმატიკონში“ დაცული თხზულების „გამოკრებანი წამებათანის“ შედეგნილობა: გელათის მეცნიერებათა აკადემიის უკრნალი, 5 (ქუთაისი, 2006), 54-59.

2 კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში: მისსავე კრებულში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაზე V, თბ., 1957, 5-114.

3 G. Peradze, Die alt-christliche Literatur in der georgischen Überlieferung: OC, III, B. 5, Leipzig (1930), 91-93.

4 ნ. მელიქიშვილი, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზარზელის, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის პომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე, თბ., პროგრამა „ლოგოსი“, 2000.

5 ქართველ მკვლევართა შემოქმედებითი აქტივობა ასახულია ჩვენს წერილში: გრიგოლ ნოსელის შემოქმედების კვლევა საქართველოში: ბიზანტიონოგრად საქართველოში (რედაქტორები: ნ. მახარაძე, თ. დოლიძე), თბ., 2007, 90-101.

მოყრა, შევსება და დაზუსტება საკითხის ირგვლივ არსებული უკანასკნელი გამოკვლევების გათვალისწინებით.¹

წინამდებარე აღწერილობა გამოკრებითი ხასიათისაა: მასში დაწვრილებითაა აღწერილი მხოლოდ წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა 4 კრებული (Ath. 49, A 55, A 108, Ath. 14), სხვა ხელნაწერები კი, რომლებშიც წმ. გრიგოლ ნოსელის თითოროლა თხზულება გვხვდება, დახასიათებულია ზოგადად; მათი შედგენილობიდან სახელდებით მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ავტორის საკითხავები გვაქვს ჩამოთვლილი.

ჩვენს აღწერილობაში პირველად ფიქსირდება იდენტიფიკაცია გრიგოლ ნოსელის თხზულებათა აღნიშნულ კრებულებში და სხვა ხელნაწერებში შემორჩენილი აქამდე დაუდგენელი თავნაკლული ფრაგმენტებისა; პირველადაა თავმოყრილი ბიბლიოგრაფიული ცნობები „გამოკრებანსა“ და „დოგმატიკონის“ სხვა ადგილებში გაძნეული ნოსელისეული ექსცერპტების შესახებ; გარკვეულია ზოგიერთი საეჭვო თხზულების ავტორი; დადგენილია ზოგიერთი ანონიმური თარგმანის ატრიბუცია.

წმ. გრიგოლ ნოსელის ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერთა გამოკრებითი აღწერილობა და ბიბლიოგრაფიული საძიებელი, ვფიქრობთ, ჯეროვან დახმარებას გაუწევს გრიგოლ ნოსელის შემოქმედებით დაინტერესებულ მკვლევართ.

1 დაბეჭდილი შრომების გარდა ვიყენებთ ლ. ხევსურიანის მიერ შედგენილ, და ჯერჯერობით გამოუქვეყნებულ აღწერილობას ათონური ხელნაწერებისა – №№ 14, 39, 49. ამ ნაშრომში რ. ბლეიკისეული აღწერილობის მრავალი ხარვეზია შევსებული, რასაც ქვემოთ საგანგებოდ აღნიშნავთ.

2 ანალოგიური პრინციპითაა აგბაზული წმ. გრიგოლ ნაზანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი ო. ბრეგაძის მიერ (თბ., 1988). წინამდებარე აღწერილობაში წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა დასაწყისებსა და დაწვრილებით ბიბლიოგრაფიულ ცნობებს თითოეული ხელნაწერის ფარგლებში არ ვუთითებთ გარდა საგანგებო შემთხვევებისა. დასაწყისებით, ჩვეულებრივ, მითითებული გვაქვს სხვა ავტორთა თხზულებები, რომლებიც გრიგოლ ნოსელის თხზულებათა კრებულებშია შეტანილი. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა დასაწყისები კი თავმოყრილი გვაქვს ცალკე, ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში (გვ. 199-228).

წმ. გრიგოლ ნოსელის
თხზულებათა შემცველ
ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

I. წმ. გრიგოლ ნოსელის
თხზულებათა კრებულები

ათონის მთის ქართველთა მონასტრის (ივირონის)
№ 49

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა კრებული

XI ს.; რ. ბლეიკის მიერ № 49-ით აღწერილი ათონური ხელნაწერი [ბლეიკი 1933-34: 240-243] ა. ცაგარელის კატალოგში გარკვევით არ ჩანს.

რ. ბლეიკის აზრით, ხელნაწერში თავმოყრილი თარგმანები ეკუთვნის წმ. გიორგი მთაწმიდელს და მისივე ავტოგრაფი უნდა იყოს (XI ს-ის შუა ხანები).

შეიცავს პერგამენტის 207 ფურცელს, ზომებით $24,5 \times 18,5$ სმ.; ნაწერია ყავისფერი მელნით ნუსხურით ერთ სვეტად. სა-თაურები და საზედაო ასოები – ასომთავრულით, სინგურით. ნაწერი არე – დაახლ. 23×18 სმ.; თითოეულ გვერდზე 50 სტრიქონია. ჩვენს ხელთ არსებულ ფოტოპირებში ხელნაწერი პაგინირებული არ არის.

ტექნიკური მონაცემები მოგვყავს რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით. ხელნაწერი აღწერეს აგრეთვე ლ. ხევსურიანმა და ლ. შათირიშვილმა [ხევსურიანი 2000; შათირიშვილი 2004: 57-58], ხოლო ტიპოლოგურად დაახასიათა 6. მელიქიშვილმა [მელიქიშვილი 2000: 62-68].

ხელნაწერი თავბოლონაკლულია. Ath. 14-ის ზანდუქზე დაყრდნობით, რამდენადაც იგი ასახავს არა Ath. 14-ის საკითხავ-

თა თანამდევრობას, არამედ Ath. 49-ისას, ნ. მელიქიშვილი ასკვნის, რომ ამ ხელნაწერის დასაწყის ნაწილში დაკარგული უნდა იყოს სამი საკითხავი: „სიტყუად სწავლისა და მოძღვრებისამ“, „ცხორებისათვის დისა თვისისა მაკრინადსა“ და „მიებამ სულისათვის“ [მელიქიშვილი 2000: 64-65]. ხელნაწერის შემორჩენილი ნაწილი კი შეიცავს შემდეგ თხზულებებს:

1. „თარგმანება მომიჯნისამ“ 1r-11v.

შენიშვნები: 1. ტექსტი თავნაკლულია. ერთი ფურცელი აქლია შუაშიც (მე-6 და მე-7 ფურცლებს შორის). პირველი ფურცლის შემცველობა ვერ განვსაზღვრეთ ჩვენს ხელთ არსებული ფოტოპირის უხარისხობის გამო. მე-2 ფურცლის ტექსტი იწყება თხზულების V თავის საწყის ნაწილში. 2-6 ფურცლები შეიცავენ V და VI თავების დიდ ნაწილს, 7-11 ფურცლები – VII თავის დიდ ნაწილს და VIII თავის მთლიანად. მაშასადამე, მე-6 და მე-7 ფურცლებს შორის დაკარგული ფურცელი შეიცავდა VI თავის დასარულსა და VII თავის დასაწყისს.

2. ქართული თარგმანის ტექსტი გამოცემულია ე. კოჭლამაზაშვილის მიერ [კოჭლამაზაშვილი 2004-ა: 198-285]. ამ გამოცემაში გამოყენებულია Ath. 49-ში დაცული ფრაგმენტებიც. მისი ვარანტები აქ აღნიშნულია A ლიტერით. Ath. 49-ის ფრაგმენტების შესატყვის ტექსტს გამოცემაში უკავია 242-262 და 267-285 გვერდები.

რ. ბლეიკის აღწერილობაში იდენტიფიცირებულია „მომიჯნის თარგმანების“ ფრაგმენტთა ერთი ნაწილი (4v-11v), 1r-4v-ის რაობა კი გარკვეული არ ყოფილა. Ath. 49-ის შედგენილობის მითითებისას (მათ შორის „მომიჯნის თარგმანების“ იდენტიფიკაციისათვის) მკვლევარი დღემდე რ. ბლეიკის აღწერილობას ეყრდნობოდნენ [კეკელიძე 1957: 27; მელიქიშვილი 2000: 69].

2. „ეპისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელისამ არ-

მონიოდს მიმართ, თუ რაც არს აღთქუმავ ქრისტიანი -
საც და ძალი და სახელი მისი“ 11v-14r.

შენიშვნა: ხელნაწერში ამ თხზულების ტექსტი სრულადაა
შენახული. გამოცემულია ე. კოჭლამაზაშვილის მიერ
[კოჭლამაზაშვილი 2004-ა: 286-296]. ამ გამოცემაში
გამოყენებულია Ath. 49 ხელნაწერიც. მისი ვარიანტე-
ბი აღნიშნულია A ლიტერით.

3. „ებისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელისაც არ-
მონიოს და კესარიონ და ულუმპოს მოღუაწეთა მიმართ სის-
რულისათვის, და რაცთა უწყოდით, თუ ვითარი ჯერარს,
რაცთა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანე“ 14r-21v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია ე. კოჭლამაზაშვილის მიერ
[კოჭლამაზაშვილი 2004-ა: 297-328]. ამ გამოცემაში
გამოყენებულია Ath. 49 ხელნაწერიც. მისი ვარიან-
ტები აღნიშნულია A ლიტერით.

4. „მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ
მთავარეპისკოპოსისამ საკითხავი, თქუმული მკუდრეთით აღ-
დგომისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისისა“ 21v-26v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია ნ. ბუკიას მიერ [ბუკია
2002: 5-29]. ამ გამოცემაში გამოყენებულია Ath. 49
ხელნაწერიც. მისი ვარიანტები აღნიშნულია B ლი-
ტერით.

5. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისაც,
შესხმაც წმიდისა მამისა ჩუენისა მელეტი მთავარეპისკოპო-
სისა დიდისა ანტიოქიისაც“ 26v-29r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია მ. კობიაშვილის მიერ [კოჭ-
ლამაზაშვილი 2004-ა: 356-367]. ამ გამოცემაში გამო-
ყენებულია Ath. 49 ხელნაწერიც. მისი ვარიანტები
აღნიშნულია A ლიტერით.

6. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისაც,
შესხმაც წმიდისა დიდებულისა მოწამისა თევდორესი“ 29r-
31v.

შენიშვნა: ეს თხზულება გამოტოვებულია რ. ბლეიკის აღ-
წერილობაში. პირველი ბიბლიოგრაფიული დამოწმე-
ბა ეკუთვნის ლ. ხევსურიანს [ხევსურიანი 2000; მე-
ლიქიშვილი 2000: 62]

7. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა და
საკითხავი, თქემული შობისათვის უფლისა ჩუენისა იქსუ
ქრისტესისა, რომელსა შინა მოიქსენებს რაქელს და ჩჩლოთა
მათ წმიდათა, რომელი მოსრნა უღმრთომან ჰეროდე“ 31v-35v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია ე. კოჭლამაზაშვილის მიერ
[კოჭლამაზაშვილი 2006: 3-27]. ამ გამოცემაში გამო-
ყნებულია Ath. 49 ხელნაწერიც. მისი ვარიანტები
აღნიშნულია A ლიტერით.

8. „[შესხმად წმიდისა სტეფანე პირველ მოწამისა და,
თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარ-
ეპისკოპოსისად]“ 36r-39v.

შენიშვნა: ეს თხზულება გამოტოვებულია რ. ბლეიკის აღ-
წერილობაში. პირველი ბიბლიოგრაფიული დამოწმე-
ბა ეკუთვნის ლ. ხევსურიანს [ხევსურიანი 2000; მე-
ლიქიშვილი 2000: 62]

9. „შესხმად წმიდათა ორ მეოცეთა დ, თქუმული წმიდისა
მამისა [ჩუენი]სა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისად“
40v-42r.

10. „[მისივე], წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნო-
სელისა, შესხმად წმიდათა ორ მეოცეთა დ, თავი ბ“ 42r-45r.

11. „შესხმად წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასური-
სა დ, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსე-
ლისა დ, რომელი იკითხვების დღესასწაულსა მისსა“ 45r-51r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია მ. კობიაშვილის მიერ [კოჭ-
ლამაზაშვილი 2004-ა: 329-355]. ამ გამოცემაში გამო-
ყნებულია Ath. 49 ხელნაწერიც. მისი ვარიანტები
აღნიშნულია A ლიტერით.

12. „საკითხავი, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრი-

გოლი ნოსელი სამ, წმიდისა სამები სათკს, რომელსა შინა მოიქსენებს აბრაჟაშს“ 50r-54r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [დოლიძე 2003: 3-24]. ამ გამოცემაში გამოყენებულია Ath. 49 ხელნაწერიც. მისი ვარიანტები აღნიშნულია A ლიტერით. იხ. აგრეთვე: [კოჭლამაზაშვილი 2004ა: 147-165].

13. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ მთავარეპისკოპოსისამ, შესხმამ, აღწერილი ცხორებისათკს და სასწაულთა წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი საკურველთმოქმედისა, ნეოკესარიელ ეპისკოპოსისათა“ 54r-65v.

შენიშვნები: 1. თარგმანი მიეწერება გიორგი მთაწმიდელს [კეკელიძე 1957: 26].

2. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2009]. გამოცემაში Ath. 49 ხელნაწერი აღნიშნულია B ლიტერით.

14. „წმიდისა მამისა ჩუენისა ნეკტარი კოსტანტინეპოლელ მამათმთავრისამ, საკითხავი, რომელი-ესე აღწერა სასწაულისა მისთკს წმიდისა თევდორეს მიერ აღსრულებულისა, რომელი-იგი აღასრულა ყოვლადქებულმან მან და უძლეველმან მოწამემან უამთა ივლიანე განდგომილისათა, რომელი-ესე იკითხვის პირველსა შაბათსა წმიდათა მართვათასა. – ბრწყინვალე არს და შუენიერ დღეს მგალობელთმთავრისა დავითის თანა გაღობად ჩუენდა და თქემად, ვითარმედ: ვითარ მრავალ არს წყალობამ სიტყბოებისა შენისამ, უფალო!..“ 66v-69v.

15. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ათანასე აღექ-სა ანდრიელ მამათმთავრისამ, სასწაულისა მისთკს, რომელი იქმნა პატიოსნისა ხატისა მიერ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა ბივრიტე ქალაქსა შინა, და იკითხვების პირველსა კურიაკესა წმიდათა მართვათასა წმიდათა ხატთათკს. – აღიზილენით თუალნი გონებათა თქუენთანი, ქრისტეს სამწყსონო...“ 69v-70v.

16. „კითხვა-მიგებად წმიდისა ათანასე [ესი]. – კითხვად: რამთა-მე უკუე შეენდობვის ქრისტეს უვარისმყოფელსა და სულისა [წმიდისა] მგმობარსა? მიგებად: სამი ნათლისღებად მოა-

ნიჭა ღმერთმან ბუნებასა კაცთასა...“ 70v-71r.

17. „ებისტოლე წმიდისა და დიდისა ბერისა იოანიკისი, მეფისა მიმართ მორწმუნისა. – არა კაცობრივითა საქმითა მოიგო წმიდამან და ქრისტესმოყუარემან მეფობამან თქუნმან სიგლახაკისა და უნდოებისა ჩუენისა სიყუარული და სარწმუნოებად, არამედ...“ 71r-72r.

18. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა თაღასი მონაზონისა საცისა სულიერისა ცხორებისა პავლეს მღდელისა მიმართ, ასეული პირველი, რომლისა თავინი ამას იტყვან ბერძულად, მაგრა ჩუენ ქართულად არა თავედად გვთარგმნია, რამეთუ არად საკმარ იყო თავთათუს სიტყვსა წარწყმედად და არცა მოჰვიდოდა, რამეთუ ასისა თავისა აკროსტიხონისა შინა უმრავლესნი ასონი შემოვიდოდეს, ხოლო პირველისა ამის თავისა აკროსტიხოო ბერძულად ამას იტყვას: სულიერსა და საყუარელსა მმასა, უფალსა პავლეს თაღასი, ჩემებით დაყუდებული, ხოლო ჭეშმარიტებით მოფარდული ცუდადმზუაობრობისად“ 72r-73v.

„მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა თაღასი მისვე პავლეს მიმართ, მეორე ასეული, რომლისა თავნი ბერძულად ამას იტყვან: ლოცვა ყავ ჩემთუს, მმაო პატიოსანო, რამეთუ დიდთა ბოროტთა მოველი, ღირსთა ნებისა ჩემისათა, მწუხარებათა სულისათა და სალმობასა კორცთასა“ 73v-74v.

„მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა თაღასი ასეული მესამე, რომლისა თავნი იტყვან ბერძულად: ჭეშმარიტი ბოროტი არა იგი არს, რომელი კორცთა დაპქნევნიდეს და სულსა განსწმედდეს, არამედ რომელი გონებასა შეაწუხებდეს და კორცთა ახარებდეს ბუნებით კეთილისათუს“ 74v-76r.

„მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა თაღასი მისვე პავლეს მიმართ, ასეული მეორე, რომლისა თავნი ბერძულად ამას იტყვან: გარნა ჭეშმარიტთაცა ბოროტთაგან და ჭეშმარიტად საგონებელთაგანცა ლოცვა ყავ, რათა ვიკსნეთ ჩუენ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა მიერ“ 76r-78r.

19. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთის მე-

ტყუელისა, დაწერილი საფლავსა ზედა დიდისა ბასილისსა საფილოსოფოსოეთა სიტყუება და ნიკიტა ფილოსოფოსისა თარგმნილი. – ა: ეპატრისტებმოყუარეო და მსახურო და მონაო მისო ერთგულო ბასილი, ვპგონებდი თუ, ნუუკუე და ქორცნი თკნიერ სულისა ცხოვნდენ, ვიდრედა მე – თკნიერ შენსა...“ 78r-v.

20. „წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპონისა კესარიელ – კაბადუკიელისა და ექუსთა მათ დღეთათკს. – რომელსა ეწებოს დაბადებისათკ...“ 79r-109r.

21. „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ ეპისკოპონისა, ძმისა წმიდისა დიდისა ბასილისი, რომელი-იგი აკლდა აღწერასა ექუსთა დღეთასა, რომელი-იგი წინავსწარ თქუა ნეტარმან და დიდმან ბასილი, და ვინათვან დაბადებისათვის კაცისა დაუშთა მას, ესე სრულ-ყოწმიდამან გრიგოლი მაღლად და ღმრთივდიდებულად“ 109r-133v.

22. „წმიდისა გრიგოლ ნოსელი ეპისკოპონისა პეტრეს მიმართ, ძმისა თკისა, პასუხი ექუსთა მათ დღეთათკს“ 133v-145r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია: [ჭელიძე 1989:199-243]

23. „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპონისა, თარგმანება ქებისა ქებათა მათ დღეთათკს“ 146r-201v.

შენიშვნები: 1. ტექსტს ბოლოში ერთვის მთარგმნელის (გიორგი მთაწმიდელის) ანდერძი: „ეპატრისტებმოყუარეო და ყოვლადქებულო მამათმთავარო გრიგოლ, ნოსისისა სამკაულო და დიდებაო ყოვლისა სოფლისაო და გურგუნო ქრისტეს ეკლესიათაო, [რომლისა-იგი] გონებად წულილად მხედველ არს და განრჩენვილ ჭეშმარიტებითა, რომელი [მსგავსად ელვისა] მისწუდა სიღრმესა განუცდელთა ამათ ქებათასა და შეამკო სმალი [ალი] სამკაულთაგან და ფერთა პირად-პირადთა, განუცდელთა და მაღალთა და [უგალითა გონებისაგნ, და წარუდგინა ღმერთსა ქალწულად წმიდად, მზისა უბრწყინვალეს[ად], რომელ არს სული უბიწოდ და

განწმედილი გული და გონებად ზეცისაა. მეოს მეფავ, [ო, გლ]ახაკსა გიორგის, რომელმან ესე შეწევნითა შენითა ვთარგმნე ქებად ქებათამ.

წმიდანო მამანო, ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთ ჟს ხუცეს-მონა ზონაზონისა, რომელმან ესე მაღლითა და ლოცვითა თქენითა ვთარგმნე ქებად ქებათამ ბერძულისაგან ქართულად, მ[ძიმე] და შეუკადრებელი ჩემგან, გარნა ღმერთსა ყოველივე ძალუც და კურთხეულ არს სახელი მისი აწ და [უგე, ან] 201v.

2. „ქებათა ქების“ ტექსტი შიგადაშიგ ნაკლულია.

24. „თქუმული წმიდისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია - კაბადუკიელისამ, ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწენელებისათუს. — მრავალნი, რომელნი სიძესა ჩუნისა ქრისტესა შეუდგან, რომელი-იგი ზეცისა ტრფიალებამან განცდად კეთილისა...“ 201v-203v.

შენიშვნა: შემორჩენილია მცირე ფრაგმენტი. ეს თხზულება ო. ბლეიკის აღწერილობაში მითითებული არაა. პირველი ბიბლიოგრაფიული დამოწმება ეკუთვნის ლ. ხევსურიანს, რომელიც მთარგმნელად გიორგი მთა - წმიდელს ვარაუდობს [ხევსურიანი 2000]. იხ. აგრეთვე [შათირიშვილი 2004]

თბილისის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 55

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა კრებული

XI-XII სს. 06+440+2 ფურც. 36×24. თავში ექვსი დაუწერელი ფურცელია ჩაკინძული, ხოლო ორგან ნუმერაციაა დარღვეული (401-ის შემდეგ აღრიცხულია 402a, და შემდეგ 402; ასევე, 412-ის შემდეგ – ჯერ 413a, შემდეგ 413), რის გამოც აღრიცხული 440 ფურცლის ნაცვლად ხელნაწერში რეალურად 448 ფურცელია. 439 ფ. უკუღმაა ჩაკინძული. ქაღალდი, ტყავ-გადაკრული ფიცრის ყდა. ალაგ-ალაგ დაზიანებული და დალაქავებულია. ზოგიერთი ფურცელი აღუდგენიათ ძველადვე. ამის გამო ტექსტის ერთი მონაკვეთი – 3v-4r – გამეორებულია 8r-ზე. ზოგიერთი ფურცლის დაზიანებულ ადგილებში ტექსტი აღუდგენიათ ჩაწებებული ფურცლებით (ფურც. 151, 178, 180, 183, 186, 200, 204, 207-209, 212, 214, 216, 219, 222, 225, 227, 230, 232, 233, 236-248, 256, 257, 264, 265, 272-275, 297, 304, 316, 321, 328, 329, 336, 348, 351, 359, 360, 368, 375, 382, 383, 431, 434). ფერგადასული ტექსტი ალაგ-ალაგ გაუცხოველებიათ. ნაწერია ნუსხურით, შავი მელნით, ორ სვეტად. თითოეულ სვეტში – 46 სტრიქონია; სათაურები – სინგურით. ტექსტის დეფექტები (გადამწერის მიერ გამოტოვებული ადგილები) ზოგან შეუვსიათ მინაწერებით აშიაზე: 14v, 21r, 27v, 28r, 29v, 34v, 36r, 61r, 62r, 63r, 64r, 69r, 70r-v, 71r, 83v, 96r, 126v, 134r, 135v, 138v, 143v, 144r, 167v, 205r, 206r, 209v, 229r, 230v, 233v, 237v, 240v, 241r, 247v, 264r, 266r, 271v, 273r, 280v, 281r, 302v, 303v, 307r-v, 328r-v, 331v, 336r, 344r, 349r, 352v, 353v, 357v, 360r, 364r, 367r-v, 377v, 378v, 387v, 396v, 401r, 402av, 406v, 416r, 419v, 424v, 432v.

თბილისის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემოვიდა საეკლესიო მუზეუმიდან, ხოლო საეკლესიო მუზეუმში – სვეტი-

ცხოვლის წიგნთსაცავიდან. ამას მოწმობს მინაწერი: „ეკუთვნის დიდს მცხოვის სობოროს, ჩქე-სა წელსა“ რომელიც 11 ფურცლის ინტერვალით მრავალგან მეორდება (1r, 12r, 23r, 34r, 45r, 55r, 66r, 77r, 88r, 99r, 110r, 121r, 132r, 143r, 154r, 165r, 176r, 187r, 198r, 209r, 220r, 231r, 342r, 253r, 264r, 275r, 286r, 297r, 308r, 319r, 330r, 341r, 351r, 362r, 373r, 384r, 395r, 405r, 414r, 425r, 436r, 440r). დაუწერელია 01r-06v, 4v.

დაწვრილებით აღწერილია თ. უორდანის, მ. ქავთარიასა და 6. მელიქიშვილის მიერ [უორდანია 1903: 42-46; A კოლექციის აღწ. 1973: 147-153; მელიქიშვილი 2000: 69-71]. კრებულში შეტანილ ერთ თხზულებასთან დაკავშირებით ხელნაწერს მიმოიხილავს ლ. შათირიშვილიც [შათირიშვილი 2004, 53].

1. „სიტყუად სწავლისა და მოძღვრებისა და თქუმული წმიდისა გრიგოლი ნოსელისად“ 1r-21r; 437r-v, 435v-r, 436r-v, 439v-r.

შენიშვნები: 1. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ [კოჭლამაზაშვილი 2008: 19-70].

2. ტექსტის დასაწყისი ნაკლულია; ზოგი ფურცელი დაკარგულია, ზოგს კიდეები აქვს ჩამოჭრილი. ფურც. 2-7 ნაწილობრივ აღუდგენიათ XVI ს-ში. ამის გამო 3v-4r-ის ტექსტის ნაწილი მეორდება 8r-ზე. 4r-ის მეორე სვეტი დაუწერელია, ასევე 4v მთლიანად.

3. ამ თხზულების ტექსტის შემცველი ოთხი ფურცელი (437, 435v-r, 436, 439v-r) შეცდომითაა ჩაკინძული წიგნის ბოლოში. ფურც. 437 აგრძელებს 1r-v ფურცლის ტექსტს (2,2-3,2 ქვეთავები); ფურც. 435 შებრუნებითაა ჩაკინძული (v-r) და აგრძელებს 437 ფურცლის ტექსტს (5,1-5 ქვეთავები); ტექსტის გაგრძელება 436 ფურცელზე – 6,2-4 ქვეთავები (435-436 ფფ. შორის ერთი ფურცელი აკლია). დაბოლოს, 439 ფურცელი (ისიც უკუღმაა ჩაკინძული), რომელიც 6,7-7,1 ქვეთავებს შეიცავს, გადასატანია მე-2 ფურცლის წინ (მე-2 ფურცელი უშუალოდ აგრძელებს მას).

4. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2008: 71-154] (აქ A 55 ხელნაწერი აღნიშნულია A ლიტერით). გამოცემაში 435-437 და 439 ფურცლების ფრაგმენტები გამოყენებული არ არის.

2. „მისივე, წმიდისა გრიგოლი ნოსელისამ, ცხორებისათ ჯს დისა თუსისა წმიდისა მაკრინამ სსა“ 21r-31v.

შენიშვნა: 1. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ [კეკელიძე 1957: 26].

3. „მისივე, წმიდისა გრიგოლი ნოსელისამ, ძიებამ სულისათ ჯს თუსისა დისა მაკრინამს თანა“ 31v-42v.

შენიშვნები: 1. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ [კეკელიძე 1957-ა: 26].

2. აშიებზე ასომთავრულით გ და გ ასოებით აღნიშნულია ტექსტის ის ადგილები, სადაც გადმოცემულია გრიგოლისა და მაკრინას დიალოგი.

3. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2004-ა: 166-197]. აქ A 55 ხელნაწერი აღნიშნულია A ლიტერით.

4. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისამ, საკითხავი, თქუმული შობისათ ჯს უფლისა ჩუენისა იესუქრისტესისა, რომელსა შინა მოიკენებს რაქელს და ჩჩულთა მათ წმიდათა, რომელნი მოსრნა უღმრთომან ჰეროდე“ 42v-48v.

შენიშვნები: 1. თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ [კოჭლამაზაშვილი 2006: 2].

2. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2006: 3-27]. A 55 ხელნაწერის ვარიანტები გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით.

5. „შესხმავ წმიდისა სტეფანე პირველ მოწამისამ, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარებისკობოსისამ“ 48v-54r.

შენიშვნა: 1. თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ [კეკელიძე 1957: 26].

6. „შესხმად წმიდისა დიდისა ბასილისი, თქუმული წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა, მმისა წმიდისა და დიდისა ბასილისი“ 54r-58r.

შენიშვნები: 1. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ [კეკელიძე 1957: 26].

2. ტექსტი გამოცემულია [კობიაშვილი 2008: 205-222]. აქ A 55 ხელნაწერი აღნიშნულია A ლიტერით.

7. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ მთავარეპისკოპოსისა, შესხმად, აღწერილი ცხორებისათვეს და სასწაულთა წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი საკურკელთ მოქმედისა ნეოკესარი ელ ეპისკოპოსისათა“ 58r-73r.

შენიშვნები: 1. თარგმანი მიეწერება გიორგი მთაწმიდელის [კეკელიძე 1957: 26].

2. ტექსტი გამოცემულია [მრევლიშვილი 2001: 33-78]; [კოჭლამაზაშვილი 2009; აქ A 55 ხელნაწერი აღნიშნულია A ლიტერით].

3. ამ ძეგლის შესახებ იხ. [მრევლიშვილი 2001; კოჭლამაზაშვილი 2004-ბ].

8. „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისა, თარგმანება ქებისა ქებათა და სამ“ 73r-165v.

შენიშვნა: ტექსტს ბოლოში ერთვის მთარგმელის (გიორგი მთაწმიდელის) ანდერძი: „ეპა, ნეტარო და ყოვლადქებულო მამათმთავარო გრიგოლი, ნოსისა სამკაულო და დიდებაო ყოვლისა სოფლისაო და გურგუნო ქრისტეს ეკლესიათაო, რომლისა-ეგე გონებად წულილად მხედველ არს და განრჩენვილ ჭეშმარიტებითა, რომელი იგი სახედ ელვისა მისწუდ[ა] სიღრმესა განუცდელთა ამათ ქებათასა, და შეამკო სძალი სამკაულთაგან და ფერთა პირად-პირადთა, განუცდელთა და მაღალთა და უვალთა გონებისაგან, და წარუდგინა უფალსა ქალწულად წმიდად, მზისა უბრწყინვალესად, რომელ არს

სული უბიშოდ და განწმედილი გული და გონებად ზეცისამ, მეომ მეყვა გლახაკსა გიორგის, რომელმან-მან-ესე შეწევნითა შენითა ვთარგმნე ქებად ქებათა ა. მ.

წმიდანო მამანო, ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგის თ კ ს ხუცეს-მონაზონისა, რომელმან ესე ლოცვითა და მადლითა ოქუენითა ვთარგმნე ქებად ბერძულისაგან ქართულად, მძიმე და შეუკაღრებელი ჩემგან, გარნა ღმერთსა ყოველივე ძალუც და კურთხეულ არს სახელი მისი აწ და უკუნისამდე, ამინ“ 165v (წინამდებარე ხელნაწერის მიხედვით გიორგი მთაწმიდელის ანდერძი სრული სახით აქ პირველად ქვეყნდება. წინა აღმწერელნი გვაცნობენ მხოლოდ ანდერძის მეორე ნახევარს: „წმიდანო მამანო, ლოცვა ყავთ...“ [ჟორდანია 1903: 43; A კოლექციის აღწ. 1973: 148]).

2 (გადამწერისა). „ღმერთშემოსილნო წმიდანო მამანო, ლოცვა ყავთ ფრიად ცოდვილისა გიორგის ა მა ჭარელი სათვის, რომელმან ესე დავჩხრიკე ფრიად დიდსა სიგლახაკესა შინა, რამეთუ დიდი სურვილი მაქუნდა ამის წიგნისამ — ქებისა ქებათადსა“ 165v.

9. „წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა ქუსარიელ-კაბადუკიელისამ, ექუს თა მათ დღეთა - თ კ ს “ 166r-208v.

შენიშვნა: ტექსტს ბოლოში ერთვის მთარგმნელის (გიორგი მთაწმიდელის) ანდერძი: „დაესრულა [ექუსთა] დღეთა[ღ] წმიდისა ბასილისი ბრწყინვალედ და ღმრთივ-შუენიერად მადლითა სულისა წმიდისამთა. ვინ სწერდეთ ნუსხასა ჩუენსა, ნუ ესრეთ სწერთ, ვითა ჩუენსა ნუსხასა, რამეთუ ჩუენ პირუტყუ ვართ და აღსავსე ყოვლითა არაწმიდებითა, გარნა ესრეთ წერეთ, ვითარცა ახლად აღეწერა წმიდასა ბასილის, რამეთუ ჭეშმარიტად დაღაცათუ მწიკულევანი კელი ჩუენი ნუსხვიდა და თარგმნიდა, გარნა თუ იგი იყო იყო მნუსხველიცა და თარგმანიცა, თუ არა, ჩუენგან ამისი

ჭურობადცა შეუძლებელ იყო, არა თუ თარგმნაა. და აწ, წმიდანო მამანო, ღმერთმან გარწმუნოს, ჩუქნოუს ლოცვა ყავთ და, ვითა პპოოთ, ეგრეთ დაწერეთ. და თუ რამზომნი ღუაწლნი გუნახვან ამისსა თარგმნასა, იგი ღმერთმან იცის, რამეთუ აღურაცხელად ღრმაა არს და შეუკადრებელი. და ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანი აკურთხებ; დიდად კელი აღმიპყრეს“ 208v-209r.

10. „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუქნისა გრიგოლ ნოსელ ეპისკოპოსისაა, ძმისა წმიდისა დიდისა ბასილისი, რომელი-იგი აღლდა აღწერასა ექუსთა დღეთასა, რომელი-იგი წინააღსწარ თქუა ნეტარმან დიდმან ბასილი, და ვინათვან დაბადებისათვის კაცი სა დაუშთა მას, ესე სრულ-ჰყო წმიდამან გრიგოლი მართლიად და ღმრთივლილებულად“ 209r-241v.

11. „წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა, პეტრეს მიმართ, ძმისა თუსისა, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის კაცი“ 241r-258r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [ჭელიძე 1989].

12. „ეპისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელი სა არმონიო მიმართ, თუ რამ არს აღთქუმა ქრისტიანისა და ძალი და სახელი მისი“ 258r-261v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2004: 286-296]. A 55-ის ვარიანტები გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით.

13. „ეპისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელი სა არმონიოს და კესარიონ და ულუმბოს მოღუაწეთა მიმართ, სისრული სათვის, და რამთა უწყოდით, თუ ვითარი ჯერ-არს, რამთა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანე“ 261v-272r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2004: 297-328]. A 55-ის ვარიანტები გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით.

14. „საკითხავი, თქუმული წმიდისა მამისა ჩუქნისა გრი-

გოლი ნოსელი სა ა დ, წმიდისა სამები სა თ კ ს, რომელ-
სა შინა მოიქსენებს აბრაჟაშს“ 272r-278v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [დოლიძე 2003]. A 55 ხელ-
ნაწერის ვარიანტები გამოცემაში აღნიშნულია B ლი-
ტერით.

15. „თარგმანება მომი კ ს ე ნ ი ს ა დ, თქუმული წმიდისა
გრიგოლ ნოსელი სა ა დ“ 278v-309v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2004:
198-285]. A 55 ხელნაწერის ვარიანტები გამოცემაში
აღნიშნულია B ლიტერით.

16. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნო-
სელ მთავარეპისკოპოსისა დ, საკითხავი, თქუმული მკუდრე-
თით აღდგომისათ კ ს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა“
309v-318v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [ბუკია 2002]. A 55-ის
ვარიანტები გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით.

17. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნო-
სელი სა ა დ, შეს ხ მ ა დ წმიდისა მამისა ჩუენისა მ ე ლ ე ტ ი
მთავარეპისკოპოსისა დიდისა ანტიოქელისა დ“ 318v-322r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია მ. კობიაშვილის მიერ [კოჭ-
ლამაზაშვილი 2004: 356-367]. A 55 ხელნაწერის ვარი-
ანტები გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით.

18. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი ს ა,
შეს ხ მ ა დ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თ ე თ დ თ რ ე-
ს ი“ 322r-326v.

19. „შეს ხ მ ა დ წმიდათა ორ მ ე ო ც თ ა დ, თქუმული წმიდ-
ისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ მთავარეპისკოპოსი-
სა დ“ 326v-334r (ორ თავად: 326v-328v; 328v-334r).

20. „შეს ხ მ ა დ წმიდისა მამისა ჩუენისა ე ფ რ ე მ ა ს უ-
რი ს ა დ, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი
ნოსელი ს ა დ, რომელი იკითხვების დღესასწაულსა მისსა“
334r-343v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2004: 329-355]. A 55 ხელნაწერის ვარაინტები გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით.

21. „[თქუმული] წმიდისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიელ - კაბადუკიელისა ა. ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათ კ. – მრავალნი, რომელნი-იგი სიძესა ჩუენსა ქრისტესა შეუდგან, რომელნი-იგი ზეცისა ტრფიალებამან განცდად კეთილისა მოწყლნა, რომელთა-იგი მოღუაწეთა შორის ეკლესიისათა პირად-პირადნი სახენი კეთილისანი იხილნეს...“ 344r-387r.

შენიშვნა: თხზულება ფსევდოეპიგრაფიკულია. ნამდვილად კი ეკუთვნის ბასილი ანგვირელს (IV ს.). იხ.: [კავალერა 1905: 5-14; ქაჯაია 1992: 154-155; შათირი-შვილი 2004]

22. „წმიდისა მამისა ჩუენისა ნეკტარი კოსტანტინე-პოლელ მამათმთავრისაა, საკითხავი, რომელი-ესე აღწერა სასწაული ისა მისთვის თეოდორეს მიერ აღსრულებულისა, რომელი-იგი აღასრულა ყოვლადქებულმან და უძლეველმან მოწამემან ჟამთა ივლიანე განდგომილისათა, რომელი-ესე იკითხვების პირველსა შაბათსა წმიდათა მარწვათასა. – ბრწყინვალე არს და შუენიერ დღეს მგალობელთმთავრისა დავითისა თანა გაღლობად...“ 387r-392v.

23. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ათანასი ალე-ქსანდრიელ მამათმთავრისაა, სასწაული ისა მისთვის, რომელი იქმნა პატიოსნისა ხატისა მიერ უფლისა ჩუენისა იესუქრისტესისა ბივრიტე ქალაქსა შინა და იკითხვების პირველსა კურიაკესა წმიდათა მარწვათასა წმიდათა ხატთათვის. – აღინილენით თუალნი გონიერათა თქუენთანი, ქრისტეს სამწესონო...“ 392v-394v.

24. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა თალასი მონაზონისა ა. სიყუარულისათვის და სულიერისა ცხორებისა პავლეს მღდელისა მიმართ, ასეული პირველი, რომლისა თავნი ამას იტყვან ბერძულად, მაგრა ჩუენ ქართულად არა

თავედად გუთარგმნიან, რამეთუ არა საქმარ იყო თავთათჯს სიტყუსა წარწემედად და არცა მოპვიდოდა, რამეთუ ასის თავისა აკროსტიხონისა შინა უმრავლესნი ასონი შემოვიდოდეს, ხოლო პირველისა ასის თავისა აკროსტიხომ ბერძულად ამას იტყვს: სულიერსა და საყუარელსა მმასა, უფალსა პავლეს თალასი ჩემბით დაყუდებული, ხოლო ჭეშმარიტებით მოფარდული ცუდადმზუაობრობისაც“ 394v-397r.

„მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა თ ა ღ ა ს ი ს ი მისვე პავლეს მიმართ, მეორე ასეული, რომლისა თავნი ბერძულად ამას იტყვან: ლოცვა ყავთ ჩემთჯს, მმაო საყუარელო, რამეთუ დიდთა ბოროტთა მე ველი, ლირსთა ნებისა ჩემისათა, მწუხარებათა სულისათა და საღმობასა კორცთასა“ 397r-399r.

„მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა თ ა ღ ა ს ი ს ი, ასეული მე სა მე, რომლისა თავნი იტყვან ბერძულად: ჭეშმარიტი ბოროტი არა იგი არს, რომელი კორცთა დაპქენჯნიდეს და სულსა განსწმედდეს, არამედ რომელი გონებასა შეაწუხებდეს და კორცთა ახარებდეს ბუნებით კეთილისათჯს“ 399r-401v.

„მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა თ ა ღ ა ს ი ს ი, ასეული მეორთხე, რომლისა თავნი ბერძულად ამას იტყვან: გარნა ჭეშმარიტთაცა ბოროტთაგან და ჭეშმარიტად საგონებელთაგანცა ლოცვა ყავ, რამთა ვიქსნეთ ჩუენ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა მიერ“ 401v-402ar-v, 402r-403v.

25. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა დაწერილი საფლავსა ზედა დიდისა ბასილისა სა საფილოსოფოსომთა სიტყუთა და ნიკიტა ფილოსოფოსისა თარგმნილი. – ეპა, ქრისტეს მოყუარეო და მსახურო და მონაო მისო...“ 403v-404v.

26. „ეპისტოლენი წმიდისა ეგნატი ღმერთშე მოსილისანი“ 405r-430r.

შენიშვნები: 1. შედგება 13 ეპისტოლისაგან: „ეპისტოლე მარიამ კოსოვოლელისაც“ (405r-v), „მარიამის მიმართ“ (405v-406v), „ტრალისელთა მიმართ“ (406v-409r), „მაღნისელთა მიმართ“ (409r-411v), „ტარ-

სელთა მიმართ“ (411v-413r, 413ar-b), „ფილიპელთა მიმართ, განსაქიქებელად მტერისა“ (413r-415r), „ფილადელფელთა მიმართ“ (415r-418r), „ზმირნელთა მიმართ“ (418r-420v), „პოლიკარპოვს მიმართ, ზმირნელ ეპისკოპოსისა“ (420v-422r), „ანტიოქელთა მიმართ“ (422r-423v), „ირონის მიმართ, ანტიოქელ დიაკონისა“ (423v-424v), „ეფესელთა მიმართ“ (424v-428v), „პრომაელთა მიმართ“ (428v-430r). ეპისტოლენი თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ.

2. ტექსტი A 55-ის მიხედვით გამოცემულია ანდრია ბოროდას მიერ: მღვდელმოწამე ეგნატი ანტიოქელი ეპისკოპოსი და მისი წერილები: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1988, 518-624.

27. „ეპისტოლე წმიდისა დიდისა ბერისა იოანიკისი მეფისა მიმართ მორწმუნისა. — არა კაცობრივითა საქმითა მოიგო წმიდამან და ქრისტესმოყუარემან მეფობამან...“ 430r-431r.

28. „გითხვა - მიგება და წმიდისა ათანასისი. — კითხვად: რამთა-მე უკუე შეენდობვის ქრისტეს უვარისმყოფელსა...“ 431r-v; 434r-v.

შენიშვნები: 1. ამ „კითხვა-მიგების“ ნაწილი უნდა იყოს 440r (აქაა ტექსტის დასასრული). 440v დაუწერებლია.

2. 435-437 და 439 ფურცლები ხელნაწერის დასაწყისიდანაა აქ მოხვედრილი. შეიცავს ფრაგმენტებს წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებისა „სიტყუადსწავლისა და მოძღვერებისაა“. ტექსტი გამოცემულია: [კოჭლამაზაშვილი 2008: 71-154]. გამოცემაში ეს ფრაგმენტები გამოყენებული არ არის. იხ. შენ. 1, 1.

3. ჯერჯერობით ვერ დადგინდა 432, 433, 438 ფურცლებზე შემორჩენილ ფრაგმენტთა რაობა.

4. 441r – მომცრო ქაღალდზე დაწერილი სასულიერო შინაარსის ლექსია, მხედრულით დაწერილი. ხელნაწერთან საერთო არაფერი აქვს და შემთხვევითაა მასში მოხვედრილი. ტექსტი გამოქვეყნებულია [A კოლექციის აღწ. 1973: 153].

თბილისის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 108

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა კრებული

XII ს.; 425 ფურც.; 39,5×29; შინდისფერ კოლენკორგადა-
კრული მუყაოს ყდა; თავბოლონაკლული; აქლია შუაშიც; ქაღალდი;
ძალზე დაზიანებული; ახლად რესტავრირებული; ზოგიერთი
ფურცელი არასწორადა ჩაკინძული; ნაწერია ნუსხურად ყავის-
ფერი მელნით ორ სვეტად; სათაურები და თავკიდური ასოები
სინგურით; დიდი ზომის საზედაო ასოებით; ზოგიერთი მათგანი
მხატვრულადა გაფორმებული; კრებულში შეტანილ თხზულე-
ბებს ერთვის თავსამკაულები და ბოლოსამკაულები; ხელნაწერი
ადრე ეკუთვნილა მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს
(2r). დაუწერელია 1v. ბოლოში ჩაკინძულია უმნიშვნელო ფრაგ-
მენტები, რომელთა რაობისა და ადგილის განსაზღვრა შეუძლე-
ბელია.

1. „[სიტყუად სწავლისა და მოძღვრებისათ, თქუ-
მული წმიდისა გრიგოლი ნოსელისათ]“ 2r-4v.

შენიშვნები: 1. ტექსტი თავნაკლულია; შემორჩენილია მცირე
ფრაგმენტი (ბოლო 3 ფურცელი).

2. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელი ს
მიერ [კოჭლამაზაშვილი 2008: 19-70].

3. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი
2008: 71-154]. აქ A 108 ხელნაწერი აღნიშნულია C
ლიტერით.

2. „მისივე, წმიდისა გრიგოლი ნოსელისათ, ცხორები -
სათჯს დისა თჯსისა წმიდისა მაკრინათ სსა“ 6r-17r.

3. „მისივე, წმიდისა გრიგოლი ნოსელისათ, ძიებათ სუ-
ლი სათჯს თჯსისა დისა მაკრინათ თანა“ 17r-30r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია: [კოჭლამაზაშვილი 2004:
166-197]. A 108 ხელნაწერი გამოცემაში გამოყენებუ-
ლია ნაწილობრივ (B ლიტერით).

4. „თარგმანებად მომიქსენისა მ, თქუმული წმიდისა გრიგოლ ნოსელისა მ“ 30r-63v.

შენიშვნები: 1. შედგება რვა თავისაგან (თავების დასაწყისები: 30r, 34r, 37r, 41r, 46r, 51r, 55r, 60r).

2. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2004: 198-285]. A 108 ხელნაწერი გამოცემაში გამოყენებულია ნაწილობრივ (C ლიტერით).

5. „ეპისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელისა მ, არმონიოს მიმართ, თუ რად არს აღთქუმად ქრისტიანისა და ძალი და სახელი მისი“ 63v-67v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2004: 286-296]. A 108 ხელნაწერი გამოცემაში გამოყენებული არაა.

6. „ეპისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელისა მ არმონიოს და კესარიონ და ულუმბოს მოღუაწეთა მიმართ, სისრულისათვის, და რამთა უწყოდით, თუ ვითარი ჯერ-არს, რამთა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანე“ 67v-79v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2004: 297-328]. A 108 ხელნაწერი გამოცემაში გამოყენებული არა.

7. „მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ მთავარებისკობოსისა საკითხავი, თქუმული მკუდრეთით აღდგო მისათვის უფლისა ჩუენისა იქსუ ქრისტისისა“ 79v-88v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია 6. ბუკიას მიერ [ბუკია 2002: 5-29]. ამ გამოცემაში გამოყენებულია A 108 ხელნაწერიც. მისი ვარიანტები აღნიშნულია C ლიტერით.

8. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისა მ, შესხმა წმიდისა მამისა ჩუენისა მელეტი მთავარებისკობოსისა დიდისა ანტიოქელისა მ“ 88v-93r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია მ. კობიაშვილის მიერ [კოჭლამაზაშვილი 2004: 356-367]. A 108 ხელნაწერის

ვარიანტები გამოცემაში აღნიშნულია C ლიტერით.

9. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა, შესხმა წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თევდორესი“ 93r-97r.

10. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა, საკითხავი, თქუმული შობისათვის უფლისა ჩუენისა იქსუქრისტისა, რომელსა შინა მოიქსენებს რაქელს და ჩჩყლთა მათ წმიდათა, რომელნი მოსრნა უღმრთომან ჰეროდე“ 97r-105r.

შენიშვნები: 1. თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ [კოჭლამაზაშვილი 2006: 2].

2. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2006: 3-27] A 108 ხელნაწერის ვარიანტები გამოცემაში აღნიშნულია C ლიტერით.

11. „შესხმა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისად“ 105r-111v.

12. „შესხმა წმიდათა ორმეოცთა თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ მთავარეპისკოპოსისად“ 111v-114r.

13. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისა, შესხმა წმიდათა ორმეოცთა თავი მეორე“ 114r-119v.

14. „შესხმა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისა, რომელი იკითხვების დღესასწაულსა მისსა“ 120r-126v.

შენიშვნები: 1. დევექტის გამო ტექსტი ბოლონაკლულია. ერთი ფურცელი აკლია 123v-სა და 124r-ს შორისაც.

2. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2004: 329-355]. A 108 ხელნაწერი გამოცემაში გამოყენებული არაა.

15. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ეპისკოპოსისა

ნოსელისამ, შესხმავ წმიდისა და დიდისა ბასილისი, მმისა თუსისა“ 127r-131v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის დეფექტურობის გამო ტექსტი ბოლონაკლულია.

2. ტექსტი გამოცემულია [კობიაშვილი 2008: 205-222]. A 108 ხელნაწერი გამოცემაში აღნიშნულია C ლიტერით.

16. „[წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ მთავარეპისკოპოსისამ, შესხმავ, აღწერილი ცხორებისათვს და სასწაულთა წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი საკურ-ველთმოქმედისა, ნეოკესარიელ ეპისკოპოსისათა]“ 132r-143v.

შენიშვნები: 1. ტექსტი თავბოლონაკლულია და შეიცავს ორ ფრაგმენტს (132r-135v, 136v-r-143v).

2. ტექსტი გამოცემულია [მრევლიშვილი 2001: 33-78]; [კოჭლამაზაშვილი 2009; აქ A 108 ხელნაწერი აღნიშნულია C ლიტერით].

3. მომდევნო ფრაგმენტი (144r-147v), რომლის რაობა წინა აღმწერელთ ვერ გაურკვევიათ, აღმოჩნდა ბოლო ნაწილი „მოსეს ცხოვრებისა“. იგი აქ შეცდომით ჩაუკინძავთ. ამ ფურცლების ტექსტი 235v-ს ტექსტს მოსდევს და მის შემდეგაა გადასატანი.

17. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისამ, ქალწულებისათვს და საღმრთოესა მოქალაქობისა“ 147v-151v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია (151-ის შემდეგ ფურცლები აკლია).

2. მომდევნო ფურცლების (152-153) რაობა წინა აღწერილობებში გამორკვეული არ ყოფილა. აქ შემორჩენილია ფრაგმენტი წმ. მამას შესხმისა.

18. „[შესხმავ წმიდისა მოწამისა მამავსი, თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისამ, მმისა დიდისა ბასილისი]“ 152r-153v.

შენიშვნა: ტექსტი თავნაკლულია; თხზულების დასაწყისი შემორჩენილია Ath. 39-ში. A 108-ის ამ ფრაგმენტის რაობა წინა აღწერილობებში გამორკვეული არ ყოფილა.

18. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი სა ა, სინანული სათკ“ 153v-156v.

შენიშვნა: 1. ტექსტი ბოლონაკლულია (156-ის შემდეგ ერთი ფურცელი აკლია).

19. „[თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი სა ა, შემოსლვისათკ წმიდათა მარხვათა ასა, რომელი იკითხვების კურიაკესა უძღებისასა]“ 157r-159v.

შენიშვნა: ტექსტი თავნაკლულია.

20. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი სა ა, სწავლამ ლოცვისა და თარგმანება მამაო ჩუენო სა ა“ 159v-175v.

შენიშვნა: ტექსტი ნაკლულია შიგადაშიგ. 167-ე ფურცლიდან ორი მცირე ფრაგმენტია დარჩენილი.

21. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი სა ა, რომელი მიუწერა მმასა ვისმე, რომელსა ეთხოვა მისგან სწავლამ სულიერი სისრული სათკ, და მან შემოიღო მოსეს ცხორება და მიუწერა“ 175r-235v, 144r-147v (ეს ფურცლები უადგილოდაა ჩაკინძული).

22. „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი მთავარეპისკოპოსისა, თარგმანება ქებისა ქებათა ასა“ 235v-351v.

შენიშვნა: ფურცლები ზოგჯერ არეულია და შებრუნებითაა ჩაკინძული: 253-254 და 257-258 გადანაცვლებულია; 250 და 300 შებრუნებითაა ჩაკინძული (v-r); 272-ს უნდა მოსდევდეს 285-286 და შემდეგ 277-284, შედეგ 275-276, ბოლოს კი – 287sq. რიგი არეულია აქც: 302, 305, 303, 304, 307, 308, 306, 309sq. ტექსტის ბოლო ნაწილი უმეტესად დაზიანებული და ფრაგმენტულია.

23. „წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა, პეტ-რეს მიმართ, ძმისა თუსისა, პასუხი ექუსთა მათ დღე-თათვუს“ 352r-371v.

24. „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრი-გოლ ნოსელ ეპისკოპოსისამ, ძმისა წმიდისა დიდისა ბა-სილისი, რომელი-იგი აკლდა აღწერასა ექუსთა დღეთასა, რომე-ლი-იგი წინამსწარ თქუა ნეტარმან დიდმან ბასილი, და ვინამ-თგან დაბადებისათვის კაცისა დაუშთა მას, ესე სრულ-ყო წმიდამან გრიგოლი მაღლად და ღმრთივდიდებულად“ 371v-425r.

შენიშვნები: 1. 378-279 ფურცლები გადანაცვლებულია; 371-400 ფურც. ისეა დაზიანებული, რომ უმეტესწილად მისი მცირე ნაწილი იკითხება; 201-დან მხოლოდ მცირე ნაგლეჯია დარჩენილი; 402 ფურც. გადატანილია 408-ის შემდეგ; 400-ის შემდეგ მხოლოდ უმნიშვნელო ნაგლეჯებია შემორჩენილი, რომელთა წაკითხვა და იდენტიფიცირება შეუძლებელია.

2. ხელნაწერს ერთვის მრავალი მინაწერი.

დაწვრილებით აღწერილია თ. ბრევაძისა და ნ. მელიქიშვი-ლის მიერ [A კოლექციის აღწ. 1976: 29-34; მელიქიშვილი 2000: 69-71]. თ. ჟორდანის აღწერილობაში მხოლოდ ტექნი-კური მონაცემებია [ჟორდანია 1903: 123].

ათონის მთის ქართველთა მონასტრის (ივირონის) № 14

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა კრებული

XIV-XVI სს. (რ. ბლეიკის დათარიღებით), მე-14 ნომრითაა ეს ხელნაწერი აღრიცხული რ. ბლეიკის კატალოგში [ბლეიკი 31-32: 357-360], ალ. ცაგარელის კატალოგში მისი ნომერია 84. შეიცავს ქალალდის 373 ფურცელს; $31 \times 22,8$; ნაწერია შავი მელნით ნუსხურით ორ სვეტად; თოთოვეულ სვეტში 37 სტრიქონია; ნაწერი არე $27,5 \times 17,5$. ბოლონაკლულია. ფურცლები აკლია შიგნითაც. 2r-ზე ჯვრის წნულ გამოსახულებას უკავია მთელი გვერდი (არეებზე წარწერებით – „ძლევად ჯრისად“, „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ძმოდუარი დევნოსე ვაჩეძორისა, რომლისა ბრძანებითა შეიკაზმა წიგნი ესე, ან“). იმავე ფურცლის მეორე გვერდზე ლიტონადაა დახატული სვეტებზე მდგარი ორნამენტული კამარა, რომლის ქვეშაც ასევე დიდი წნული ჯვარია გამოსახული, ასომთავრული წარწერით: „ის კეს ძლევად“. წიგნი ბოლოს აუკინძავთ მაკარი მონაზონსა და იაკიმს ჩშივ (1816) წელს (2v).

კრებულს წინ უძლვის სარჩევი – „ზანდუკი“ (5r-6r); მასში ჩამოთვლილ თხზულებათა თანმიმდევრობა ნაწილობრივ ემთხვევა ხელნაწერში შეტანილ თხზულებათა რეალურ მიმდევრობას. ამასთან, ბოლონაკლულობის გამო ზანდუკში არაა მითითებული რამდენიმე საკითხავი (ბასილის „ექუსთა მათ დღეთათუს“, გრიგოლი ნოსელის „დაბადებისათუს კაცისა“ და „პასუხი ექუსთა მათ დღეთათუს“), ხოლო ზანდუკში აღნიშნულთაგან ზოგიერთი თხზულება დაკარგულია ხელნაწერის ბოლონაკლულობის გამო.

კრებულში შემორჩენილია შემდეგი თხზულებები:

1. „სიტყუად სწავლისა და მოძღვრებისა და თქუმული წმიდისა გრიგოლი ნოსელისა და“ 6v -42v.

შენიშვნები: 1. ფურც. 6 შებრუნებითაა ჩაკინძული (v-r). 6-

7 ფურცლებს შორის ერთი-ორი ფურცელი აკლია.

2. ტექსტი გამოცემულია: [კოჭლამაზაშვილი 2008: 71-154]. გამოცემაში Ath. 14 აღნიშნულია B ლიტერით.

2. „მისივე, წმიდისა გრიგოლი ნოსელისა მ, ცხო- რებისათ ჯს დისა თუსისა წმიდისა მაკრინა ს სა“ 42v- 60r.

3. „მისივე, წმიდისა გრიგოლი ნოსელისა მ, ძიე- ბა ს ულისათ ჯს თუსისა დისა მაკრინა ს თანა“ 60v-77v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია: [კოჭლამაზაშვილი 2004ა: 166-197]. გამოცემაში Ath. 14 აღნიშნულია C ლიტერით.

4. „თარგმანება მომიჯსენისა მ, თქუმული წმიდისა გრიგოლ ნოსელისა მ“ 78r-125r.

შენიშვნები: 1. შეიცავს 8 თავს: თავი I (78r-83v), თავი II (84r-88r), თავი III (88r-93v), თავი IV (93v- 100r), თავი V (100v-107v), თავი VI (107v- 113v), თავი VII (113v-120r), თავი VIII (120r- 125r),

2. ტექსტი გამოცემულია: [კოჭლამაზაშვილი 2004ა: 198-285]. გამოცემაში Ath. 14 გამოყენებული არაა.

5. „ეპისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელისა მ არ- მონიო ს მიმართ, თუ რა არს აღთქუმა ქრისტია- ნისა და ძალი და სახელი მისი“ 125r-130r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია: [კოჭლამაზაშვილი 2004ა: 286-296]. გამოცემაში Ath. 14 აღნიშნულია D ლიტე- რით.

6. „ეპისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელისა მ არ- მონიოს და კესარიონ და ულუმპოს მოღუაწეთა მიმართ, სი- სრული სათ ჯს, და რა და უწყოდით, თუ ვითარი ჯერ-არს, რა და იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანები“ 130r-146r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია: [კოჭლამაზაშვილი 2004ა: 297-328]. აქ Ath. 14 აღნიშნულია D ლიტერით.

7. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ მთავარეპისკოპოსისამ, საკითხავი, თქუმული მკუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისისა“ 146v-157r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია: [ბუკა 2002: 5-29]. გამოცემაში Ath. 14 აღნიშნულია D ლიტერით.

8. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისამ, შესხმა მამიდისა მამისა ჩუენისა მელეტი მთავარეპისკოპოსისა დიდისა ანტიოქელისამ“ 157v-164r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია მ. კობიაშვილის მიერ: [კოჭლამაზაშვილი 2004: 356-367]. გამოცემაში Ath. 14 აღნიშნულია D ლიტერით.

9. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა, შესხმა მამიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი“ 164v-170v.

10. „ნეკტარი კოსტანტინეკოლელ მამათმთავრისამ, რომელიესე აღწერა სასწაულისა მისთვის წმიდისა თეოდორეს მიერ აღსრულებულისა, რომელიგი აღასრულა ყოვლადქებულმან მან და უძლეველმან მოწამებან უამთა ივლიანე განდგომილისათა, რომელიესე იკითხვის ც შაბათსა წმიდათა მარხვათასა. — ბრწყინვალე არს და შუშნიერ დღეს მგალობელობთავრისა დავითის თანა გალობად...“ 170v-177r.

11. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ათანასი აღექ-სანდრიელ მამათმთავრისამ, ც სასწაულისა მისთვის, რომელი იქმნა პატიოსნისა ხატისა მიერ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა ბივრიტე ქალაქესა შინა, და იკითხვების პირველსა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა წმიდათა ხატთათვის. — აღიხილენით თუალნი გონებათა თქუენთანი, ქრისტეს სამწყსონო...“ 177r-179r.

12. „შესხმა მამიდისა თრმეოცთამ, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისამ“ [თავი ც] 179v-182r.

13. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა, შესხმად წმიდათა ორმეოცთა მ, თავი ქ“ 182v-189r.

14. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა მ, საკითხავი, თქუმული შობისათვის უფლისა ჩუენისა იქსუქრისტესისა, რომელსა შინა მოიქსენებს რაქელს და ჩჩულთა მათ წმიდათა, რომელნი მოსრნა უღმრთომან პეროდე“ 189v-199v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია: [კოჭლამაზაშვილი 2006: 3-27]. გამოცემაში Ath. 14 აღნიშნულია D ლიტერით.

15. „შესხმა წმიდისა სტეფანე პირველმოწა-მისა მ, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა მთავარეპისკოპოსისა“ 199v-208v.

16. „შესხმა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასური-სა მ, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისა მ, რომელი იკითხვების დღესასწაულსა მისა“ 209r-222r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია მ. კობიაშვილის მიერ: [კოჭლამაზაშვილი 2004ა: 329-355]. გამოცემაში Ath. 14 აღნიშნულია D ლიტერით.

17. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ მთავარეპისკოპოსისა შესხმა აღწერილი ცხორებისათვის და სასწაულთა წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი საკურველთმოქმედისა, ნეოკესარიელ ეპისკოპოსისათა“ 222v-245v.

შენიშვნები: 1. მთარგმნელად მიჩნეულია გიორგი მთა-წმიდელი [კეკელიძე 1957: 26].

2. ტექსტი გამოცემულია [მრევლიშვილი 2001: 33-78]; [კოჭლამაზაშვილი 2009] (აյ Ath. 14 ხელნაწერი აღნიშნულია D ლიტერით).

18. „წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიელ-კაბადუკიელისა მ, ექუსთა მათ დღეთათვის“ 246r-316v.

შენიშვნა: ტექსტს ბოლოში ერთვის მთარგმნელის (გიორგი მთაწმიდელის) **ანდერძი:** „დაესრულა [ექუსთა] დღე-თა[ც] წმიდისა ბასილისი ბრწყინვალედ და ღმრთივ-შუენიერად მადლითა სულისა წმიდისათა.

ვინ სწერდეთ ნუსხასა ჩუქნსა, ნუ ესერეთ (sic.) სწერთ, ვითა ჩუქნსა ნუსხასა, რამეთუ ჩუქნ [პირუტყუ ვა]რთ და სავსე ყოვლითა არა[წერებითა, გარნა ესრეთ წერ[ეთ], ვითარმცა ახლად აღეწერ[ა წმიდასა] ბასილის, რამეთუ ჭეშმარიტად დაღაცა[თუ] მწიკულევანი კელი ჩუქნი [ნუ]სხვიდა და და (sic.) თარგმნიდა, [გარ]ნა თუ იგი იყო მნუსხველ[ი]ცა და თარგმანიცა, [თუ არა], ჩუქნგან ამისი ჭკრობადცა შეუ[ძლე]ბელ იყო, არა თუ თა[რ]გმნამ. და აწ, წმიდანო მამანო, ღმერთ-მან [გარწმუნო]ს, ჩუქნთუს [ლოცვა ფავთ] და, [ვითა ჰპოოთ], ეგრეთ და[წერეთ]. და თუ რამზომნი დწლ-ნი [გუნა]ხვან ამისსა თარგმნასა, [იგი] ღმერთმან იცის, რამეთუ აურაცხელ[ად] ღრმად არს და შეუკადრე[ბე-ლ]ი. და ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანი აქურთ-ხენ; დიად კელი [აღმი]პყრეს“ (იქვე ერთვის: „წე გი-ორგი იტყვას“) 316v.

19. „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუქნისა გრი - გოლ ნოსელ ეპისკოპოსისამ, ძმისა წმიდისა დიდისა ბა-სილისი, რომელი-იგი აკლდა აღწერასა ექუსთა დღეთასა, რომე-ლი-იგი წინამსწარ თქუა ნეტარმან დიდმან ბასილი, და ვინამ-თგან დაბადებისათვის კაცისა დაუშთა მას, ესე სრულ-ყო წმიდამან გრიგოლი მალლად და ღმრთივდებულად“ 317r-364v.

20. „წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა, პეტ-რეს მიმართ, ძმისა თუსისა, პასუხი ექუსთა მათ დღე - თათვის“ 364v-373v; 5r-v.

შენიშვნები: 1. მთარგმნელად მიჩნეულია გიორგი მთა - წმიდელი კეკელიძე 1957:26; ფერაძე 1930:91]
 2. ხელნაწერის ბოლონაკლულობის გამო შე-მორჩენილია ამ თხზულების დაახლოებით ერთი მესა-მედი.

2. ტექსტი გამოცემულია [ჭელიძე 1989:199-243]. Ath. 14 გამოცემაში გათვალისწინებული არაა ფრაგმენტულობის გამო.

3. Ath. 14-დან დაკარგულ 5 ფურცელს ამასწინათ მიღაკვლიერ Ath. 18-ში [კოჭლაძაშვილი 2003, 335-336]. ნაპოვი ფრაგმენტი მნიშვნელოვნად ავსებს Ath. 14-ის ტექსტს [ე. ჭელიძის გამოცემაში მას შეესაბამება V,4-VI,15 პარაგრაფები]. Ath. 14-ისა და Ath. 18-ის ფრაგმენტებს შორის 1 ფურცელი აკლია. ხოლო Ath. 18-ის ფრაგმენტს უშუალოდ აგრძელებს Ath. 14, 5r-v [ე. ჭელიძის გამოცემის მიხედვით – VI, 15-23 პარაგრაფები]. Ath. 14, 5r-v-ის იდენტიფიკაცია ეკუთვნის ლ. ხევსურიანს.

4. „ზანდუკში“ მოხსენიებული რამდენიმე ოხულება აღარაა შემორჩენილი ხელნაწერის ბოლონაკლულობის გამო („საკითხავი წმიდისა სამებისათვს“, ათანასე ალექსანდრიელის კითხვა-მიგება და ბერ იოანიკის ეპისტოლე. შდრ. A 55).

დაწვრილებით აღწერილია რ. ბლეიკის, ლ. ხევსურიანისა და ნ. მელიქიშვილის მიერ [ბლეიკი 1931-32: 357-360; ხევსურიანი 2007; მელიქიშვილი 2000: 69-71].

წ მ. გრიგოლ ნოსელის თხზულებები
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
პოლექციის ნუსხებში

A 6

კრებული

1821 წ. (50r); 01+116 ფურც.; ტვიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; 32,5×21,6; ქაღალდი; ნაწერია მხედრულად; 1r-52v – ერთ სვეტად; 53r-116v – ორ სვეტად; გადამწერი სფირიდონ იაშვილი (115v) (გადაწერილი უნდა იყოს შატბერდის კრებულიდან); დაუწერელია 50v-52v, 116r-v.

შეიცავს რამდენიმე დოგმატურ თხზულებას, მათ შორის:

1. ბასილი დიდის „ექუსთა დღეთამ. – რომელსა ენებოს დაბადებისათვეს სოფლისა მითხობად...“ (1r-50r)

2. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუმნისა გრი-გოლი ნოსელი სა, კაცი სა შესაქმისათვეს, რომელი მიუწერა ძმასა თვესა პეტრეს ეპისკოპოსსა სებასტიელსა“ 53r-82v.

ანდერმ-მინაწერები: 1. „ექუსთა დღეთამ“ და „კაცისა შესაქ-მისათვეს“ თარგმნილია X საუკუნემდე (50r).

2. „აღმწერი წიგნისა ამის შენდობას ვითხოვ მხილველთაგან. სფირიდონ იაშვილი“ (115v).

3. „ჩვენ, ბოლბელ მიტრობოლიტი იოანე შევ-წირავთ ტაძარსა განმანათლებელისა ჩვენისა ნინა ქარ-თველთ განმანათლებელისასა ღვთივსულიერსა ამას წიგნსა, წოდებულსა ექვსთა დღედ შესაქმისა, საოხად სულისა ჩვენისა ჩყლვ წელსა, ივნისის იზ დღესა“ (01v)

ხელნაწერი დეტალურადაა აღწერილი ლ. ქუთათელაძის მი-ერ [A კოლექციის აღწ. 1973: 28-29].

A 9

დიდი სჯულისკანონი

XVIII ს.; 295 ფურც.; ტყიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; 33×21,5; მოლურჯო ქაღალდი; აქვს ანბანური პაგინაცია; შეიცავს 37 რვეულს; ნაწერია მხედრულად; სათაურები სინგურით; დაუწერელია 1v, 39v, 157v; მომგებელი დავით ბოდბელი (1r).

შეიცავს „დიდი სჯულისკანონის“ არსენ იყალთოელისეულ თარგმანს. წმიდა მამათა კანონიკურ განჩინებებს შორის ჩართულია:

„ეპისტოლე კანონიანი წმიდისა გრიგოლი ეპისკოპოსისა ნოსელისა წმიდათაგანისა ლიტოს მიმართ ეპისკოპოსისა მელიტინელთავსა“ 234v-242r.

ხელნაწერი დეტალურადაა აღწერილი ლ. ქუთათელაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1973: 41-44].

A 19

ტბეთის მრავალთავი

X ს.; 242 ფურც.; ტყავგადაკრული მუჟაოს ყდა; 38,5×30; ეტრატი; ანბანური პაგინაცით შეიცავს 36 რვეულს; თავბოლონაკლული; აკლია შუაშიც; დაზიანებულია ზოგიერთი ფურცელი; ნაწერია ძირითადად მთავრულით (ნუსხურით – მხოლოდ ფფ. 95-106); სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; მომგებელი იოვანე მტბევარი და მამა თეოდორე (122v); ერთ-ერთი გვიანდელი (1763 წ.) მინაწერი ამ წიგნს „მეტაფრასად“ მოიხსენიებს (194v).

შეიცავს ძირითადად სადღესასწაულო პომილიებს; აგრეთვე რამდენიმე საკითხავს წმიდათათვის (ცხოვრება-შესხმას). შემორჩენილ საკითხავთა საერთო რიცხვია 74, მათ შორის:

„წმიდისა გრიგორისი ნოსელისა, რომელი იყო მმამ

წმიდისა ბასილისი, შობისათ კს უფლისა ჩუენისა იქვე ქრისტისისა და წმიდისა სტეფან ტსთ კს“ 27r-v.

„თქემული იოვანე ოქროპირისა და ნათლის ღები სათ კს უფლისა ჩუენისა იქვე ქრისტისისა იოვანტს მიერ იორდანესა მდინარესა“ 186r-190r.

შენიშვნები: 1. არსებობს მოსაზრება, რომ ოქროპირის სახელით წარწერილი ეს პომილია გრიგოლ ნოსელს უნდა ეკუთვნოდეს [კოჭლამაზაშვილი 2009-ბ].

2. ტექსტი გამოქვეყნებულია [კოჭლამაზაშვილი 2009-ბ]. A 19 ხელნაწერი გამოცემაში T ლიტერითაა აღნიშნული.

3. კ. ოდაძის დაკირვებით, ეს პომილია, როგორც ერთ-ერთი წყარო, გამოყენებულია იოვანე საბანისძის „პამ ტფილელის წამებაში“ [ოღაძე 2008].

ანდერძი (მომგებელთა): „ქრისტე, შეიწყალენ წიგნისა მომგებელი მამავალი მტბევარი იოვანე და მამამ თეოდორე, ამენ“ (122v).

ხელნაწერი დეტალურადაა აღწერილი ლ. ქუთათელაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1973: 58-71]. მანამდე აღწერა სერგი გორგაძემ „სვანური მრავალთავის“ სახელწოდებით: საქართველოს არქივი, წიგნი III, 1927.

A 50

მეტაფრასი და „მარგალიტი“

XII ს.; 155 ფურც. (310 გვ.); ტყავგადაკრულ მუყაოს ყდა; 23,5×19; თავბოლონაკლული, დაზიანებული; ნაწერია ნუსხურით; სათაურები სინგურით; გადამწერი საბა (გვ. 29, 58, 81, 204, 223, 281, 290, 302).

შეიცავს მეტაფრასის (სადღესასწაულო საკითხავები და წმიდათა ცხოვრება-შესხმანი, გვ. 1-204) და იოვანე ოქროპირის „მარგალიტს“ (თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა, გვ. 205-309). მეტაფრასის საკითხავთა შორისაა:

„თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგო-
ლი ნოსელისა, შემოსლვისათვის წმიდათა მარ-
ზათა ასა“ გვ. 164-191.

ხელნაწერს მრავალი ანდერძ-მინაწერი აქვს; დეტალურადაა
აღწერილი ლ. ქუთათელაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1973:
133-136].

A 64

დოგმატიკონი

1751 წ.; 389 ფურც.; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; თეთრი
მაღალხარისხოვანი ქაღალდი; ნაწერია შავი მელნით; სათაურები
სინგურით; შემკვეთი საქართველოს პატრიარქი ანტონი I; გად-
ამწერნი: იოანე მღვდელი (386v) და იესე ოსეს ძე (283r).

შეიცავს არსენ ვაჩეს ძის „დოგმატიკონს“, სადაც
სხვა თავებთან ერთად შეტანილია დოგმატური კომპილაცია:
„წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იოვანე მანსურ წოდებუ-
ლისა, სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს გამო კრე-
ბანი წამებათ ანი, რომელთა მიერ ყოველივე კათოლიკე
ეკლესიისა სარწმუნოებად განცხადებულად გუშსწავების, ღმრ-
თისმეტყუშლებისასა ვიტყვა ქადაგებასა და საღმრთოესა განგე-
ბულებისასა სიტყუასა, და სხუათა მართალთა ეკლესიის შჯულ-
თა უცომელობასა“ (217r-283r), რომელშიც შეტანილია ამონარ-
იდები წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან:

ნოსელისად „მამაო ჩუენოდსა“ თარგმანისაგან 219r-v
გრიგოლი ნოსელისად, აპოლინარის ძლითისაგან 221v
გრიგოლი ნოსელისად, საკათაკუმეველოდსაგან 232v
გრიგოლი ნოსელისად, პასექისა ძლითისა სიტყვსაგან 233v
გრიგოლი ნოსელისად, აპოლინარის ძლითისა სიტყვსაგან
235v

ნოსელისად „მამაო ჩუენოდსაგან“ 239v
ნოსელისად ევნუმის მიმართისა სიტყვსაგან 241v-242r
ნოსელისად, სწავლითისა მის დიდისა საკითხავისაგან 242v

მისივე (გრიგოლ ნოსელისა), ევნუმის მიმართისაგან 242v-243r

ნოსელისად ევსტათის მიმართისა ეპისტოლისაგან წმიდისა სამებისათვეს 244r

გრიგოლი ნოსელისად, ევნომის მიმართისაგან. — არცა ცხოველ-ჰყოფს ლაზარეს კაცობრივი ბუნებად, არცა ცრემლიის მდებარისათვეს უვნებელი არსებად... 246r

ნოსელისად, ნეტარებათათვეს მეოთხისა თავისაგან 246v-247r

ნოსელისად, [ნეტარებათათვეს მეოთხისა თავისაგან] (გამეორება წინა ციტატის დასაწყისი ფრაზისა) 248r

ნოსელისად, აპოლინარის ძლითისაგან 251r

მისივე, ევნომის ძლითისაგან 251r

და შემდგომად მრავლისა: რამეთუ უკუშთუ არა პირველად ვთარგმნოთ რამე ღმრთისათვეს თქუმულთაგანი, ვერ გულისჯ-მა-ვჰყოფთ პირველად... 251r

მისივე, აპოლინარის ძლითისაგან 251r

ნოსელისად, აპოლინარის ძლითისაგან, რომლისა დაწყებად ესე არს: „პეთილმცა იყო...“ 253r-254r

ნოსელი, სიტყვსგებასა შინა ექუსთა დღეთასა 254r-v

მისივე, ევნომისთვეს მეორისა სიტყვსაგან 254v

მისივე, პასექის ძლითისა სიტყვსაგან 254v

მისივე, ლოცვისათვეს მეოთხისა თავისაგან 255r

ნოსელისად: „ამისთვეს ვიტყვთ, ვითარმედ...“ 258v-259r

ნოსელისად, მეათექუსმეტისა თავისაგან „კაცისშესაქმისა“

259r

მისივე, საკათაკუმეველომსაგან (წერია მხოლოდ ექსცერპტის დასაწყისი, და იქვე ერთვის მინაწერი: „ზემო დაწერილ არს მეათცამეტესა თავსა ამათ წამებათასა“) 259r

ეგრეთვე შემდგომი ამისი, ნოსელისადვე, ევნომის მიმართისაგან 259r

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან გამოკრებილი ექსცერპტები გვხვდება „დღომატიკონის“ სხვა თხზულებებშიც:

წმიდისა გრიგორი ნოსელისა, აპოლინარის დასამკობელი-

საგან სიტყვს მწერლობისა: აწ უკუე, უკუეთუ ბუნებითი არს კორცთა სამთავრო-ყოფად... 312r.

წმიდისა გრიგორი ნოსელისა, სწავლითისა სიტყვსაგან: ხოლო ღმრთისა ჩუენისა შორის ქორცითა გამოჩინებისა საცნაურებითა მეძიებელი, მოქმედებათა მიმართ ჰელევლინ... 326v-327r.

წმიდისა გრიგორი ნოსელისა, ევნომის მიმართისა სიტყვსაგან: რამეთუ რაჟამს გუშსმოდის, ვითარმედ ნათელ არს და ძალ, და სიმართლე და ცხორებად და ჭეშმარიტებად... 350r.

ანდერძი (გადამწერისა): დიდებად ღმერთსა, სრულმყოფელისა ყოვლისასა, აღიწერა წიგნი მართლგამოკულევით გამოძიებული უცომელი სარწმუნოებად, ბოროტად-მადიდებელთა წინაგანსაწყობელი, დოღმატიკოსი, ბრძანებითა საქართველოს პატრიაქის, მეფის ძის ანტონი ნეტარისათა, მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი, ქალაქსა ტფილისისასა, მონასტერსა ცხოველსმყოფელისა ჯუარისასა, კელითა ჩემ უღირსის მღდლის იოანე ღეკანოზისათა, თვესა ფეხერვალსა ათცამეტსა ვიწყე, დაესრულნეს ივლისსა ორსა, ქრისტეს აქათ ჩრდა, ქართულსა ქვნსა ოლო (386v).

ხელნაწერი დეტალურადაა აღწერილი მ. ქვთარიას მიერ [A კოლექციის აღწ. 1973: 215-224]. ამ აღწერილობაში მოცემულია „გამოკრებანის“ თავთა სათაურებიც (გვ. 219-222).

A 65 დოგმატიკური კრებული

1188-1210 წწ.; 214 ფურც.; 23×30,5.

კრებულის ძირითადი ნაწილია არ სენ იყალ თო ელის „დოგმატიკონის“ თავები, აგრეთვე რამდენიმე აპოკრიფული, ეგზეგეტიკური და ასტროლოგიური თხზულება.

„განწესებად სარწმუნოებისა დადებულისად იოანეს მიერ ღმრთის მეტყუელი სა გამოცხადებით საკურველთმოქმედისა

გრიგოლის მიმართ, ვითარცა ხუაშნებითა ღმრთისმშობელისათა-თა. და ესე იგი სარწმუნოებად არს, რომლისათუს გრიგოლი საკურელ თმო ქმედ მან ილოცა და ჩუენებით ღმერთმან ასწავა და მან დაწერა ძელსა, და, ოდეს განიღება, კელთა აქუნ-და“ 166v-167r.

„[თარგმანებად ქებისა ქებათადსად]. – აქუს რამე უმეტესობა სხუათა ქებათა წარწერილსა ამის წიგნისასა...“

შენიშვნა: ტექსტი ნაწერია მხედრულით. გამოცემულია ლითოგრაფიულად აკ. შანიძის მიერ. იხ. თარგმანებად ქებისა ქებათადსად, ტფილისის უნივერსიტეტის სტუ-დენტთა კავშირის გამოცემა, 1924 წ.

A 66

დოგმატიკურ-ასკეტიკური კრებული

1710 წ.; 382 ფ.; 22,5×30; ქაღალდი.

კრებული შეიცავს წმ. გრიგოლ ნოსელის ორ საკითხავს:

„ეპისტოლე წმიდისა გრიგოლ ნოსელი სა არმონიოს და კესარიონ და ულუმპოს მოღუაწეთა მიმართ, სისრული - სათკის, და რათა უწყოდით, თუ ვითარი ჯერ-არს, რათა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანე“ 336r-357r.

„საკითხავი, თქემული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელი სა, წმიდისა სამები სათკის, რომელსა შინა მოიქსენებს აბრაკამს“ 358r-370v;

A 73

ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთად

XI ს.; 210 ფ; 16×25,5; ქაღალდი.

შეიცავს ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთა“ განმარტებას, რომელსაც ერთვის:

„წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლ

ნო ს ელ ეპისკოპოსისად, მმისა წმიდისა დიდისა ბასილისი, რომელი-იგი აკლდა აღწერასა ექვსთა დღეთასა, რომელი-იგი წინამდებარ თქუა ნეტარმან დიდმან ბასილი, და ვინამდებან დაბადები სათვის კაცისა დაუშთა მას, ესე სრულ-ყო წმიდამან გრიგოლი მაღლად და ღმრთივდებულად“ 124r-210r.

შენიშვნა: თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია მ. ქავთარიას მიერ [A კოლექციის აღწ. 1973: 258-259].

A 95

პარხლის მრავალთავი

XI ს.; 655 ფურც.; 45,5x33,5; ეტრატი.

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებს და წმიდათა ცხოვრება-შესხმას. საკითხავთა საერთო რიცხვია 149. მათ შორის:

„წმიდისა გრიგოლისი ნო ს ელი ს ა მ, რომელი იყო მმად წმიდისა ბასილისი, შობისათვე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისისა და წმიდისა პირველდიაკონისა სტეფანეს თკ. – რაბამ კეთილ არს შედგომად კეთილისად, ვითარ კეთილ არს მხიარულებისაგან მხიარულებად მოსლვად...“ 31v-32r.

შენიშვნა: თარგმანი ფრაგმენტულია; შესრულებულია X ს-ის II ნახევრამდე.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1973: 361-393].

A 124

დიდი სჯულისკანონი

XI ს.; 308 ფურც.; 25x18; ქაღალდი. ადრე ეპუთვნოდა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს.

დიდ სჯულისკანონში სხვა კანონიკურ განჩინებებთან ერთად შეტანილია:

„ეპისტოლე კანონიანი წმიდისა გრიგოლისი, ეპისკოპოსისა ნოსელისა, წმიდათაგანისა, ლიტოვს მიმართ ეპისკოპოსისა მელიტინელთამას“ 253r-261v.

შენიშვნები: დიდი სჯულისკანონი უთარგმნია არ-სენი იყალთოელს.

2. ტექსტი (გრიგოლ ნოსელის კანონიცური ეპისტოლის ჩათვლით) გამოცემულია: [გაბიძაშვილი 1975: 509-520]. A 124 ხელნაწერი გამოცემაში აღნიშნულია C ლიტერით.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია: თ. ბრეგაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1976: 103-109]; გაბიძაშვილი 1975: 87-88.

A 128

წმიდათა ცხოვრებანი (მეტაფრასი)

XII-XIII სს.; 475 ფურც.; 32,5×24; ქაღალდი. თავბოლონაკლული.

შეიცავს წმიდათა ცხოვრება-წამებას, აგრეთვე რამდენიმე აპოკრიფებს. საკითხავთა საერთო რიცხვია 31, მათ შორის:

„ნოენბერსა იზ: ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ყოვლადქებულისა გრიგოლი საკურველთმოქმედისა, აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა ა მოსახული“ 133r-175v.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ.

2. ტექსტი გამოქვეყნებულია ორჯერ [მრევლიშვილი 2001-ა: 79-133; კოჭლამაზაშვილი 2009-ა].

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია მ. ქავთარიას მიერ [A კოლექციის აღწ. 1976: 123-130].

A 142

კრებული

XI ს., 266 ფურც.; ეტრატი; 19×12; ტყიფრულ ტყავგადა-
კრული ფიცრის ყდა. აქვს რვეულებრივი პაგინაცია; თავბოლონაკ-
ლული; გადამწერი – თეოდორე (42r, 102r); დამკვეთი – გრი-
გოლ ერისთავთერისთავი (102r); შემწირველი – რევისშვილი
ბოვნელ ეპისკოპოზი იოსებ (101v-102r).

შეიცავს მართას (სუმეონის დედის) ცხოვრებას (თავნაკლუ-
ლი), გრიგოლი ღმრთისმეტყველის „სწავლანს“ და ფსევდომაქ-
სიძეს „ღმრთისმშობლის შესხმასა და გალობას“, აგრეთვე წმ.
გრიგოლ ნოსელის სამ თხზულებას, თარგმნილს ეფთვიმე მთა-
წმიდელის მიერ:

„ცხოვრებად და მოქალაქობად წმიდისა გრიგოლი ნო-
სელი სამ დისა მიმართ თკისისა, წმიდისა მაკრინამ სა;
უწყებად საკურველებათა მისთამ, თარგმნილი ეფთუ დესი
ბერძულისაგან ქართულად“ 54r-89v;

„მისივე, თქუმული წმიდისა გრიგოლ ნოსელი სამ,
ძიებად სული ისათკ ს თკისისა დისა მაკრინამს თანა, ქსენე-
ბად ბასილისამ“ 89v-91v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზა-
შვილი 2004: 166-197]. A 142 ხელნაწერი გამოცე-
მაში აღნიშნულია D ლიტერით.

„წმიდისა და ნატარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ების-
კოპოსისავე თქუმული, შესხმა წმიდისა ბასილი ს-
თკ ს, მმისა თკისისა“ 92r-99r;

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია [კობიაშვილი
2008]. A 142 ხელნაწერი გამოცემაში აღნიშნულია B
ლიტერით.

ხელნაწერს ერთვის გადამწერისა და შემწირველის ანდერ-
ძები. აგრეთვე რამდენიმე მინაწერი. დეტალურად აღწერილია ლ.
ქუთათელაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1976: 175-177].

A 162

მეტაფრასი

XI ს.; 208 ფ.; 32,5×24,5; ქაღალდი.

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებს. საკითხავთა საერთო რიცხვია 41; მათ შორის:

„წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი სა და განმარტებად სიტყუსად მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი; იკითხვების წინადღით განცხადებისა“ 46v-51v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია: [კოჭლამაზაშვილი 2002: 3-217]. გამოცემაში A 162 ხელნაწერი აღნიშნულია A ლიტერით.

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელი სა და, თხრობად პოვნისათვის საღმრთოოსა ძელისა და ქელითუქმნელისა ხატისა კამოლინენს, რომელი გამოუჩნდა ჟამთა დიოკლიიტიანე მეფისათა ნეტარსა ბასის, ხოლო გამოცხადნა მეფობასა დიდისა მორწმუნისა მეფისა თვევდოსისსა“ 132v-135v.

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელი სა და, მკუდრეთით აღდგო მისათვის უფლისა ჩუენისა იესუქრისტესისა“ 193v-201v.

შენიშვნები: ტექსტი გამოცემულია: [ბუკია 2002: 5-29]. გამოცემაში A 162 ხელნ. აღნიშნულია E ლიტერით.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ლ. ქუთათელაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1976: 232-240].

A 165

კრებული (შატბერდის კრებულის პირი)

XVII-XVIII სს.; 734 გვ.; 30,5×21; ქაღალდი; გადამწერები: გრიგოლ (გვ. 137), მელქისედეკ (გვ. 531, 537, 568).

შეიცავს იმავე მასალას, რასაც შატბერდის კრებული (S 1141), მათ შორის:

„თქმული დიდისა წმიდის ჩუმნის გრიგოლი ნოსელისა კაცისა შესაქმისათკს, რომელი მოუწერა ძმასა თკსა პატრეს ებისკოპოზსა სებასტიელსა“ გვ. 349-453.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ც. კახაბრიშვილის მიერ [A კოლექციის აღწ. 1976: 244-248].

A 171 დიდი სჯულისკანონი

XII-XIII სს.; 313 ფურც.; 31,5×21,5; თავისა და ბოლოს ნაკლული ადგილები აღუდგენიათ XVII ს-ში.

დიდი სჯულისკანონი, არ სენ იყალთო ელის თარგ-მანი, სხვა კანონიკურ სტატიებს შორის შეიცავს გრიგოლ ნოსე-ლის კანონიკურ ეპისტოლებს:

„ეპისტოლე კანონიანი წმიდისა გრიგოლი ეპისკოპოსისა ნოსელისა და, წმიდათაგანისა ლიტო ს მიმართ ეპისკოპო-სისა მელიტინელთამ“ 267r-274r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია: [გაბიძაშვილი 1975: 509-520]. გამოცემაში A 171 ხელნაწერი აღნიშნულია D ლიტერით.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ლ. ქუთათელაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1976: 266-272].

A 177 კრებული

XVIII ს.; 812 გვ.; 21×30; ქაღალდი; ნაწერია ნუსხურად შავი მელნით; სათაურები სინგურით; გადამწერი გრიგოლ (გვ. 812).

შეიცავს დიდმარხვის საკითხავებს და იოანე სინელის „პლე-მაქსს“. საკითხავთა საერთო რიცხვია 10, მათ შორის:

„შემოსლვისათვეს მარხვათასა, თქმული წმიდისა მამისა ჩუმინისა გრიგოლი ნოსელისა“ A 177, გვ. 63-80.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია მ. ქავთარიას მიერ [A კოლექციის აღწ. 1976: 286-288].

A 182

სადღესასწაულო საკითხავები

XIII ს.; 362 ფურც.; 23,5×32; ტყავგადაკრული ფიცრის ფდა; ახლად რესტავრირებული; ქაღალდი; ნაწერია შავი მელ-ნით ნუსხურად; სათაურები სინგურით; გადამწერი იოანე (14r, 34r, 42v, 52r, 63v); XV-XVI სს-ში შეუკაზმავს ვინმე იოანეს (37v, 347r) XVIII-XIX სს-ში ეკუთვნოდა დოდორქის მონასტერს (25v).

სადღესასწაულო პომილეტიკური კრებული (ერთ-ერთი მინაწერი მას „მეტაფრასად“ მოიხსენიებს, 25v) შეიცავს 34 საკითხავს, მათ შორის:

„წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისად სიტყუად შობისათვეს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა და ჩჩკლ-თათვს, ბეთლემს მოწყუბდილთა“ 164v-179v.

შენიშვნები: 1. თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ [კეკელიძე 1957-ა: 26]

2. ტექსტი გამოქვეყნებულია: [კოჭლამაზაშვილი 2006 28-52]. A 182 ხელნაწერის ვარიანტები აღნიშნულია P ლიტერით.

„თავი იანგარსა ე. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისა განმარტებად სიტყუსა მის, ვითარ-მედ: ესე არს ბე ჩემი საყუარელი; და იკითხვების წინადღით განცხადებისა“ 192r-201r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია: [კოჭლამაზაშვილი 2002].

გამოცემაში A 182 ხელნაწერი გამოყენებული არ არის.

„შემოსლვისათვეს მარტვათა და სა, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისათვე“ 340r-348r.

შენიშვნა: 1. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ [კე-
კელიძე 1957-ა: 28]

2. სხვა ხელნაწერებში დასათაურებულია ასე: „თქუ-
მული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსე-
ლისათვე შემოსლვისათვეს წმიდათა მარტ-
ვათა და სა, რომელი იყითხვების კურიაკესა უძღები-
სასა“ (A 188,247v-252r). A 182-ში სათაურის გარ-
დაქმნა გამოიწვია იმან, რომ ამ საკითხავს კრებულში
წინ უძღოდა ანასტასი სინელის საკითხავი: „შემო-
სლვისათვეს მარტვათა და სა და მეექსისათვეს
ფსალმუნისა“ (322r-339v).

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია მ. ქავთარიას მიერ
[A კოლექციის აღწ. 1976, 292-299].

შენიშვნა: ხელნაწერის აშიებზე მრავალი მინაწერია. ისინი
გამოქვეყნებულია მ. ქავთარიას აღწერილობაში (გვ.
297-299).

A 186

გულანი

XVII-XVIII, ; 2322 გვ.; 44,5×27; ქალალდი; ნაწერია შავი
მელნით ნუსხურად; სათაურები სინგურით; გადამწერები: იესე
ბალდიაშვილი, ფარემუხა (გვ. 1467), მგალობელი თამაზ (გვ.
1938), აბრაკამ (გვ. 1610), მღვდელი საბა (გვ. 1715). დამკვეთი
– გენათელი ეპისკოპოსი ზაქარია. დიდი ზომების გამო აკინძუ-
ლია სამ წიგნად.

მრავალ საღმრთოს მსახურო წეს-განგებასთან ერთად შეი-
ცავს წყლის კურთხვის განგებას გიორგი მთაწმიდელის ეული
„კურთხევანიდან“ (გვ. 958-961; 2077-2082), რომელშიც წყლ-

ისკურთხევის დიდ ლოცვას („დიდ ხარ შენ, უფალო...“) წინ უძღვის პროლოგი:

„ლოცვა მა თქუმული წმიდისა ნოსელი სა“.

შენიშვნა: 1. კურთხევანის თავები A 186 გულანისა ბიბლიოგრაფირებულია [კოჭლამაზაშვილი 2002-ბ].

A 188

ჰაგიოგრაფიული კრებული

XIII ს., 289 ფურც.; თავბოლონაკლული, უყდო, დაშლილი; აკლია შუაშიც; ქაღალდი; ნაწერია შავი მელნით ნუსხურად; სათაურები სინგურით.

წმიდათა ცხოვრება-წამებების გარდა შეიცავს ერთი-ორ სადღესასწაულო ჰომილიასაც (შემორჩენილ თხზულებათა საერთო რაოდენობა – 28); მათ შორის:

„თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი სამა შემოსლვისათვის წმიდათა მარტვათა მა რომელი იკითხვების კურიაკესა უძღვისასა“ 247v-252r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ [კავალიძე 1957-ა: 28]

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია მ. ქავთარიას მიერ [A კოლექციის აღწ. 1976, 321-325].

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ბოლო ფურცლები (278-289) სხვადასხვა თხზულებათა ფრაგმენტებია; მათ შორის ფურც. 286-289 სხვა (მცირე ფორმატის, 38×26,5) ხელნაწერის ნაწილია; შემორჩენილია ქვესათაური: „თავი მეორე, მარხვისათჯვე“.

A 215

დიდნი კურთხევანი

XVI-XVII სს.; 262 ფურც.; 15×10,5; ქაღალდი; კოლენ-კორგადაკრული მუყაოს ყდა; თავნაკლული; ნაწერია შავი მელნით

ნუსხურით; სათაურები სინგურით; ბოლონაკლული; გადამწერი ბასილი (159r).

„კურთხევანი“ სხვა თავებთან ერთად შეიცავს ნათლისლების წყლისკურთხევის გიორგი მთაწმიდელისეულ რედაქციას (46r-64v), რომელშიც წყლისკურთხევის დიდ ლოცვას („დიდ ხარ შენ, უფალო...“) წინ უძღვის პროლოგი:

„ლოცვა, თქმული წმიდისა ნოსელისა“.

შენიშვნა: 1. კურთხევანის თავები ბიბლიოგრაფირებულია [A კოლექციის აღწ. 1980: 17; კოჭლამაზაშვილი 2002-ბ].

A 267

დოგმატიკონი

1778 წ., 1+292 ფურც.; 30,5×21; შავი ფერის ტგიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; სისქე 4 სმ.; ყდის წინა მხარეს გამოსახულია „ხელთასხმა“, უკანა მხარეს „ხარება“; თეთრი, კარგი ხარისხის ქაღალდი; ამოცვენილია ფურც. 286-287; აქვს ჭვირნიშანი: სამი ნახევარმთავარებულია და დაზიანებულია ერთ სვეტად; ნაწერი არე – 23×12,5; სათაური და საწყისი ასოები სინგურით; თავნაკლული; გადაწერილია დაზიანებული დედნიდან (დატოვებულია თეთრი ლაქები); გადამწერი – ხუცესმონაზონი იოანე გაბაონელი (291v); დამკვეთი – დავით ბოდბელი მიტროპოლიტი (291v); გადაწერის ადგილი – დავით-გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერი (291v); დაუწერელია: 1v, 2v, 223v-225v, 292r-v.

შეიცავს არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ შეტანილ ზოგიერთ თხზულებას, მათ შორის:

„წმიდათაგნისა მამისა ჩუმნისა იოანე მანსურ წოდებული ისა სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს გამოკრებულნი წამებათა ანი, რომელთა მიერ ყოველივე კათოლიკე ეკლესისა სარწმუნოებად განცხადებულად გუშსწავების, ღმრთისმეტყუბლებისასა ვიტყვ ქადაგებასა და სამღრთოხსა განგე-

ბულებისა სიტყუასა და სხუათა მართალთა ეპკლესიისა სჯულთა უცომელობასა“ (44r-129r), რომელშიც შეტანილია ამონარიდები წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან:

ნოსელისამ „მამაო ჩუენოვსა“ თარგმანისაგან 47r-v
 გრიგორი ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისაგან 50r
 გრიგოლის, ევნომის ძლითისა სიტყუასაგან 59r
 გრიგორი ნოსელისამ, საკათაკუმეველოვსაგან 65r-v
 გრიგორი ნოსელისამ, პასექის ძლითისა სიტყუასაგან 66r-v
 გრიგორი ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისა სიტყუასაგან 69r
 ნოსელისამ „მამაო ჩუენოვსაგან“ 75r
 ნოსელისამ ევნუმის მიმართისა სიტყუასაგან 77v-78r
 ნოსელისამ, სწავლითისა მის დიდისა საკითხავისაგან 79r
 მისივე (გრიგოლ ნოსელისა), ევნუმის მიმართისაგან 79r-v
 ნოსელისამ ევსტათის მიმართისა ეპისტოლისაგან წმიდისა
 სამებისათუს 81r
 გრიგორი ნოსელისამ, ევნომის მიმართისაგან 83v-84r
 ნოსელისამ, ნეტარებათათუს მეოთხისა თავისაგან 84v-85r
 ნოსელისამ, [ნეტარებათათუს მეოთხისა თავისაგან] (გამეო-
 რება წინა ციტატის დასაწყისი ფრაზისა) 86v
 ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისაგან 90r
 მისივე, ევნომის ძლითისაგან 90v
 და შემდგომად მრავლისა 90v
 მისივე, აპოლინარის ძლითისაგან 90v
 ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისაგან, რომლისა დაწყებამ
 ესე არს: „ეკთიოლმცა იყო...“ 93r-94v
 ნოსელი, სიტყუასებასა შინა ექუსთა დღეთასა 94v
 მისივე, ევნომისთუს მეორისა სიტყუასაგან 94v-95r
 მისივე, პასექის ძლითისა სიტყუასაგან 95r
 მისივე, ლოცვისათუს მეოთხისა თავისაგან 95r
 ნოსელისამ: „ამისთუს ვიტყვთ, ვითარმედ...“ 100v
 ნოსელისამ, მეათეჭესმეტისა თავისაგან „კაცისშესაქმისა“ 101r
 მისივე, საკათაკმევლისაგან 101r

ეგრეთვე შემდგომი ამისი, ნოსელისამვე, ევნომის მიმართისაგან 10lr

წმიდისა გრიგორი ნოსელისამ, აპოლინარის დასამჯობელისაგან სიტყვსმწერლობისა 160v-161r

წმიდისა გრიგორი ნოსელისამ, სწავლითისა სიტყვსაგან 178v

წმიდისა გრიგორი ნოსელისამ ევნომის მიმართისა სიტყვსაგან 204r

შენიშვნა: „გამოკრებანი წამებათანი“ ამ ხელნაწერში შეიცავს 30 თავს. 31-ე თავი (როგორც ჩანს, დედის დაზიანებისა და ფურცლების არევის გამო) კრებულის სხვა ნაწილშია გადატანილი (231r-237v).

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1980, 128-133].

ანდერძი: „ყოველთა ვევედრები, მხილველთა და აღმომკითხველთა ამა ყოვლად სასურისა დოლმატისათა, რომელიცა ყოვლადსამღუდელოს დიდის მიტროპოლიტის ბოდბელის დავითის მიერ ებრძანა სიგლახაკესა ჩემსა აღწერად ღმრთივგბრწყინვალისა ამის წიგნისა, დოლმატად წოდებულისა, უღირსსა და უცხოსა ყოვლისა სათნოებისაგან ხუცესმონაზონსა იოანეს, ტომობით გაბაონელსა, რომელიცა აღვსწერე მონასტერსა შინა დავით-გარესჯისასა, მრავალმთოვანსა, სადაცა შენ არს წმიდისა დიდებულისა ნათლის მცემლის სახელზე აღშენებული მონასტერი, სულთასაცავი მართლმორწმუნეთა, დროსა და მპყრობელობასა ყოვლისა ქართლისა და კახეთისა შეფისა ირაკლი მეორი ისასა, წელთა დასაბამითგან ქსპვ, ხოლო ქრისტესითგანსა გარდასრულთა წელთა 1778, რამთა მხილველთა ამისთა შენდობა ჰყოთ ცოორმილებისა რამსათუსმე, ვითარცა უძლურისა და გამოუცდელისა, რომელსა უმეცრებისა ძლით და ახალმოსწავლეობისათვეს მწერლობისა, არცადა კალმისა შეხება მეძლოწიგნისა ამის წინამდებარისა, უკუშოუმცა ზემო მოქსენებულისა დიდისა უფლისა ბოდბელ მიტროპოლი-

ტის მორჩილების უღელს არ განეზდა აპეური უძლურებისა ჩემისა, უფროსდა უმეცრებისა და გამოუცდელობისა. ყოველთა შენდობა ყავთ, უფალნო. აღიწერა ოკდონბერსა დ, ქრონიკონს ქართულს ოდვ“ (291v).

შენიშვნა: მრავალრიცხოვან მინაწერთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია თ. ბრეგაძის აღწერილობაში (გვ. 132-133).

A 269

დოგმატიკონი

1785 წ.; 11+283 ფურც.; 34,7×21; შავი ფერის ტვიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; სისქე 6 სმ; კარგი ხარისხის თეთრი ქალალდი; დალაქავებული და ნაწილობრივ ჭითისაგან გამოხრული; ნაწერი არე 23,5×12,5; ნაწერია ნუსხურით; სათაურები და თაური ასოები სინგურით; აქვს რვეულებრივი სათვალავი; გადამწერი – დიმიტრი ხუცესი (282r); დამკვეთი – დავით ბოდბელი (281v-282r); დაუწერელია: Ir-IIv, 1v, 247v-249v; 262v; 282v; 283r-v.

შეიცავს არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ შეტანილ ზოგიერთ თხზულებას, მათ შორის:

„წმიდათაგანისა მამისა ჩუშნისა იოანე მანსურ წოდებულისა სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს გამოკრებულ ნი წამებათანი, რომელთა მიერ ყოველივე კათოლიკე ეკკლესიისა სარწმუნოებად განცხადებულად გულისწავების, ღმრთისმეტყუშლებისასა ვიტყვა ქადაგებასა და საღმრთომ განვებულებისა სიტყუასა, და სხუათა მართალთა ეპკლესიისა სჯულთა უკოთომელობასა“ (68v-152v), რომელშიც შეტანილია ამონარიდები წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან:

ნოსელისამ „მამაო ჩუენოხსა“ თარგმანისაგან 71v-72r
გრიგორი ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისაგან 74v-75r
გრიგოლისი, ევნომის ძლითისა სიტყვსაგან 83v-84r

- გრიგორი ნოსელისამ, საკათაკუმეველომსაგან 90r
გრიგორი ნოსელისამ, პასექისა ძლითისა სიტყვსაგან 91r
გრიგორი ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისა სიტყვსაგან 93v
ნოსელისამ „მამაო ჩუენომსაგან“ 99v
ნოსელისამ ევნომის მიმართისა სიტყვსაგან 102r-v
ნოსელისამ, სწავლითისა მის დიდისა საკითხავისაგან 103r-v
მისივე (გრიგოლ ნოსელისა), ევნომის მიმართისაგან 103v-
104r
ნოსელისამ ევსტათის მიმართისა ეპისტოლისაგან წმიდისა
სამებისათუს 105v
გრიგორი ნოსელისა, ევნომის მიმართისაგან 108r-v
ნოსელისა, ნეტარებათათუს მეოთხისა თავისაგან 109r-v
ნოსელისა, [ნეტარებათათუს მეოთხისა თავისაგან] (გამეორე-
ბა წინა ციტატის დასაწყისი ფრაზისა) 111r
ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისაგან 115r
მისივე, ევნომის ძლითისაგან 115r
და შემდგომად მრავლისა 115r
მისივე, აპოლინარის ძლითისაგან 115r
ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისაგან, რომლისა დაწყებამ
ესე არს: „კეთილმცა იყო...“ 117v-119r
ნოსელი, სიტყვსგებასა შინა ექუსთა დღეთასა 119r
მისივე, ევნომისთუს მეორისა სიტყვსაგან 119r-v
მისივე, პასექის ძლითისა სიტყვსაგან 119v
მისივე, ლოცვისათუს მეოთხისა თავისაგან 119v
ნოსელისამ: „ამისთუს გიტყვთ, ვთარმედ...“ 124v
ნოსელისამ, მეათექუსმეტისა თავისაგან „კაცისშესაქმისა“
125r-v
მისივე, საკათაკუმევლოსაგან 125v
ეგრეთვე შემდგომი ამისი, ნოსელისამვე, ევნომის მიმართი-
საგან 125v
წმიდისა გრიგორი ნოსელისამ, აპოლინარის დასამკობელი-
საგან სიტყვსმწერლობისა 183v-184r
წმიდისა გრიგორი ნოსელისამ, სწავლითისა სიტყვსაგან 201v

წმიდისა გრიგორი ნოსელისა ევნომის მიმართისა სიტყუ-
საგან 227r-v

შენიშვნა: „გამოკრებანი წამებათანი“ ამ ხელნაწერში შეი-
ცავს 30 თავს.

ამავე ხელნაწერში შეტანილია ფრაგმენტი წ. გრიგოლ
ნოსელის „გრიგოლ საკურველომოქმედის ცხოვრებიდან“:

„დიდებისმეტყუელებად სამებისად, რომელი მოეცა დედისა
ღმრთისა და იოანე ღმრთისმეტყუელისა მიერ წ მიდასა გრი-
გოლის, საკურველომოქმედსა, ნოსელის ა 56v-57r.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ
[A კოლექციის აღწ. 1980, 133-137].

შენიშვნა: ხელნაწერის ანდერძი (281v-282r) და მრავალრი-
ცხოვან მინაწერთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია თ.
ბრეგაძის აღწერილობაში (გვ. 136-137).

A 272

საწელიწლო მეტაფრასი

1817 წ.; 02+312 ფურც.; ბოლონაკლული; ტყავგადაკრული
ტვიფრული ყდა; აქვს რვეულებრივი სათვალავი (35 რვეული);
ლურჯი ქალადი; ნაწერია ნუსხურით; სათაურები სინგურით.
გადამწერი ოსე გაბაშვილი (23v, 38r, 45r, 67v, 184v, 290v,
304v); ხელნაწერი შეუძნია ცნობილ ბიბლიოფილს მღვდელ-
მონაზონ ნიკონ ჯობინაშვილს (9v). თავისუფალ ფურცლებზე
მისი შეკვეთით დაუხატავთ ძველი და ახალი აღთქმის მოვლენა-
თა ამსახველი პრიმიტიული სურათები (1r-5r). დაუწერელია
01r-02v, 1v, 2v, 5v-10r, 74v, 185r-v, 195v-196v, 212r-217v,
252v, 307r-312v.

შეიცავს პომილეტიკურ საკითხავებს მარხვისა და ზატიკის
ციკლისათვის (10r-184v) და უძრავ დღესასწაულთათვის (186r-
306v), სულ 48 საკითხავს; მათ შორის:

„წმიდათა შორის მამისა ჩუმინისა გრიგორი ნოსელი -

სა ა. თხრობამ პოვნისათუს საღმრთოესა ძელისა [და] პელთუ-ქმნელისა ხატისა კამულინ ეს, რომელი გამოუჩნდა უამთა დიოკლეტიანე მეფისათა ნეტარსა ბასის, ხოლო გამოცხადნა მეფობასა დიდისა მორწმუნისა მეფისა თეოდოსისა“ 79v-83v.

შენიშვნა: თხზულება ფსევდოპიგრაფიკულია [კეკელიძე 1957-ა: 28].

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია ლ. ქუთათელაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1980, 137-146].

ანდერძი (გადმწერისა): „აღმომკითხველნო ძმანო და მა-
მანო, აქა შენდობა მიბანეთ მე, ყოვლად უდირსსა
ხუცესსა ოსეს გაბაშვილს, ზაქარია მოძღურის ძეს,
რომელმან მრავლის შრომით აღვწერე სეკდენბრის კდ,
მარხუს და ზადიგის მეტაფრასი ესე, ქრისტეს აქათ
ჩყიზ“ [1817 წ.] (184v)

შენიშვნა: კრებულს ერთვის სხვა მრავალი ანდერძ-მინაწე-
რიც; გამოქვეყნებულია ლ. ქუთათელაძის აღწერილო-
ბაში (გვ. 145-146).

A 306

დიდნი კურთხევანი

XVI ს. ხელნაწერი. „კურთხევანი“ სხვა თავებთან ერთად
შეიცავს ნათლისძების წყლისკურთხევის გიორგი მთაწმიდელი-
სეულ რედაქციას (2r-3v, 5r-v, 4r), რომელშიც წყლისკურთხევის
დიდ ლოცვას („დიდ ხარ შენ, უფალო...“) წინ უძღვის პროლოგი:
„ლოცვა ა. თქუმული წმიდისა ნოსელი სა“.

შენიშვნა: 1. კურთხევანის თავები ბიბლიოგრაფირებულია
[კოჭლამაზაშვილი 2002-ბ].

A 382

პომილეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული

XV-XVII სს. 382 ფურც.; 38,5×27; სხვადასხვა დროის ხელნაწერების ნაკრები; ქაღალდი, გაყვითლებული, დაზიანებული, ნაკლები; ახლად რესტავრირებული; აქვს გვიანდელი (ხელახალი აკინძვის თანადროული, XVIII ს.) რვეულებრივი აღრიცხვა ასომთავრულითა და არაბული ციფრებით (ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა). ყავისფერ ლედერინგადაკრული მუყაოს ყდა; ახლად აკინძული; ფურცელთა რიგი ბევრგან არეულია. 51-52 ფურცლებს მარჯვენა ნახევარი ჩამოხეული აქვს. ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად (242, 307, 368 ფურცლები – ერთ სვეტად); სათაურები და თავგიდური ასოები – სინგურით. 178v-ს კადეზე – შავი ფანქრით დახატული ბაგრატ ტავრომენელი (მინაწერი: „ბაგრატ“); 307v-ზე ასევე შავი ფანქრით – ოთანე მოწყალე (ნახატებიც და წარწერებიც გვიანდელია); 382-ე ფურცელი სხვა ხელნაწერიდანაა აქ მოხვედრილი. აქვს ჭვირნიშანი; გადამწერები: ეპიფანე (54რ, 138v, 141v), იერემია (67v, 100v, 107v, 108v), რუთი (138r), დიმიტრი (310რ); დაუწერელია: 97v-98რ, 308რ, 309რ-v, 373v.

შეიცავს სადღესასწაულო პომილიებსა და წმიდათა ცხოვრება-წამებებს. ფურცლების მიმდევრობის არევის გამო საკითხავთა კალენდარული თანმიმდევრობაც არეულია (ივნისი, ივლისი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, აგვისტო, ივლისი...). სულ შემორჩენილია 84 საკითხავი. 50-ე საკითხავად შეტანილია:

„ნოენბერსა იზ: ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ყოვლადქებულისა გრიგოლი საკურველთ მოქმედი სამ, აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელი სა“ (219v-235v)

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ [კეპლიძე 1957: 166]. ტექსტი გამოქვეყნებულია ორჯერ [მრევლიშვილი 2001-ა: 79-133; კოჭლამაზაშვილი 2009-ა]

ხელნაწერი დაწერილებით აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1985, 118-133]. ამავე ხელნაწერის შესახებ იხ. პ. კეკელიძე, ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია: თსუ შრომები, ტ. 30ბ-31ბ, 1947, 35.

შენიშვნები: 1. ხელნაწერს ერთვის მოგვიანებით (XVII ს.) შედგენილი ზანდუკი (380r-381r).

2. კრებულს ერთვის მრავალი ანდერძ-მინაწერი. გამოქვეყნებულია თ. ბრეგაძის აღწერილობაში.

A 388

თეოდორე სტუდიელი, სწავლანი

XII-XIII სს.; 109 ფურც.; 19×14; ეტრატი (პირველი ფურცელი – ქადალდია); ბოლონაკლული; ყავისფერი ტვიფრული ტყავგადაგრული ხის ყდა. ნაწერია ნუსხურით; სათაურები და თაური ასოები – სინგურით. გადამწერი – პეტრე მწერალი (38r); ხელნაწერი, როგორც მინაწერებიდან ჩანს, 1654 წელს ლაბეჭინის მთავარანგელოზის ეკლესიიდან რუსეთში წაუღია მღვდელმონაზონ ევდემონ ინასარიძეს. წიგნი დაფურცლული ყოფილა, ამიტომ იგი შეუკვრევინებია მოსკოვში. ამის შემდეგ ხელნაწერი მოხვდერილა კირილეს მონასტერში (რუსეთშივე), ხოლო 1845 წელს იგი შეუძენია მღვდელ იოსებ ჩიტაძეს თეირანში სომხის ეკლესიის მნათისაგან (1r-v, 2r-v, უკანა ყდის v).

შეიცავს თეოდორე სტუდიელის „სწავლანს“, რომელიც იკითხება დიდ მარხვაში (ყველიერის კვირიაკიდან დიდ ოთხშაბათამდე), სერობის ლოცვის შემდეგ. „სწავლანი“ თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ.

„სწავლანის“ ტექსტს ერთვის დიდი მარხვისათვის განკუთვნილი რამდენიმე სხვა საკითხავიც; მათ შორის:

„წმიდისა მამისა ჩუმნისა გრიგოლ ნოსელისა ად შესხმად წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორე ტორონისა ად, ფეხერვალსა იზ“ (109r-v).

შენიშვნები: 1. თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის

მიერ [კეკელიძე 1957-ა: 27].

2. ხელნაწერის ბოლო ფურცლების დაკარგვის
გამო ტექსტი ბოლონაკლულია.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ
[A კოლექციის აღწ. 1985, 150-154].

შენიშვნა: კრებულს ერთვის მრავალი ანდერძ-მინაწერი; გა-
მოქვეყნებულია თ. ბრეგაძის აღწერილობაში.

A 394

ბასილი კესარიელის „სწავლან“

და „თარგმანებად ფსალმუნისაა“

XVIII ს.; 307 ფურც.; 32×21; აქვს რვეულებრივი აღრიცხვა
მთავრულით; ქალალდი, დალაქავებული. ამოცვენილია ფურც.
1-7, 302, 305; დაზიანებულია ფურც. 23, 141; ტვიფრული
ტყავგადაკრული ხის ყდა. ზემო ყდის შუა ნაწილი ამომწვარია;
ჰქონია 3 საკეტი; ყდაზე ამოტვიფრულ გამოსახულებებს სლა-
ვური წარწერები აქვს; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად. სათაუ-
რები და თაური ასოები სინგურით; დაუწერელია 305v-306v,
307v.

შეიცავს ბასილი კესარიელის „სწავლანსა“ (1r-9v, 73r-199r)
და ფსალმუნის განმარტებას (199r-290v); კრებულს ერთვის
რამდენიმე თხზულება სხვა ავტორებისაც (გრიგოლ ნაზიანზე-
ლი, გრიგოლ ნოსელი, სოფრონ იერუსალიმელი), მათ შორის:

„წმიდისა მამისა ჩუქნისა გრიგოლი ებისკოპოსისა ნო-
სელისა შესხმა წმიდისა და დიდისა ბასილისათკს, მმი-
სა თვესისა“ 33v-37v.

შენიშვნები: 1. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელი ს
მიერ [კეკელიძე 1957-ა: 26].

2. ტექსტი გამოცემულია [კობიაშვილი 2008].

A 394 ხელნაწერი გამოცემაში აღნიშნულია D ლიტე-
რიოთ.

„ნოენბერსა იზ: ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ყოვლადქებულისა გრიგოლი საკურველთმოქმედისა, აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა გრიგოლ ნოსელისა“ 38r-57r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ [კეპლიძე 1957-დ: 166].

2. ტექსტი გამოქვეყნებულია ორჯერ [მრევლიშვილი 2001-ა: 79-133; კოჭლამაზაშვილი 2009-ა]. ამ გამოცემებში A 394 ხელნაწერი გამოყენებულია არაა.

„თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუმნისა გრიგოლი ნოსელისა, ქალწულებისათკს და საღმრთოხსა მოქალაქობისა“ 302v-303v.

შენიშვნები: 1. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ [კეპლიძე 1957-ა: 28].

2. ხელნაწერში შეტანილია მცირე ფრაგმენტი გრიგოლ ნოსელის თხზულებისა.

3. ტექსტი ერთვის სადისერტაციო ნაშრომს [ზვიადაძე 2004]. ტექსტის დადგენისას A 394 გამოყენებული არაა.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ [A კოლექციის აღწ. 1985, 168-173].

შენიშვნები: 1. კრებულს ერთ-ერთ თხზულებას ერთვის მთარგმნელის (ეფთვიმე მთაწმიდელის) ანდერბი; გამოქვეყნებულია თ. ბრეგაძის აღწერილობაში (გვ. 171).

2. ბასილის „სწავლანის“ ტექსტი გამოქვეყნებულია: ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელი-სეული თარგმანი, გამოსაცემად მომზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთოւ ც. ქურციკიძემ, თბ., 1983.

A 450

დიდი კურთხევანი

XVII ს.; 610 ფურც.; 18,4×13,5; გადაწერილია ქაჯის ციხეში. გადამწერი – მღვდელი ქრისტესია.

ესაა გიორგი მთაწმიდელის „დიდთა კურთხევათა“ ბაზაზე შექმნილი ერთ-ერთი პოსტათონური კურთხევანი [იხ.: კოჭლამაზაშვილი 2002-ბ]. ერთვის გამოკრებილი სწავლანი წმიდა მამათა თხზულებებიდან, მათ შორის:

„ნო ს ე ლ გ რ ი გ თ ლ ი ს ა: პირმშონი ბოროტთა ვნებათანი არიან გულისთქმა[ღ] და გულისწყრომა[ღ], რამეთუ ყოველნი ვნებანი ამათ შეუდგიან, და რომელმან ესე მოაკუდინოს, ვითარ-მცა თავი გულისა შეუმუსრავს. ხოლო მთავარ ყოვლისა არს გონიერებამ, რამთა უფლებდეს მათ ზედა და არა მძლე ექმნენ ორნი იგი გონიერებასა“ 520v.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია პ. კეკელიძისა და ლ. ქუთათელაძის მიერ [ქართული 1908; A კოლექციის აღწ. 1986, 137-144].

A 504

დიდი კურთხევანი

XV-XVI ს.; 1+210 ფურც.; 20×14,5; შავ ტვიფრულ ტყავ-გადაქრული მუყაოს ყდა; ქაღალდი; ნაკლული; ნაწერია ნუსხურით; სათაურები სინგურით. გადამწერი – მარკოზ ბერი (18v, 210r)

„კურთხევანი“ სხვა თავებთან ერთად შეიცავს ნათლისლების წყლისკურთხევის გიორგი მთაწმიდელისეულ რედაქციას (41r-47v), რომელშიც წყლისკურთხევის დიდ ლოცვას („დიდ ხარ შენ, უფლო...“) წინ უძღვის პროლოგი:

„ლოცვა მ, თქუმული წმიდისა ნო ს ე ლ ი ს ა“.

შენიშვნა: 1. კურთხევანის თავები ბიბლიოგრაფირებულია

[A კოლექციის აღწ. 2004: 8-9; კოჭლამაზაშვილი 2002-ბ].

A 519

დიდნი კურთხევანი

XVII სს.; 111 ფურც.; 15,5×11; ყავისფერ კოლენკორგადა-კრული მუყაოს ყდა; ქაღალდი; ბოლონაკლული; ნაწერია ნუსხუ-რით; სათაურები სინგურით.

„კურთხევანი“ სხვა თავებთან ერთად შეიცავს ნათლისლე-ბის წყლისკურთხევის გიორგი მთაწმიდელისეულ რედაქციას [„განგებად წ ისა ღ ისა გამოცხადებისა“; 104r-105v, 106v-r, 107r-111v (ბოლონაკლული)], რომელმიც წყლისკურთხევის დიდ ლოც-ვას („დიდ ხარ შენ, უფალო...“) წინ უძღვის პროლოგი:

„ლოცვა და, თქმული წმიდისა ნოსელისა“ (ბოლონაკ-ლული).

შენიშვნა: 1. კურთხევანის თავები ბიბლიოგრაფირებულია [A კოლექციის აღწ. 2004: 103; კოჭლამაზაშვილი 2002-ბ].

A 584

სამოციქულო

1083 წ., 265 ფურც.; ეტრატი (1-25, 27-249) და ქაღალდი (26, 250-265); ტვიფრული ტყავით შემოსილი ფიცრის ყდა; ნაკლული; ნაწერია ნუსხურთ; საზედაო ასოები მთავრულით; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; გადამწერი – გიორ-გი ხუცეს-მონაზონი (229r); არქიმანდრიტ ტარასი ალექსი-მესხიშვილს შეუწირავს ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკი-სათვას (249r).

სამოციქულოს ტექსტთან ერთად შეიცავს სარწმუნოების სიმბოლოთა ტექსტებს და სხვა დოგმატურ სტატიებს; მათ შორის: „განჩინება სარწმუნოებისა, დადებულისა და იოვანეს მიერ

ღმრთისმეტყუელისა გამოცხადებით საკურველომოქმედისა გრიგოლის მიმართ, ვითარცა ხუაშნებითა ღმრთისმშობელისათა; და ესე იგი სარწმუნოებად არს, რომლისათვის გრიგოლ საკურველომოქმედმა ილოცა და ჩუენებით ღმერთმან ასწავა და მან დაწერა ძილსა შინა და, ოდეს განედუძა, კელთ აქუნდა. — ერთ არს ღმერთი, მამად სიტყვისა ცხოველისად“ 240r-241r.

შენიშვნა: 1. ეს „განწესება“ ამოღებულია წ. გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველომოქმედის ცხოვრებიდან“. ტექსტი გამოცემულია: [მრევლიშვილი 2001-ა: 47; მრევლიშვილი 2001-ბ; კოჭლაძაშვილი 2009-ა]

ხელნაწერი დეტალურად აღწერა ც. ჭავჭავაძე [A კოლექციის აღწ. 2004: 212-216]

A 613

მარხვის მეტაფრასი

XVII ს.; რვეულებად დაშლილი, დიდი ფორმატის ხელნაწერი; ნაწერია ნუსხურად ორ სვეტად; თითოეულ სვეტში 39 სტრიქონია.

შეიცავს დიდი მარხვის საკითხავებს; მათ შორის: „თქემული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა და, შემოსლვისათვის წმიდათა მარხვათა სა 86v-89v.

A 615

მარხვისა და ზატიკის საკითხავები

XVI-XVII სს.; უყდო, დაფურცლული; ქაღალდი; სხვადასხვა დროის სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტები. ფურცლები პირობითად დაჯგუფებულია ფორმატისა და ხელის მიხედვით; გამოიყოფა 8 ასეთი ჯგუფი, სულ 51 ფურცელია ($31+6+1+1+1+2+1+8 = 51$); ფურცელთა უმეტესობის (31 ფ.) ფორმატია

39×27. ნაწერია ორ სვეტად, კალიგრაფიული წვრილი ნუსხურით, შავი მელნით; სათაურები სინგურით; თითოეულ სვეტში 37 სტრიქონია; დაწერილი არე 27,5×15,5 ფურცლები კიდეებ-შემოცვეთილია, ამჟამად რესტავრირებული; სხვა ფრაგმენტების (8 და 6 ფფ.) ნაწერი არის ზომებია 21,5×15 და 24,5×15,5; სვეტებში სტრიქონთა რაოდენობა – 30 და 27 (შესაბამისად).

შეიცავს მარხვისა და ზატიკის პომილეტიკურ საკითხავთა ფრაგმენტებს, მათ შორის:

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა, მკუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა“ (პირობითი ნუმერაციის 22r-v, 46r-47v, 54r-v ფურცლები).

A 624

დიდი კურთხევანი

1707 წ. ხელნაწერი. „კურთხევანი“ სხვა თავებთან ერთად შეიცავს ნათლისღების წყლისკურთხევის გიორგი მთაწმიდელი-სეულ რედაქციას (126r-130r), რომელშიც წყლისკურთხევის დიდ ლოცვას („დიდ ხარ შენ, უფალო...“) წინ უძღვის პროლოგი:

„ლოცვა დ, თქუმული წმიდისა ნოსელისა“.

შენიშვნა: 1. კურთხევანის თავები ბიბლიოგრაფირებულია [კოჭლამაზაშვილი 2002-ბ].

A 633

დიდი კურთხევანი

XVII ს. ხელნაწერი. „კურთხევანი“ სხვა თავებთან ერთად შეიცავს ნათლისღების წყლისკურთხევის გიორგი მთაწმიდელი-სეულ რედაქციას (102r-109r), რომელშიც წყლისკურთხევის დიდ ლოცვას („დიდ ხარ შენ, უფალო...“) წინ უძღვის პროლოგი:

„ლოცვა დ, თქუმული წმიდისა ნოსელისა“.

შენიშვნა: 1. კურთხევანის თავები ბიბლიოგრაფირებულია [კოჭლამაზაშვილი 2002-ბ].

A 649

ასკეტიკური კრებული

XVIII-XIX სს.; 210 ფურც.; აკინძულია შავ ტგიფრულ ტყავგადაკრულ ფიცრის ყდაში; აქვს ტყავისავე სამი საკეტი; $32,5 \times 21,5$; სისქე 5 სმ.; ქაღალდი; ნაწერია მხედრულად, ერთ სვეტად; ნაწერი არე $23,5 \times 15,5$; დაუწერელია 128v-129v.

შეიცავს წმ. მამათა სადღესასწაულო სწავლას (ჰომილიებს) და წმიდათა ცხოვრება-წამებებს (განსაკუთრებით დედათა მოწესეთა და მოღვაწეთა ცხოვრებას), აგრეთვე გრიგოლ რომაელის „დიალოგს“ (173r-209r). საკითხავთა შორისაა:

„თქუმული წმინდისა (sic.) მამისა ჩვენისა გრიგოლი ნო სე დი სა, შესხმა წმინდისა და დიდებულისა მოწამისა თე გდო რე სი“ 137r-142v.

ანდერძი: „აღიწერა წიგნი ესე სულთა განმანათლებელი ულიორ-სის მღვდლისა მეტების დეკანოზის იესეს მიერ. მკითხველთაგან, შეცოომილებისა რასამე მხილველთა, შენდობის მოქენე. განსრულდა [...]კშ; ქვს უოგ“ (იქვე სხვა ხელით მიწერილია: 1785).

მინაწერები: 1. „ეს წიგნი მამათ ცხოვრება ვიყიდე მე, დავით ივანეს ძემ ამირიძემ იარმუნკაზედ (sic.) ალექსი პაპუნაშვილისაგან; მივეცი, რასაც იმის გული შესჯერდებოდა, წელსა ჩყმო-სა (1869), ოკტომბერს ა-სა. ვინც წაიკითხოთ, შენდობა უბძანეთ დამწერსაც და მყიდველსაც“ (109v).

2. ეს წიგნი არის ორას თორმეტი ფურცელი, დაწერილი და დაუწერავი“ (210v).

შენიშვნა: 1. კრებულს ერთვის „ზანდუქი“ (საძიებელი) (209v).

A 674

მეტაფრასი

XVIII ს.; 228 ფურც.; აკინძული შავ ტვიფრულ ტყავგადაკრულ კარტონში; 31,5×21; სისქე 5,5 სმ.; სქელი ქაღალდი; აქვს რვეულებრივი სათვალავი; თავბოლონაკლული, აკლია შიგადაშიგაც; ზოგი ფურცელი უადგილოდა ჩაკინძული; ორ სვეტად ნაწერი შავი მელნით ნუსხურად; თითოეულ სვეტში 30 სტრიქონი; სათაურები სინგურით; ნაწერი არე 23×13; ზოგ ფურცელს კიდეები შემოხეული აქვს და ამის გამო ტექსტის ნაწილი დაკარგულია (12, 13, 36, 51, 52, 59, 67-81, 121, 130, 155, 156, 207).

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებსა და დიდ წმიდათა ცხოვრება-წამებას კალენდარულ რიგზე (იწყება სექტემბრის დღესასწაულებით; ჩართულია მარხვისა და ზატიკის საკითხავებიც), მათ შორის:

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა მკუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუენისა იესუქრისტესისა“ (193r-216r).

შენიშვნები: 1. გრიგოლ ნოსელის საკითხავის ტექსტი ნაკლულია.

2. კრებულში შედის ორი აპოკრიფული თხრობა: „ნოემბერსა დ. მიმოდასლვა მოციქულთა, ოდეს-იგი წარავლინა უფალმან მოციქული ანდრია სოფელსა მას კაცისმჭამლთასა“ (18v-29v) და „ივნისსა კთ. თითოსახეთაგან და მიმოდაბნეულთა თხრობათა ერთად შეკრებული მოსაქსენებელი წეთა და ყოვლადქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი“ (220r-228v). ტექსტი ნაკლულია.

A 848

დოგმატიკონი

1767 წ.; 244 ფურც.; შავ ტვიფრულ ტყავგადაკრულ ფიცრის ყდაში აკინძული, ტყავისავე სამი საკეტით; მრგვალი ყუით;

33,3×23,5; სისქე 4,5 სმ.; თეთრი, კარგი ხარისხის ქალალდი; ნაწერი ერთ სვეტად ნუსხურით, შავი მელნით; სათაური და თავკიდური ასოები სინგურით; ნაწერი არე 23,5×13; აშიებზე ერთვის მრავალრიცხოვანი მინაწერები; დაუწერელია 195v-197v; 244r-v. კრებულის შედგენილობის შესწავლით ირკვევა, რომ მის მნუსხველს ხელთ ჰქონია დეფექტური და ფურცელ-არეული დედანი, რის გამოც მასში შეტანილი ერთი თხზულების („გამოკრებანი წამებათანი“) ნაწილები A 848-ის სხვადასხვა ადგილას მოხვდა. კრებულის შედგენილობა ასეთია:

1. „მისივე, იოანე მონაზონისა ზუცისა დამასკელისა, ოქრონეკტარად სახელდებულისა, სიტყუა ნამუშაკევი დასამჯობელი ღმრთისმოძაგებულისა წვალებისა იაკობი[ჭ]თასა“ 1r-18v.

2. „მისივე, ქრისტეს შორის ორთა ნებათათუს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თვსებათა, გარნა შემოკლებული, და ორთა ბუნებათათუს და ერთისა გუამისა“ (18v-30v).

შენიშვნა: ერთვის: „თუ რაოდენგუარად ითქმის ხატება“ (30v-36r).

3. „წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იწე მანსურ წოდებულისა სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს გამოკრებულ-ნი (!) წამებათანი, რომელთა მიერ ყოველივე კათოლიკე ეპკლესიისა სარწმუნოებად განცხადებულად გუშსწავების, ღისმეტყულებისასა ვიტყვ ქადაგებასა და საღმრთოესა განგებულებისა სიტყუასა, და სხუათა მართალთა ეპკლესიისა ჰსჯულთა უცომელობასა“ (36r-110r; 182v-185r; 203r-209v).

ამ კომპილაციაში წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან შეტანილია:

ნოსელისა, მამაო ჩნოსა თარგმანისაგან (38v-39r).

გრიგორი ნოსელისაი, აპოლინარის ძლითისაგან (41r-v).

გრიგოლი ნოსელისა საკათაქმევლოსაგან (54r-v).

გრიგოლი ნოსელის პასექისა ძლითისა სიტყუსაგან (55r-v).

გრიგოლი ნოსელისა აპოლინარის ძლითისა სიტყუსაგან (57v).

ნოსელისა მამაო ჩუენოსაგან (62v-63r).

ნოსელისა ევნომის მიმართისა სიტყუსაგან (65r-v).

ნოსელისა სწავლითისა მის დიდისა საკითხავისაგან (66r-v).
მისივე, ევნომის მიმართისაგან (66v-67r).

ნოსელისა, ევსტათის მიმართისა ეპისტოლისაგან წმიდისა
სამებისათვეს (68r).

გრიგოლი ნოსელისა ევნომის მიმართისაგან (70v-71r).

ნოსელისა, ნეტარებათათვეს მეოთხისა თავისაგან (71v).

ნოსელისა, რომელი ყოვლითურთ გუეზიარა ჩუენ თჯიერ
ცოდვისა.

ნოსელისა, აპოლინარის ძლითისაგან (76v).

ნოსელისა, აპოლინარის ძლითისაგან, რომლისა დაწყება არს
ესე (აშიაზე მინაწერი: „კეთილმცა იყო“; „ესე თჯო აპოლინარ-
ისი არს ყოველივე, ხოლო მდე“) (79r-80r).

ნოსელის სიტყუსგებასა შინა ექუსთა დღეთასა (80r-v) [აშიაზე
მიწერილია: „შეისწავე, ვითარმედ მას საკითხავსა იტყუს
ნოსელისასა, მამისა გიორგის თარგმნილსა, რომელი არტანუჯისა
კრებამან განკუშთა, და ბერმან...“ (მინაწერი აქ წყდება; ჩანს, ამ
ადგილას დედანი ნაკლული იყო)].

მისივე, ევნომისთვეს მეორისა სიტყუსაგან (80v).

მისივე, პასექისა ძლითისა სიტყუსაგან (80v-81r).

მისივე, ლოცვისათვეს მეოთხისა თავისაგან (81r).

ნოსელისა: ამისთვეს ვიტყუ, ვითარმედ გონებისა მიმართ საჯ-
მარ არს ხედვამ, წინადაბმულთა ამათ სარწმუნოებისა სიტყუა-
თა, და არა ქმათა მიერ შეტყუშბა (85v).

ნოსელისა, მეთეუჭუსმეტისა თავისაგან კაცისშესაქმისა (86r).

მისივე, საკათაქმევლოსაგან: არამედ ამათდა მიმართ კუალად
იგივე ვიტყუმიოთ სიტყუა; ზემო დაწერილ არს მეათსამეტესა
თავსა ამათ წამებათასა, ეგრეთვე შემდგომი ამისი ნოსელისავე
ევნომის მიმართისაგან (86r).

4. „მისივე, შეკრება ჰსჯულთა ასოე[ული] ღირსისა ეპისკო-
პოსისა ლაოდიკელ[თასა]“ (110v-114r).

5. „თეოდორიტე ყ დ ღ ისმოფუარისა მონაზონისა და უფ-

როსად ბრძნისა ფილოსოფოსისა, თუ ვითარ სათანადო არს გულისქმისყოფა ს ღოთოსა და გარეშისა ფილოსოფოსობისა სიტყუათა“ (114r-140v).

შენიშვნა: 136v-138r-ში ჩართულია ექსცერპტები (ათანასე ალექსანდრიელისა, გრიგოლი ღმრთისმეტყველისა, ამბროსი მედიოლანელისა, ავღუსტინესი, კირილესი), და მათ შორის: გრიგოლი ნოსელისა, აპოლინარის დასამკობელისაგან სიტყუსმწერლობისა: აწ უკუნი, უკუშთუ ბუნებითი არს ქორცთა სამთავრო ყოფა... (137r-v)

6. „თჯოოსახეთა თავთა, ესე იგი არს გამოძიებით კითხულთა აღწენა ქრისტეს მიმართისა კეთილადმსახურებისათვის, და თანად მხილებაცა და უკურღვევად; ღთაებისა მიმართ და კაცებისა ქრისტესისა უთავოთა ურთიერთას წინააღმდეგომისა წვალებისამ ნესტორისგან და სევეროზისა ბოროტადმსახურთასა და სიტყუსგება უარისმყოფელთა მიმართ წმიდისა კრებისა ხალკიდონისათა, მოძღურებისაგან ღმრთივმოცემულთა წმიდათა მამათა ჩუენთასა“ (კითხვა-მიგება) (140v-177r).

შენიშვნა: 151v-152v-ში ჩართულია ექსცერპტები (ათანასე ალექსანდრიელისა, ბასილი კესარიელისა, გრიგოლი ღმრთისმეტყველისა, ამბროსი მედიოლანელისა, იოანე ოქროპირისა, კირილე ალექსანდრიელისა), და მათ შორის: „წმიდისა გრიგოლი ნოსელისა, სწავლითისა სიტყუსაგან: ხოლო ღმრთისა ჩუენისა შორის ქორცითა გამოჩინებისა საცნაურობათა მეძიებელი მოქმედებათა მიმართ ჰედევდინ, რამეთუ ყოვლითურთ ღმერთ-ყოფისა მისისა არავის აქეს სხუა რამე გამოსაჩინებელი თჯნიერ მოქმედებათა-მიერისა წამებისა (152r).

სხვადასხვა აკტორთა თხზულებებიდან ექსცერპტები ჩაერთვის აგრეთვე 155v-156v, 163v-167r, 170r-v, 172v, 173v-174r, 175v-177r-ზე, მათ შორის: წმიდისა გრიგოლი ნოსელისა ევნომის მიმართისა სიტყუსაგან: რაუმს გუშსმოდის, ვითარმედ ნათელ არს და ძალ და

სიმართლე და ცხორება... (176r).

7. „ეპისტოლე წმიდათაგანისა პაპა ლეონტის ის წმი-
დათაგანისა ფლაბიანეს მიმართ კოსტანტინუპოლელ
ეპისკოპოსისა“ (177r-182v)

შენიშვნა: მოსდევებს: „საზღუარი წმიდისა და მსოფლიოხსა
კრებისა“ (182v-183v), „გამოთქუმა სარწმუნოებისა“
(183v-184r), „ხალკიდონის წმიდამან და მსოფლიომან
კრებამან თქუა“ (184r-185r). ეს მასალა ეპუთვნის
„გამოკრებანი წამებათანის“ 24-ე თავს.

8. „ეპისტოლენი თითოსახეთა ეპისკოპოსთანი, მიწერილნი
პეტრეს მიმართ ეპისკოპოსისა ანტიოქელთახსა, მმურკეუნელად
წოდებულისა, ვითარმედ არა ჯერ-არს ვნებისა შერთვა სამწმი-
დაობისა თანა შემატებისა მიერ ამისსა, ვითარმედ: „რომელი
ჯუარს-ეცუ ჩუენთჲს“, რომელი ამან პეტრე, ვითარცა მწვალე-
ბელმან შესძინა“ (185r-199v)

9. „თავნი სომეხთა წვალებათანი ოცდათხი“ (199r-203r)

10. „წინაგანსაწყობელად პურიათა, წამებანი წერილებრნი,
ვითარმედ სამებასა შინა ღ თაება საღ თოთა წერილთა მიერ
საღუმლოდ იქადაგების“ (203r-209v)

შენიშვნა: ესაა 31-ე თავი „გამოკრებანი წამებათანისა“.

11. „ს ა რ კ ი ნ ო ზ თ ა მ ი მ ა რ თ ი ს ა სიტყუსგებისაგან ნე-
ტარისა თ ე ო დ ო რ ე ა ვ უ კ უ რ ა ს ი“ (209v-219v).

12. „მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ სულნი კაცთანი პირველვე
იყვნეს კორცოსას“ (219v-224r)

შენიშვნა: 224r-228v-ში ჩართულია ექსცერპტები სხვადასხვა
ავტორთა თხზულებებიდან.

13. „თუ ვითარ ჯერ-არს შეწყნარება, რომელი პურიათაგან
სარწმუნოებასა ქ ეანეთასა მოუკდებოდა“ (228v-229v)

14. „აღწერა უსრულესი-რე, თუ ვითარ ჯერ-არს შეწყნა-
რება, რომელი პურიათაგან სარწმუნოებასა ქ ეანეთასა მოუკ-
დებოდის“ (229v-232v).

15. „წესი, რომელი იქმნების მოქცეულსა ზედა სარკინოზ-

თაგან წმიდასა მომართ და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა ჩუენ
ქ' ეანეთასა“ (232v-235v)

დუმლოთა კათოლიკე ეკლესისათად“ (201r-210v) და გამო-
კრებილი სწავლანი (ექსცერპტები წმ. მამათა თხზულებები-
დან, სხვადასხვა სახის კითხვა-მიგებანი და სხვ.210v-278v).
2. კურთხევანის თავები ბიბლიოგრაფირებულია [კოჭ-
ლამაზაშვილი 2002-ბ].

H 3081

დიდი კურთხევანი

XVIII სს.; 167 ფურც.; 14×10,5; ქაღალდი; თავბოლონაკ-
ლული; ნაწერია ნუსხურით; სათაურები სინგურით.

„კურთხევანი“ სხვა თავებთან ერთად შეიცავს ნათლისღების წყლისკურთხევის გიორგი მთაწმიდელისეულ რედაქციას („განგებად წმიდისა და ისა გამოცხადებას“, 35r-47r), რომელშიც წყლისკურთხევის დიდ ლოცვას („დიდ ხარ შენ, უფალო...“) წინ უძღვის პროლოგი:

„ლოცვა და თქუმული წმიდისა ნოსელისა.“

შენიშვნა: 1. კურთხევანის თავები ბიბლიოგრაფირებულია [H კოლექციის აღწ. 1953: 373-375; კოჭლამაზაშვილი 2002-ბ].

Q 39 მეტაფრასი

1560-1578 წწ.; 488 ფურც.; 32×22; ტვიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ქაღალდი; ნაწერია ნუსხურით; სათაურები სინგურით; თავნაკლული; აკლია შუაშიც; გადამწერი – ნაგრატიოზ ციმცაძე (182r); მომგებელი – მოქველი მთავარეპისკოპონი ეფთუმე საყვარელიძე (288v); ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და მანამდე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოხვედრამდე ხელნაწერი ინახებოდა მარტვილის მონასტერში (საინვენტარო ნომერი – 6).

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებს, ჯერ უძრავი კალენდრისას (სექტემბრიდან აგვისტომდე), შემდეგ მარწვა-ზატიკისას [შდრ. Q 485]. საკითხავთა საერთო რიცხვია 59. მათ შორისაა:

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა მკუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუენისა იესუქრისტესისა“ 397r-411r.

შენიშვნა: ხელნაწერს ერთვის გადამწერისა (25r, 182r, 211v, 241r, 260r, 305r, 344v) და მომგებელის (149v, 197r, 456v, 488v) ანდერძ-მინაწერები, აგრეთვე სხვა პირთა მინაწერები.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. მეტრეველის მიერ [Q კოლექციის აღწ. 1957: 46-53].

Q 41

კრებული

XVIII ს.; 205 ფურც.; ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; $32 \times 21,5$; ქაღალდი; დაზიანებული და დაღაქავებული; გადამწერი – წინამძღვარი ნიკოლოვოზ (204v); მომგებელი – გიორგი ჩიჩუა (204r-v); ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და მანამდე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოხვედრამდე ხელნაწერი ინახებოდა მარტვილის მონასტერში (საინვენტარო ნომერი – 8).

ხელნაწერის უმეტესი ნაწილი (1r-190v) შატბერდის კრებულის (S 1141) პირია. შეიცავს იმავე მასალას, მათ შორის:

„[თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრი - გოლი ნოსელ ებისკოპოსისად კაცისა შესაქმისათ - კს, რომელი მიუწერა ძმასა თჯსსა პეტრეს ებისკოპოსისა სებასტიელსა]“ 1r-63r.

შენიშვნები: 1. ტექსტი თავნაკლულია; სათაური აღდგენილია შატბერდის კრებულის მიხედვით.

2. ხელნაწერს ერთვის გადამწერისა და მომგებელის ანდერმები (204r-v; 204v).

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. მეტრეველის მიერ [Q კოლექციის აღწ. 1957: 54-56].

Q 51

დოგმატიკონი

1777 წ.; 32×21; ტყიფრულ ტყავგდაგაკრული ფიცრის ყდა; ქაღალდი; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; სათაურები და მთავრული ასოები სინგურით; გადამწერი – იოანე ხუცეს-მონაზონი; მომგებელი – გრიგოლ დადიანი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და მანამდე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოხვედრამდე ხელნაწერი ინახებოდა მარტვილის მონასტერში (საინვენტარო ნომერი – 18).

შეიცავს არსენ ვაჩეს ძის მიერ თარგმნილ „დოგმატიკონში“ შეტანილ ზოგიერთ თხზულებას, მათ შორის:

„წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იოვანე მანსურ წოდებულისა, სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს გამოკრებანი წამებათა ან რომელთა მიერ ყოველივე კათოლიკე ეკლესიისა სარწმუნოებად განცხადებულად გუესწავების, ღმრთისმეტყუელებისასა ვიტყვა ქადაგებასა და საღმრთოესა განგებულებისასა სიტყუასა, და სხუათა მართალთა ეკლესიის შჯულთა უცომელობასა“ (87r-214r), რომელშიც შეტანილია შემდეგი ამონარიდები წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან:

ნოსელისად მამაო ჩუენომესა თარგმანისაგან 90v-91r
გრიგოლი ნოსელისად, აპოლინარის ძლითისაგან 94r-v
გრიგოლისი, ევნომის ძლითისა სიტყვასაგან 105r
გრიგოლი ნოსელისად, საკათაკუმეველომესაგან 112v-113r
გრიგოლი ნოსელისად, პასექისა ძლითისა სიტყვასაგან 114r-v
გრიგოლი ნოსელისად, აპოლინარის ძლითისა სიტყვასაგან
117v-118r

ნოსელისად მამაო ჩუენომესაგან 126v
ნოსელისად ევნომის მიმართისა სიტყვასაგან 130r-v
ნოსელისად, სწავლითისა მის დიდისა საკითხავისაგან 131v-
132r

მისივე (გრიგოლ ნოსელისა), ევნომის მიმართისაგან 132r-
133r

ნოსელისად ევსტათის მიმართისა ეპისტოლისაგან წმიდისა
სამებისათვეს 134v

გრიგოლი ნოსელისად, ევნომის მიმართისაგან 138r-v
ნოსელისად, ნეტარებათათვეს მეოთხისა თავისაგან 139v
ნოსელისად, [ნეტარებათათვეს მეოთხისა თავისაგან] (გამეო-
რება წინა ციტატის დასაწყისი ფრაზისა) 141v
ნოსელისად, აპოლინარის ძლითისაგან 147r
მისივე, ევნომის ძლითისაგან 147r
და შემდგომად მრავლისა 147r-v
მისივე, აპოლინარის ძლითისაგან 147v

ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისაგან, რომლისა დაწყებამ ესე არს: „კეთილმცა იყო...“ 150v-152v

ნოსელი, სიტყვსგებასა შინა ექუსთა დღეთასა 152v

მისივე, ევნომისთვის მეორისა სიტყვსაგან 153r

მისივე, პასექქის ძლითისა სიტყვსაგან 153r-v

მისივე, ლოცვისათვის მეორხისა თავისაგან 153v

ნოსელისამ: „ამისთვის ვიტყვთ, ვითარმედ...“ 160v

გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან ექსცერპტები ჩართულია დოგმატიკონის სხვა ადგილებშიც:

წმიდისა გრიგოლი ნოსელისამ, აპოლინარის დასამჯობელისაგან სიტყვსმწერლობისა 280r

წმიდისა გრიგოლი ნოსელისამ, სწავლითისა სიტყვსაგან 304r

წმიდისა გრიგოლი ნოსელისამ ევნომის მიმართისა სიტყვსაგან 342r-v

შენიშვნები: 1. „გამოკრებანი“ შედგება 31 თავისაგან.

2. ხელნაწერს ერთვის მრავალი სქოლი; აგრეთვე გადამწერ-მომგბელთა ანდერძ-მინაწერები.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. მეტრეველის მიერ [Q კოლექციის აღწ. 1957: 69-71].

Q 131

დიდნი კურთხევანი

XVII-XVIII სს.; 245 ფურც.; 14,5×10; ქაღალდი; ტვიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ნაწერია ნუსხურით; სათაურები სინგურით; ბოლონაკლული; გადამწერი ოქროპირ ცირლილაძე (119r).

„კურთხევანი“ სხვა თავებთან ერთად შეიცავს ნათლისღების წყლისკურთხევის გიორგი მთაწმიდელისეულ რედაქციას (52v-69v), რომელშიც წყლისკურთხევის დიდ ლოცვას („დიდ ხარ შენ, უფალო...“) წინ უძღვის პროლოგი:

„ღოცვა ად, თქმული წმიდისა ნოსელისა“.

შენიშვნა: 1. კურთხევანის თავები ბიბლიოგრაფირებულია [Q კოლექციის აღწ. 1957: 154-155; კოჭლამაზაშ-ვილი 2002-ბ].

Q 423

ასკეტიკური ამონარიდები ეკლესიის მოძღვართა თხზულებებიდან

1857 წ.; 170 ფურც.; 32,5×20,5; ტყავგადქრული მუყაოს ყდა; ქალალდი; ნაწერია მხედრულით; სათაურები სინგურით; გადამწერი – ანტონ ზაქარიას ძე დაფქვიევი (169v); მომგებელი – მინადორა მონაზონი (169v); საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა ო. სახოკიასავან 1937 წელს.

შეცვას ასკეტიკურ ამონარიდებს ეკლესიის მოძღვართა თხზულებებიდან, მათ შორის წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებებიდანაც:

1. „თქმული წმიდისა გრიგოლ ნოსელისა, ცხოველს-მყოფელისა ჯუარისათ კს. – ხოლო საიდუმლო ჯვარისა, ძალი და სიღრმე მისი, რომლისა-იგი მიერ სრულ იქმნა ჯვარც-მა მაც-ხივრისა...“ 128r-130v.

2. „ეპისტოლე წმიდისა გრიგოლი ნოსელისა არ-მონის და კესარიონ და ულუმბოს მოღუაწეთა მიმართ, სი-სრულისათ კს, და რამთა უწყოდით, თუ ვითარი ჯერ-არს, რამთა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანე“ 142r-158v.

3. „მისივე წისა გრიგოლი ნოსელისა, ძიება სულისა თკსისა დისა მის მაკრინას თანა. – გრიგოლ: ვითარ გულისხმა-ვჰყოთ სიტყვა იგი უფლისა მდიდრისათკს და ლაზარე გლახაკისა...“ 158v-163v.

4. „წმიდისა გრიგოლ ნოსელისა მიერ თარგმანება: ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სა-სუფეველი ცათა. თავი ა. – ვინმცა უკვე იყო შემოკრებულთა

ამათ შორის ესევითარი, რომელიცა ღირს იყო...“ 163v-169r.

შენიშვნა: ხელნაწერს ერთვის გადამწერის ანდერძი (169v-170r) და ზანდუკი (1r-2r).

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. მეტრეველის მიერ [Q კოლექციის აღწ. 1957: 422-424].

Q 485

მეტაფრასი

1766 წ.; 33×20; ტვიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ქაღალდი; ნუსხური; სათაურები სინგურით; გადამწერი – იესე სულხანიშვილი (204v).

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებს, ჯერ მარხვა-ზატიკისას, შემდეგ უძრავი კალენდრისას (არასრულად) [შდრ. Q 39]. საკითხავთა საერთო რიცხვია 41. მათ შორისაა:

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისა მკუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუენისა იესუქრისტესა“ 186v-198v.

შენიშვნა: ხელნაწერს ერთვის გადამწერის ანდერძი (204v).

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. მეტრეველის მიერ [Q კოლექციის აღწ. 1957: 445-449].

Q 652

მეტაფრასი

XVII ს.; 255 ფურც.; 38×25; ქაღალდი; ტვიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ბოლონაკლული; აკლია შიგნითაც; ნაწერია ნუსხურად ორ სვეტად; სათაურები სინგურით; გადამწერნი: დავით (141v), თევდორე (169v), იოანე (180v), ნიკოლოზ (182v); დამკვეთი – გულქან ლორთქიფანიძის ასული (243r); ხელნაწერი ეპუთვნოდა მღვიმევის მონასტერს (ზემო იმერეთი).

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებსა და წმიდათა ცხოვრება-შესხმას. საკითხავთა საერთო რიცხვია 60. მათ შორის:

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა, მკუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუენისა იესუქრისტესისა“ 191v-196v.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ [Q კოლექციის აღწ. 1958: 100-108].

Q 658 კონდაკ-კურთხევანი

XVII ს.; 171 ფურც.; 32×21,5; ტვიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ქაღალდი; ნაკლული; ნაწერია ნუსხურით; სათაურები სინგურით. დამკვეთი – გულქან მოურავის ქალი (49v; 54v); ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა მღვიმევის მონასტერს.

„კურთხევანი“ სხვა თავებთან ერთად შეიცავს ნათლისლების წყლისკურთხევის გიორგი მთაწმიდელისეულ რედაქციას („განგება წაღისა გამოცხადებისა“, 58v-61v), რომელშიც წყლისკურთხევის დიდ ლოცვას („დიდ ხარ შენ, უფალო...“) წინ უძღვის პროლოგი:

„ლოცვა, თქუმული წმიდისა ნოსელისა.“

შენიშვნა: 1. კურთხევანის თავები ბიბლიოგრაფირებულია [Q კოლექციის აღწ. 1958: 115-117; კოჭლამაზაშვილი 2002-ბ].

Q 702 მეტაფრასი

1817 წ.; 307 ფურც.; 31×21; ქაღალდი; ტვიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ნაწერია ნუსხურად, ორ სვეტად; სათაურები სინგურით, მოხატული საზედაო ასოებით; გადამწერი – მდივანი გიორგი (2r-v); დამკვეთი – ნიკოლოზ დადიანი.

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებსა და წმიდათა ცხოვრება-შესხმას. საკითხავთა საერთო რიცხვია 34. მათ შორის:

„წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა გრიგოლ ნო სელისა, მკუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუშნისა იქსუ ქრისტესისა“ 279r-292r.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ [Q კოლექციის აღწ. 1958: 167-171].

Q 707

მარგალიტი

1845 წ.; 102 ფურც.; 21×17; ქაღალდი; ტყავგდაკრული ფიცრის ყდა; ნაწერია მხედრულით; სათაურები სინგურით; გადამწერი — დავით ოოანეს ძე გაგუა (100v).

შეიცავს იგავთა განმარტებას, სხვადასხვა აპოკრიფულ თხრობასა და ექსცერპტებს წმიდა მამათა თხზულებებიდან, მათ შორის:

„თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნო სელისა“ 32r.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ [Q კოლექციის აღწ. 1958: 174-175].

Q 762

მეტაფრასი

XIII-XIV სს.; 339 ფურც.; 24×18; ქაღალდი; ტვიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ნაწერია ნუსხურით; სათაურები სინგურით; გადამწერი — თეოდორე (294r).

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებსა და წმიდათა ცხოვრება-შესხმას. საკითხავთა საერთო რიცხვია 15. მათ შორის:

„წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნო სელისა შესხმად წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი“ 248v-260v.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. მეტრეველის მიერ [Q კოლექციის აღწ. 1958: 207-210].

Q 970

ბასილი კესარიელი, „ექვსთა დღეთათვის“

1827 წ.; 133 ფურც.; 33,5×21; ქაღალდი; შავტყავგადაკრული მუყას ყდა; სისქე 2,5; ნაწერია მხედრულით ორ სვეტად; სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; გადამწერი: იოანე იალღუზის ძე (132v).

ბასილი დიდის „ექვსთა დღეთა“ განმარტებას ერთვის:

„წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუბნისა გრიგორი ნოსელ ეპისკოპოსისა, მმისა წმიდისა დიდისა ვასილისა, რომელი-იგი აკლდა აღწერასა ექვსთა დღეთასა, რომელი-იგი წინასწარ ჰსოჭუა ნეტარმან დიდმან ვასილი, და ვინამთვან დაბადებისათვის კაცისა დაუშთა მას, ესე სრულ-ჰყო წმიდამან გრიგორი მაღლად და ღმრთივდიდებულად“ 65r-110r.

„წმიდისა მამისა ჩვენისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა, პეტრეს მიმართ, მმისა თუსისა, პასუხი ექუსთა დღეთათვის“ 111r-132v.

შენიშვნები: 1. ორივე თხზულება თარგმნილია გიორგი მთა-წმიდელის მიერ.

2. ერთვის გადამწერის ანდერძი: „სრულ იქმნა ძალითა და შეწევნითა ყოველთა კეთილთა მასრულისა ღთისათა წელსა 1827, ივნისს 20 დღესა, ქელითა ღუბერსკის სეკრეტარისა იოანე იალღუზისძისათა“ (132v).

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ [Q კოლექციის აღწ. 1958: 383-384].

Q 1052**„თარგმანებად ქებისა ქებათადსად“**

XIX ს.; 215 ფურც.; შინდისფერტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 21×16,3; სისქე 4,5; ქაღალდი; ნაწერია შავი მელნით შექრულად ერთ სვეტად; სათაურები მთავრულით სინგურით; ნაწერი არე 14,5×10,5. შეიცავს „ქებათა-ქების“ ორ განმარტებას:

„[წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუქნისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისა, თარგმანებად ქებისა ქებათადსად]“ 1r-19 გრ.

„ნეტარისა იპოლიტესი თქმული თარგმანება ქება-ქებათადსად“ 197r-215v.

Q 1158**სამოციქულოს განმარტება**

XI ს.; 317 ფურც.; ქაღალდი; 34×25; თავბოლონაკლული; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; სათაურები სინგურით; თითოეულ სვეტში 44 სტრიქონია (ზოგჯერ მეტ-ნაკლებიც).

შეიცავს სამოციქულოს კატენურ განმარტებას (თარგმანი ეფრემ მცირისა); განმარტებათა უმეტესი ნაწილი ეკუთვნის იოვანე ოქროპირს, თითოროლა განმარტება – სხვა ავტორებსაც; მათ შორის ერთი მცირე ამონარიდი გრიგოლ ნოსელის სახელითაა წარწერილი:

„გრიგოლი ნოსელისად: განფიცხებულ იქმნა ღმრთისა მიერ მძლავრი იგი მეგჯბტელთად...“ 130v.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია [კოჭლამაზაშვილი 2003: 338-345]; გრიგოლ ნოსელის სახელით წარწერილი ამონარიდის ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2006-ბ: 98].

**ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის
ხელნაწერი № 113
მარგალიტი**

1843 წ.; 464 ფურც.; 18×11; ქაღალდი; ნაწერია მხედრულად; სათაურები და თავკიდური ასოები სინგურით; გადამწერი სპირიდონ ჩხიკვაძე

შეიცავს აპოკრიფულ თხრობას, გამოკრებულ კითხვა-მიგებას, ექსცერპტებს წმიდა მამათა თხზულებებიდან, მათ შორის:

თქმული წმინდისა მამისა ჩვენისა გრიგოლი ნოსელი სა 115r-116r.

შენიშვნა: ერთვის გადამწერის ანდერბი: „ღირს ყო უფალმან მდივანი ამა წიგნისა საღმრთოესა ძალისა ცნობად და ძალითა საღმრთოეთა დაიცვე, უფალო, ყოველნი წელი ცხორებისა მისისანი ბრავალეამიერ (!) უკუნისამდე, ამინ; ჩყმბ წელსა, ივნისის იზ დღესა“ (463r), და იქვე: „ღმერთო, აცხოვნე ამის მდივანი სპირიდონ იეს-ეს-ძე მჩხიკვაძე“.

დეტალურად აღწერილია ს. კაგაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ [ცენტრ. არქივი 1949: 117-119].

**ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის
ხელნაწერი № 510
„სამ-ათეული მეტაფრასი“**

1821 წ.; 262 ფურც.; 22,3×17; ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ლურჯი ქაღალდი; ნაწერია მხედრულით; სათაურები სინგურით; გადამწერი – მღვდელმონაზონი თეოფანე მაჩაბელი; გადამწერის ადგილი – დავით გარესჯელის მონასტერი; ხელნაწერს ერთვის ანდერბი (245v), რომელშიც ეს წიგნი მოხსენიებულია „სამ-ათეულ მეტაფრასად“, რადგან 30 საკითხავს შეიცავსო (თუმცა მასში რეალურად 31 საკითხავია); ბოლოში დართული

აქვს საძიებელი („ზანდუკი წერილთა მათ საწელიწდოთა მეტაფრასთა“); შეწირულია 1924 წელს ილია ჭანკოტაძის მიერ.

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებს. საკითხავთა საერთო რიცხვია 31. მათ შორის:

„იანვარსა 5, გრიგორი ნოსელისა, განმარტება სიტყვისა მის, ვითარმედ: ესე არ ს ძე ჩემი საყუარელი“ 49r-57r.

„შემოსლვისათვის მარხვათა და სა, თქმული წმიდისა მამისა ჩნისა გრიგორი ნოსელისა, რომელი იკითხვების კურიაკესა ყველიერისა აღებისასა“ 163r-171r.

დეტალურად აღწერილია ს. კაკაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ [ცენტრ. არქივი 1950: 119-123].

ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ხელნაწერი № 521 ბასილი დიდის „ექუსთა დღეთად“

1834 წ.; 118 ფურც.; 36×22; ქალალდი; აკნბული; ნაწერია მხედრულით; გადამწერი – მღვდელი სფირიძონ ბიაუვი (53r, 116v); შეწირულია 1925 წელს იოსებ ჩიჯავაძის მიერ.

შეიცავს ბასილი დიდის თხზულებას – „თარგმანებად ექუსთა დღეთად“ (1r-53r), რომელსაც ერთვის მთარგმნელის (გიორგი მთაწმიდელის) ანდერძი; აგრეთვე:

„თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა, კაცისა შესაქმისათვის რომელი მიუწერა მმასა თუსსა პეტრეს, ეპისკოპოსისა სებასტიელისა“ 52r-82v.

კრებულში შეტანილია აგრეთვე ეპიფანე კვიპრელის თქმული „ათორმეტთა მათ თუალთათუს“ (83r-108v) და „მკეცთათუს სახის სიტყვა“ (108v-116v), ე. ი. იგივე მასალა, რაც „შატბერდის კრებულშია“ (S 1141).

დეტალურად აღწერილია ს. კაკაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ [ცენტრ. არქივი 1950: 128-129].

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებები
ქუთაისის ისტორიული მუზეუმის
ხელნაწერთა კოლექციის ნუსხებში

ქიმ № 1
მეტაფრასი
(თებერვლისა და აგვისტოსი)

XVI ს.; 582 ფურც.; 41,5×27; ტყავგადაკრული ფიცრის ყდა (ქვედა ყდა გატეხილი და ნაწილობრივ ტყავ-შემოცლილია); ქაღალდი; ნაწერია ყავისფერი მელნით, ნუსხურით; ორ სვეტად; თითო სვეტში 32-33 სტრიქონია. სათაურები და თავები ასოები – სინგურით. ზოგიერთი ფურცელი ამოვარდნილია და ძალზე დაზიანებული (1, 2, 5, 7, 24, 31, 212, 219, 572, 579, 580, 581, 582), ზოგი დალაქავებული (578, 579, 331); აქვს რვეულებრივი პაგინაცია (შეიცავს 44 რვეულს). დაუწერელია: 56r-v, 178r, 179r, 418r, 430r, 581v. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ) შემოსვლამდე ეკუთვნოდა გელათის მონასტერს.

გადაწერილია აფხაზეთის კათალიკოსის ეფთვიმეს და-კვეთით (582r). მეორედ შემწირველი – იოსებ გენათელი მიტრობოლიტი.

შეიცავს ორი თვის (თებერვლისა და აგვისტოს) მეტაფრასის (წმიდათა მეტაფრასულ ცხოვრება-წამებებს). საკითხავთა საერთო რიცხვია 56.

მეხუთე საკითხავად ჩართულია:

„წმიდისა მამისა ჩუშნისა გრიგოლ ნოსელისა და შესხმა წმიდისა მამისა ჩუშნისა მელეტი მთავარეპისკოპოსისა დიდისა ანტიოქელისამ“ 41v-48v.

შენიშვნები: 1. თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ [კეკელიძე 1957-ა, 27]

2. ტექსტი გამოცემულია მ. კობიაშვილის მიერ

[კოჭლამაზაშვილი 2004-ა: 356-367]. აქ ქიმ 1 ხელნა-წერი აღნიშნულია E ლიტერით.

ანდერძები: 1. (დედინისა) „შკდთა ამათ თუშთა, რომელ არიან ფეხერ-
ვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი და ავღუსტონისი,
ამათ შინა მოქსენებულთა წმიდათა ცხორებათა და მოქალაქო-
ბათა და წამებათა და ღუაწლთა ძუშლისა კიმინისაგან, რომელსა
ვიეთნიმე მრავალთავადცა უწოდენ, გარდამეტაფრასმქნელისა,
ესე იგი არს განმავრცელებელისა და შემამკობელისა, პალატი-
სა მწიგნობართა უაღრესისა, ყოვლადბრძნისა ფილოსოფონისა
ქსიფილინოსისა მოსაკვენებელი დიდისა მეფისა აღექსის მიმა-
რთ. – შემდგომად სრულ-ქმნისა შეწევნითა ღისათა მეტაფრას-
ქმნილთა, ესე იგი არს გავრცელებულთა საკითხავთა წმიდის-
ათა, რომელი შკდთა თთუშთა შინა, გაზაფხულისა და ზაფხ-
ულისათა, ეკლესიათა შინა მოიკვენებიან, გუშგულებოდა რამ
სახოვადოდ ყოველთა ეპლესიათა მიცემად მათი, დაზურევთ
სიტყუად ესე წინასწარ სათქმელი მეფისა უფლისა აღექსის
მიმართ. ხოლო არს ესრუეთ: სჯული არს ძუელი და კეთილდად
მყოფი... 578r-581v (ტექსტი წყდება: „გარნა ეგრეცა კეთილთ-
ნებითა ქელყოფილი განვასრულე არა...“). ანდერძის ტექსტი
სრულად იხ.: ე. ე ა ე ე ა ც ა, ე ი ა ი ე ე ე ე, ე ტივდები... V, 1957,
235-241.

2. (მეორედ შემწირველისა, იოსებ გენათელისა) „წმი-
დამ ესე და სულთა განმანათლებელი სრული ფეხერვლის და
აგჯსტოს საკითხავი პირველ ნეტარხსენბულს კათალიკოზს
ეფთუმეს დაეწერინებინათ და გელათს წმიდის გიორგის საკათა-
ლიკოზო საყდრისათვს შეეწირათ. მერძე ქამთა ვითარებისაგან
გამოეხვათ და სხვამთ წარედოთ და ჩუბნ, მეცის აღექსანდრეს
ძემან გენათელ მიტროპოლიტმან იოსებ, დაკარგული ამოვიდეთ
და ისევე გელ მთს ამ წმიდის გიორგის ეკლესიას ჟევსწირეთ.
ვინცა ჩუბნთვს მოხსენებად ბრძანოთ, დმტრიმან თქუბნც მოგიხ-
სენოსთ და შემდგომი ამისი. აწ ვინცა ამ ეკლესიას ეს წიგნი
გამოახვას, ან სხუ მგან წარიღოს თვინიერ ხიზნობისა, ანუ
სხუათა ეკლესიათა შესწიროს, ან თავისთვს წარიღოს, თვინი-
ერ შენდობით ნათხოვრობისა, ანუ მიუმანან, ანუ დედოფლამან,

ანუ უფლისწულმან, ანუ კათალიკოზმან, ან მიტროპოლიტ-მან, ეპისკოპოსმან ანუ არქიმადრიტმან, წინამძღვარმან, ანუ მღდელმონაზონმან, მღდელმან ან მთავარდიაკონმან, დიაკონ-მან, ანუ მონაზონმან ანუ მთავარმან ანუ ერისთავმან ანუ თავადმა, დიდმან ანუ მცირემან, რამანც კორციელმან ძემან კაცისამან ეს წიგნი ამ ეკლესიას გამოსწიროს, ყოვლადწმიდის სამებისაგან, ყოვლადწმიდის ღ ისმშობლის, მარადის-ქალწულის მარიამისაგან, (ცხოველსმყოფელის ჯუარისაგან, წმიდათა უსწეველოთა ძალთაგან და ყოველთა წმიდათა ღ ისა-თა, რომელნი ადამისითგან ვიდრე მეორედ მოსვლამდე იყვნეს და იქმნებიან მარადის საუკუნოდ ყოფადნი წმიდანი ღირსნი და სათნონი ღ ისანი, ამათ ყოველთა წმიდათა აღმოსავლე-თის ეკლესიისაგან და ყოველთა მართლმადიდებელთა ეპისკო-პოსთაგან, ამ წმიდის გიორგის ეკლესიისაგან ამ წიგნის გამომწირველი სულით, კორცით, ცოცხალი და მკვდარი, კრულ, წყეულ და შეჩეტნებულ იყოს საუკუნოთაგან უკუ-ნისამდე, ამინ“ (582r).

3. მინაწერები: 80v, 85v, 86v, 89v, 96r, 165r, 374r.

შენიშვნა: მეტაფრასული კრებულების შესახებ იხ.: Ê. Ê ა-ე ა ე ა ც ა, Ñ ე ი ა ი ს ჟ ა ტ ა ტ რ ა ს უ ლ ი 2 1 2 -2 2 6; Ê. Ê ა ე ა ე ა ც ა, Ê ა ი ს ჟ ა ტ ა ტ რ ა ს უ ლ ი 2 2 7 -2 4 1.

ქიმ № 5 მეტაფრასი (დეკემბრისა)

XVI ს.; 579 ფურც.; 40×26,5; ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ქალალდი; ნაწერია ყავისფერი მელნით, ნუსხურით; ორ სვეტად; თითო სვეტში 30-34 სტრიქნია; სათაურები და თავკი-დური ასოები – სინგურით; ნაწერია ორი განსხვავებული ხე-ლით; ნაკლული; ზოგიერთი რვეული დაშლილია; ამოვარდნილია ფურცლები (1-3, 20, 21 26, 27, 36, 43, 76, 83, 95-96, 107,

108-114, 123, 130, 266, 343, 568, 569-570, 573-579). აქვს რეგულებრივი პაგინაცია (შეიცავს 74 რეგულს). დაუწერელია: 500r-v. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ) შემოსვლამდე ეკუთვნოდა გელათის მონასტერს.

გადაწერილია აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონის დაკვეთით (493r).

შეიცავს დეკემბრის მეტაფრასს (წმიდათა მეტაფრასულ ცხოვრება-წამებებს). საკითხავთა საერთო რიცხვია 48.

39-ე და 42-ე საკითხავებად ჩართულია:

„წმიდისა გრიგოლ ნოსელ ებისკოპოსისად სიტყუად შობისათ ჯს უფლი ისა ჩუშნისა იქვე ქრისტესისა და ჩჩკლთათჯს, ბეთლემს მოწყველილთად“ 463v-493r.

შენიშვნები: 1. თარგმნილა ეფრემ მცირის მიერ [კოჭლამაზაშვილი 2006: 2].

2. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2006: 28-52] (აյ ქიმ 5 ხელნაწერი აღნიშნულია L ლიტერით).

„წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა გრიგოლ ნოსელისა და შესხმად წმიდისა სტეფანე პირველმოწამისად“ 503v-514r.

შენიშვნები: 1. თარგმნილია სტეფანე სანანიოს ძინ მიერ [კეკელიძე 1957-ა: 26]. ტექსტი გამოქვეყნებული არ არის.

2. წმიდათა ცხოვრება-წამებების გარდა კრებულს ერთვის ეფრემ მცირის „მოსაქსენბელი მცირე სუმიონისთჯს ლოლოთეტისა და თხრობად მიზეზსა ამათ საკითხავთა თარგმნისასა“ (576v-579v). ტექსტი გამოქვეყნებულია [კეკელიძე 1957-ბ, 223-226].

ანდერძ-მინაწერები: 1. (გადამწერისა) „უფალო იქვე ქრისტე, რომელი იშვე წყალობით ღმერთი, ბუნებით კაცობრივსა ბუნებასა შეეზავე და თითოეული ბუნებად შენდად განისაკუთრე, ერთითა ღმერთ იყვა და მეორესა განაღმრთობდი, ნათელსა დობისა შენისსა მოკუდავი ბუნებად კაცებისა ვერ ეწია, და იზიარე რამ,

განდმრთდა, ხოლო შობითა შენითა აღვსებად სჯულისა და წინასწარმეტყუბლთა სრულ იქმნად, ამრავალებირე პატრონი კათალიკოზი ევლემონ და საუკუნოდ ყველა ქადაგი და ქურთხევად მისი, რომელმან წიგნი ესე აღწერად ჯერ-იჩინა, ამინ“ (493r).

2. მინაწერები: 87v, 107v, 118r, 123r, 130r, 141r, 180v, 395r, 432r, 454v, 466v, 500r.

ქიმ № 8 მეტაფრასი (მარხვისა და ზატიკისა)

XVI ს.; 986 ფურც.; 40×27; ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ქაღალდი; ნაწერია ყავისფერი მელნით, ნუსხურით; ორ სვეტად; თითო სვეტში 30-31 სტრიქონია; სათაურები და თავგიდური ასოები – სინგურით; გადამწერნი – მონაზონი ონოფრე (7r) და მანოელი (746v); ნაკლული და დაზიანებული; რვეულები დაშლილია; ამოცვენილია ფურცლები. დაუწერელია: 162r-v, 183v, 241r-v, 322r-v, 447v; ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ) შემოსვლამდე ეპუთვნოდა გელათის მონასტერს.

გადაწერილია აფხაზეთის კათალიკოსის ეფთვიმეს დაკვეთით (986r).

შედგება ორი დიდი ნაწილისაგან: (1) მარხვისა და ზატიკის მეტაფრასისა (ანდერძის მიხედვით, ესაა „წელიწდის დღესასწაულთა მეტაფრასი“) (1r-473r) და (2) ეფრემ ასურის „სწავლანისაგან“ (474r-985v).

მარხვისა და ზატიკის მეტაფრასს (ესაა მარხვისა და ზატიკის პერიოდის უძრავ და მოძრავ დღესასაწულებისათვის განკუთვნილ საკითხავთა კრებული). ცალკეულ დღესასწაულებზე რამდენიმე საკითხავია დადებული, რითაც ეს კრებული მრავალთავს ენათესავება). საკითხავთა საერთო რიცხვია 58.

მე-12-ე და 21-ე საკითხავებად ჩართულია:

„წმიდისა მამისა ჩუშნისა გრიგოლ ნოსელისა, შესხმა წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი“ 73v-84v.

„წმიდათა შორის მამისა ჩუტნისა გრიგოლ ნოსელისა მა, თხრობად პოვნისათვის საღმრთოესა ძელისა და კელითუქნელისა ხატისა კამული ნე ს, რომელი გამოუჩნდა ჟამთა დიოკლიტიანე მეფისათა ნეტარსა ბასის, ხოლო გამოცხადნა მეფობასა დიდისა მორწმუნისა მეფისა თევდოსისა“ 141r-145v.

შენიშვნა: თხზულება ფსევდოეპიგრაფიკულია [კეკელიძე 1957-ა: 28].

ანდერძ-მინაწერები: 1. „წმიდამ ესე წიგნი, ბრწყინვალებამ და შუმნიერებამ ეკლესიათამ, კეთილად მსმენელთა და მკითხველთა განმანათლებელი, წელიწდის დღესასწაულის მეტაფრასი და ღირსის ეფრემ ასურის სწავლამ, სულთა მხრდელი და საუკუნოსა ცხორებისა მომატყუებელი წმიდამ წიგნი ესე პირველ ნეტარხსენებულს ბატონს კათოლიკოზს ეფთუმეს და წერინებინათ და გელათის წმიდის გიორგის საყდრისათვის შეეწირათ...“ 986r (ანდერძი გრძელდება ქმ 1-ის მსგავსად)

2. მინაწერები: 7v, 126v, 145v, 161v, 319r, 242v, 322r, 618r, 746v.

ქმ № 15 დოგმატიკონი

XVII-XVIII სს.; 270 ფურც.; 42×28; ქაღალდი; ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; სათაურები სინგურით; თითოეულ სვეტში 54 სტრიქონია.

შეიცავს არსენ ვაჩეს ძის „დოგმატიკონს“, სადაც სხვა თავებთან ერთად შეტანილია დოგმატური კომპილაცია: „წმიდათა-განისა მამისა ჩუტნისა იოვანე მანსურ წოდებულისა, სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს გამოკრებულ ნი წამებათანი, რომელთა მიერ ყოველივე კათოლიკე ეკლესიისა სარწმუნოებამ განცხადებულად გუშისწავების, ღმრთის-მეტყუსტლებისასა ვიტყუ ქადაგებასა და საღმრთოესა განგებულებ-

ისასა სიტყუასა, და სხუათა მართალთა ეპკლესიის ჰეჯულთა უცთომელობასა“ (35v-93r; შეიცვას 31 თავს), რომელშიც შეტანი-ლია ამონარიდები წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან:

ნოსელისად მამაო ჩუენომესა თარგმანისაგან 68r

გრიგოლი ნოსელისად, აპოლინარის ძლითისაგან 69r-v

გრიგოლისი, ევნომის ძლითისა სიტყუსაგან 72v

გრიგოლი ნოსელისად, საკათაკუმეველომსაგან 75r-v

გრიგოლი ნოსელისად, პასექისა ძლითისა სიტყუსაგან 75v-

76r

გრიგოლი ნოსელისად, აპოლინარის ძლითისა სიტყუსაგან 76v

ნოსელისად მამაო ჩუენომესაგან 79v

ნოსელისად ევნომის მიმართისა სიტყუსაგან 80v

ნოსელისად, სწავლითისა მის დიდისა საკითხავისაგან 81r

მისივე (გრიგოლ ნოსელისა), ევნომის მიმართისაგან 81r

ნოსელისად ევსტათის მიმართისა ეპისტოლისაგან წმიდისა სამებისათუს 81v-82r

გრიგოლი ნოსელისად, ევნომის მიმართისაგან 83r

ნოსელისად, ნეტარებათათუს მეოთხისა თავისაგან 83r

ნოსელისად, [ნეტარებათათუს მეოთხისა თავისაგან] (გამეო-
რება წინა ციტატის დასაწყისი ფრაზისა) 84r

ნოსელისად, აპოლინარის ძლითისაგან 85v

მისივე, ევნომის ძლითისაგან 85v

და შემდგომად მრავლისა 85v

მისივე, აპოლინარის ძლითისაგან 85v

ნოსელისად, აპოლინარის ძლითისაგან, რომლისა დაწყებად
ესე არს: „პეთილმცა იყო...“ 86v-87r

ნოსელი, სიტყუსგებასა შინა ექუსთა დღეთასა 87r-v

მისივე, ევნომისთუს მეორისა სიტყუსაგან 87v

მისივე, პასექის ძლითისა სიტყუსაგან 87v

მისივე, ლოცვისათუს მეოთხისა თავისაგან 87v

ნოსელისად: „ამისთუს ვიტყვი, ვითარმედ...“ 89v

ნოსელისად, მეათექსმეტისა თავისაგან „კაცისშესაქმისა“ 90r

მისივე, სწავლითისა მის დიდისა საკითხავისაგან 90r

ეგრეთვე შემდგომი ამისი, ნოსელისადვე, ევნომის მიმართისაგან 90r

გრიგოლ ნოსელის თხზულებათაგან ექსცერპტები ჩართულია დოგმატიკონის სხვა ადგილებშიც:

წმიდისა გრიგოლი ნოსელისად, აპოლინარის დასამკობელისაგან სიტყვსმწერლობისა 126v

წმიდისა გრიგოლი ნოსელისად, სწავლითისა სიტყვსაგან 133r

წმიდისა გრიგოლი ნოსელისად ევნომის მიმართისა სიტყვსაგან 143v

ხელნაწერი დეტალურად აღწერა ე. ნიკოლაძემ [ნიკოლაძე 1953: 75-78],

ქიმ № 17 სჯულისკანონი

XIII ს.; 486 ფურც.; 29×21,5; ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ქაღალდი; ნაკლული; დაკარგული ფურცლების ნაცვლად ჩაკრებულია თეთრი დაუწერელი ფურცლები; ზოგი ფურცელი ამოგარდნილია; დაზიანებული ფურცლები რესტავრირებულია; ზოგიერთი ადგილი გაცხოველებულია ვინმე იოსების მიერ, ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზის ბრძანებით 1589 წელს (486r); ნაწერია ყავისფერი მელნით, ნუსხურით; ერთ სვეტად; ყოველ გვერდში 27-28 სტრიქონი; სათაურები და თავკიდური ასოები – სინგურით; დაუწერელია ფურცლები: 3, 4, 5. ხელნაწერს დასაწყისში აკლია 3 ფურცელი; ტექსტი იწყება პირველი რვეულის მე-4 ფურცლით. ტექსტს ერთვის მრავალრიცხოვანი „შეისწავენი“ და „სხოლიონი“. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ) შემოსვლამდე ეკუთვნოდა გელათის მონასტერს.

შეიცავს მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა კანონებს, აგრეთვე ეკლესიის მამათა კანონიკურ განჩინებებს, რომელთა შორისაა:

„ეპისტოლე კანონიანი წმიდისა გრიგოლისი, ეპისკო-

პოსისა ნო სეღი სა, წმიდათაგანისა, ლიტო და ს მიმართ
ეპისკოპოსისა მელიტინელთამასა“ 341v-349v.

შენიშვნები: 1. დიდი სჯულისკანონი უთარგმნია არსენ იყ-
ალთოოელს. ტექსტი (გრიგოლ ნოსელის კანონიური
ეპისტოლის ჩათვლით) გამოცემულია: [გაბიძაშვილი
1975: 509-520]. ქიმ 17 ხელნაწერი გამოცემაში აღნიშ-
ნულია E ლიტერით.

2. ხელნაწერი დაწერილებით აღწერილია: ნიკოლაძე
1953: 82-87; გაბიძაშვილი 1975: 89-90.

ანდერძი: 1. (გადამწერისა) „[დაიწ]ერა წ~ და ყ~ დ სულთა
განმანათლებელი სჯულისკანონი კელითა მწარედ და
ფრიად ცოდვილისა მრუელისა ამაბიწესამთა (sic.).
ღ~ იცის, წმიდანო ღ~ თისანო, ოომელ დიდი ჭირნი
ენახენ უცდომელობისათუ~ს. დედად წურილი მედვა
წინა. აწ უცბად ჩხრეკისათუ~ს ნუვინ დამწყევთ. ხოლო
მშრომელი წაწვალს და ნაშრომი ჰგიეს... ოომელმან
შენწოდა სოქუათ, ღმერთმან თქწუენცა შეგინდოს,
ღირსნო მამანო (485v).

მინაწერი: 1. მე, სულითა საწყალობელმან ბერმან ბასილი,
დავდევ ესე წმიდამ სულთა განმანათლებელი წიგნი,
მოძღვარი ყოვლისა სოფლისა სჯულისკანონი ნარუ-
დუნევსა ჩემსა მონასტერსა გესამანიას, ტაძარსა ყოვ-
ლადწმიდისა ღ~ ისმშობლისასა, სალხინებლად სულისა
ჩემისა და სამლოცველოდ კურთხეულისა დედისამ
ჩემისა ბარბარესთუ~ს და თუ~ მის სამწირველოსა შინა
დავსკ მწერალი. შეიწირე, ყ~ დ წმიდაო ღ~ ისმშობელო,
და იოხე დაუსჯელობად ჩუენი და ვინცა რამთა მიზეზ-
ითა ანუ გამოაკუას მონასტერსა შენსა, ანუ უკრძა-
ლველად იკადროს, იყავნ კრულ, წყეულ და შეწუებ-
ულ ღ~ და ყლ~ თა წმიდათა მისთაგან უკუნისამდე,
ამინ“ (486r).

ქიმ № 25
სჯულისკანონი

XII ს.; 313 ფურც.; 29×19; ნაწერი არე: 22×12; ტყავგადაკრული ტვიფრული ფიცრის ყდა; ბომბიცინი; ნაკლული და დაზიანებული; ნაწერია ყავისფერი მელნით, კალიგრაფიული ნუსხურით; ერთ სეგტად; თითოეულ გვერდზე 29 სტრიქონი; აქვს მარტივი თავსამკაული. გადამწერი გრიგოლ ჩახრუხახესძე (296r). ტექსტს აშიებზე ერთვის „შეისწავენი“ და „სხოლიონი“. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ) შემოსვლამდე ეკუთვნოდა გელათის მონასტერს.

შეიცავს მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა კანონებს, აგრეთვე ეკლესიის მამათა კანონიკურ განჩინებებს, რომელთა შორისაა:

„ეპისტოლე კანონიანი წმიდისა გრიგოლისი, ეპისკოპოსისა ნოსელისა, წმიდათაგანისა, ლიტოას მიმართ ეპისკოპოსისა მელიტინელთამსა“ 275r-283v.

შენიშვნები: 1. დიდი სჯულისკანონი უთარგმნია არსენ იყალთოელს. ტექსტი (გრიგოლ ნოსელის კანონიკური ეპისტოლის ჩათვლით) გამოცემულია: [გაბიძაშვილი 1975: 509-520]. ქიმ 25 ხელნაწერი გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით.

3. ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია: ნიკოლამე 1953: 110-116; გაბიძაშვილი 1975: 85-87.

ანდერძი: (გადამწერისა) „კურთხეულ არს ღმერთი და მამადუფლისა ჩუენისა იჲ ქ'ესი, შეწევნითა სულისა წმიდისათა სრულმყოფელი ყოველთა კეთილთა, რომელმან მეცა ღირს მყოს საუკუნეთა მისთა კეთილთა ლოცვითა თქუენითა წმიდითა. ვინცა ამას განმანათლებელსა სულთასა და წინამძღვარსა ქრისტიანეთასა და სჯულთა სულთა მასწავლელსა წიგნსა იკმარქდეთ, გლახაკი ფრად ცოდვილი გრიგოლ ჩახრეხახესძე მომიქსენეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, რომელმან დიდითა გულსმოდგინებითა გარდა-

გწერე თჯითა პელითა ქრისტიანეთა წინამდღუარი დიდი ესე და სამოქალაქო სჯულისკანონი, საუკუნოდ მოქსენებულისა ჩუენ ქართველთათჯს ფრიად ჭირთა თავსმდებულისა არ ს ენი იყ აღ თო ელ ი სა თარგმნილი; საუკუნო ყოს ღმერთმან ქსენებად მისი.

არარადს სხუსათჯს მოვიჭირვე წერად ამისი, თუნიერ რომელ სიყუარული მაქუნდა ცალკერძ წმიდისა მონასტრისა პატიოსნისა ჯუარისად და მერმე ამის წმიდისა წიგნისად და ასე დავიღვე გონებასა ჩემსა, ვითარმედ, უკუეთუ ღირს-მყოს ღმერთმან და წმიდასა მონასტერსა პატიოსნისა ჯუარისასა შინა შეიწყნარონ, მაშა თუთ კეთილ და ვიღრე ცოცხალ ვიყო, არა დავაკლდები ხილვასა ამისსა, და თუ არა, ვიღრე ცოცხალ ვიყო, მე მქონდის და შემდგომად ჩემსა, სადაცა ღმერთმან იხებოს. ხოლო მე ბევრის-ბევრულითა ცოდვითა აღტკრთული ესე წმიდათა შინა ლოცვათა ოქუენთა მომიქსენეთ ყოველმან, კელად მიმღებმან ამის წიგნისამან.

წიგნისა სიმართლისათჯს იჭკ ნუვის გაქუს; პირველ: დედამ მართალი და კარგისა მწერლისა დაწერილი მაქუნდა და თუთ რად არა წარმოგიღგინებ კაცსა მას მოქსენებითა სახელისადთა იღვანე დიაკონსა, წმიდისა დედოფლისა ბორენადს გაზრდილისადთა, რომელ მე ესრე მასმია, რომელ გორგი ბროლასა, კათალიკოს ყოფილსა, აქადთ მისებრი და მის უმართლესი მწერალი არ გამოსულა ჩუენ ქართველთა ნათესავსა შინა; და მერმე, დიად მოჭირვებით შემიმოწმებია, ღმერთმან გარწმუნოს. ვინცა იკითხვიდეთ და ვინცა სწერდეთ ამისგან, ვითა პპოოთ, ეგრე დაწერეთ. მრავალნი უცხონი სიტყუანი არიან, გარნა დედასა ეგრე გპოვე...

(296r)

მინაწერები: 53v, 116r, 150r, 156r, 177r, 213r, 252v, 285r,
290r, 296r, 300v, 311v, (მინაწერთა ტექსტები იხ.:
გაბიძაშვილი 1975: 86).

ქიმ № 30
მეტაფრასი (მარხვისა და ზატიკისა)

XVIII ს.; 229 ფურც.; 31×20; ტყავგადაკრული ტვიფრული ფიცრის ყდა; ზოგი რვეული დარღვეულია და ფურცლები ამოცვენილი; ქაღალდი; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; თითოეულ სვეტში 31 სტრიქონია; სათაურები სინგურით; გადამწერი – ლაზარე; დამკვეთი – მთავარეპისკოპოსი ანტონი (229v); ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ) შემოსვლამდე ეკუთვნოდა გელათის მონასტერს.

ჰომილეტიკური კრებული; შეიცავს მარხვისა და ზატიკის საკითხავებს. საკითხავთა საერთო რიცხვია 34. 30-ე საკითხავად შეტანილია:

„წმიდათა მორის მამისა ჩუშნისა გრიგოლ ნოსელისა, მკუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუშნისა იესუქრისტესი“ 207r-219r.

- შენიშვნები: 1. მთარგმნელად მიჩნეულია გიორგი მთაწმიდელი [კეკელიძე 1957-ა: 27-29]
- 2. ტექსტი გამოქვეყნებულია: [ბუკია 2002]. გამოცემაში ქიმ. 30 გამოყენებული არაა.

მინაწერი: „ქ. ანტონი მთავარეპისკოპოსმა ამ წიგნის გარდაწერაში ოცდახუთი მარჩილი უნდა მივსცე ლაზა[რ]ე მწერალსა“ (119v).

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია ე. ნიკოლაძის მიერ [ნიკოლაძე 1953, 123-129].

ქიმ № 38
გულანი

1579-1612 წწ.; 1084 ფურც.; 30,5×21; ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ნაკლული და დაზიანებული; ქაღალდი; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; სათაურები სინგურით; გადამწერი: ნათანაელი (48v), გიორგი (159r), ზებედე (328v), იოანე (1084v);

დამკვეთი — აფხაზეთის კათალიკოსი ეფთვიმი (48v); აქვს რვეულებრივი პაგინაცია (140 რვეული); ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ) შემოსვლამდე ეკუთვნოდა გელათის მონასტერს.

შეიცავს: საეკლესიო განგებას (1r-237v), თვენს (238r-690r), სადღესასწაულო საკითხავებს (691r-854r), მარწვან-ზატიკს (855r-1057v), თეოდორე სტუდიელის „სწავლანს“ (1058r-1084v).

სადღესასწაულო საკითხავთა შორის ჩართულია:

„წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა გრიგოლ ნოსელისა, მკუდრეთით აღდგო მისათკს უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესა“ 841r-847v.

- შენიშვნები:**
1. მთარგმნელად მიჩნეულია გიორგი მთაწმიდელი [კეკელიძე 1957-ა: 27-29]
 2. ტექსტი გამოქვეყნებულია [ბუკია 2002]. გამოცემაში ქიმ. 38 გამოყენებული არაა.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია ე. ნიკოლაძის მიერ [ნიკოლაძე 1953, 148-154].

ქიმ № 43 მარწვის მეტაფრასი

1806 წ.; 137 ფურც.; 42×30; ტყავგადაკრული ტვიფრული ფიცრის ყდა; ქაღალდი; დაზიანებული; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; სათაურები სინგურით; გადამწერი — ოსე გაბაონი (137r); აქვს რვეულებრივი პაგინაცია (20 რვეული); დაუწერელია: 65-67, 83 ფფ.; ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ) შემოსვლამდე ეკუთვნოდა გელათის მონასტერს.

ჰომილეტიკური კრებული; შეიცავს მარწვისა და ზატიკის საკითხავებს. საკითხავთა საერთო რიცხვია 27, მათ შორის:

„წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა გრიგოლ ნოსელისა, მკუდრეთით აღდგო მისათკს უფლისა ჩუშნისა იესუ ქრისტესისა“ 124r-132r.

- შენიშვნები:**
1. მთარგმნელად მიჩნეულია გიორგი მთაწმიდე-

ლი [კეკელიძე 1957-ა: 27-29]

2. ტექსტი გამოქვეყნებულია [ბუგა 2002]. გამოცემაში ქმ. 43 გამოყენებული არაა.

ანდერძი: „აღვწერე მეტაფრასი ესე მარხვისა მე, ძემან ზაქარია მოძღვრისამან, გაბაონბან მღდელმან ოსე, და შენდობასა ვითხოვ ყოველთა აღმომკითხველთა მიერ; თუმცა მაისსა კო, დღესა ორშაბათსა, ქრისტეს აქეთ ჩეგ“ (137v).

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია ე. ნიკოლაძის მიერ [ნიკოლაძე 1953, 157-161].

ქიმ № 64 მეტაფრასი

1788 წ.; 550 ფურც.; 42×30; ტყავგადაკრული ტვიფრული ფიცრის ყდა; ქალალდი; დაზიანებული; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; სათაურები სინგურით; გადამწერი – ოსე გაბაონი (137r); ხუცესმონაზონი იოანე და ხუცესი ოსე (271v, 526v); აქვს რვეულებრივი პაგინაცია (20 რვეული); ზოგი რვეული დარღვეულია და ფურვლები ამოცვენილი; ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ) შემოსვლამდე ეპუთვნოდა ჯრუჭის მონასტერს.

შეცავს საუფლო დღესასწაულთა პომილიებს და დიდ წმიდათა ცხოვრება-წამებებს (8 სექტემბრიდან 25 იანვრამდე). საკითხავთა საერთო რიცხვია 45. 38-ე საკითხავად შეტანილია:

„წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა გრიგორი ნოსელი ამ კუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუშნისა იესუქრისტესისა“ 508r-520r.

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ იქმნა წმიდამ ესე მეტაფრასი აგუსტოს ზ, წელთა ჩდპშ კელითა ჩემ ულირსისა იოანე ხუცესმონაზონისათა და შემწირავს დიდისა მწყალობელისა და შემწისა ჩემისა მთავარმოწამის გიორგის ეკლესიისა ჯრუჭისათა, რათა მეოხ მექმნეს უამსა ამიერ განსლვისა ჩემისასა. ვინც კელ-ყოს გამო-

წირვად, განურისხნეს მისი მადლი. აღმომკითხველთ
შენდობის ყოფად ვეველრები უღირსი ყოვლად...“ (457v)

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია ე. ნიკოლაძის მიერ
[ნიკოლაძე 1953, 192-198].

ქიმ № 90 მეტაფრასი მარხვისა და ზატიკისა

1795 წ.; 276 ფურც.; 29×21 ; ტყავგადაქრული ფიცრის
ფდა; ქალალდი; აქვს რვეულებრივი პაგინაცია (35 რვეული);
ნაწერია ძალზე წვრილი, კალიგრაფიული ნუსხურით ორ სვეტად;
თითოეულ სვეტში 43 სტრიქონია; სათაურები და თავკიდური
ასოები სინგურით; ზოგიერთი თავკიდური ასო მოხატულია; ნაწერი
არე $18,5 \times 13$; გადამწერი — სიონის დეკანოზი იოანე ისეს ძე
(276v); დამკვეთი — მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე; დაუ-
წერელია 193v, 194r; ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ)
შემოსვლამდე ეკუთვნოდა ხონის წმ. გიორგის ეკლესიას.

შეცავს დღი მარხვის და ზატიკის საკითხავებს (წმიდა
მამათა სამოძღვრო სიტყვებსა და სადღესასწაულო ჰომილიებს).
საკითხავთა საერთო რიცხვია 64. მათ შორისაა სამი საკითხავი
წმ. გრიგოლ ნოსელისა:

„თქემული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა გრიგოლ
ნოსელისა და შემოსლვისათვის წმიდათა მარზვათა და -
სა“ 33v-36v.

„წმიდისა მამისა ჩუშნისა გრიგოლ ნოსელისა, შესხ -
მა წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი“ 63v-
67v.

„წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა გრიგორი მთავარეპის-
კოპოზისა ნოსელისა საკითხავი, თქმული მკუდრეთით
აღდგომისათვის უფლისა ჩუშნისა იქსუ ქრისტესისა“ 205v-
214r.

ანდერძი (გადამწერისა): „არა ეგრეთ საწადელ არს თუალ-

თა შორის სპეკალ-მანგოვანნი მოოჭვანი, გინა ვარდისა ფეროვნება, არა ეგრეთ დატებების პირსა შინა თაფლი, არა ეგრეთ საამო სასმენთა შინა მუსიკა და საყნოსთა არომატისა და ღალიისა სურნელებანი და ყოველთა მუსკულოთა შორის დაამებანი, ვითარ-იგი არს ქსენებად წმიდათად პირსა შინა წმიდისასა და დღესასწაული მედღესასწაულეთა შორის, რამეთუ მართალ არს და ნაძღვლ მართლისიტყუად იგი წერილისაა, ვითარმედ: რომლისაგანცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ. ამით საწადელითა ძლევითა ძლეულმან და სასურველისა თჯისისად დამონებულმან, ტრფიალმან წერილისამან და მსგავსად ფუტკრისა შემკრებელმან ყუავილთა მისთამან, სქესით ვიდრემე ჩიჯავაძემან, ხოლო პატივით მთავარეპისკოპოსმან ყ დ სამღდელომან მეუფემან ანტონის მიბრძანა წიგნისა ამის ვერ-სრულებისა წერით განსრულებად კმათა სასყიდელითა, რომელიცა იყო დიდს ხუთშაბათამდე დაწერილ კეთილჯელოვნისა ვისგანმე, და ვიწყე მე ოცდამეორით რვეულით, რომელ არს სიტყუად დიდისა ხუთშაბათისაა, და სრულ-ვჰყვავ ვიდრე ოხჭანამდე; უკუეთუ ისილოთ მხილველითა ამისთა რომელიმე რამ არასათნომ თქუმნი, ნუ მწყევთ, არამედ შემინდევთ მე ღ თისათჯს. მე უგუშ ვიყავ წერასა შინა ამისსა შეკრულ ორითარე ჯაჭვა: პირველად მართლ და წესიერ წერისა მეცადინობითა, და მეორედ წერილთა კეთილთხულ და ნაკუშტებითა. გარნა პირველი იგი უმოსწრაფესად ვიმხარკე, ხოლო მეორისადმი დაბრკოლებისა მიზეზ მექმნა უცალოებითა ჩემითა უმრავალჯერეს ღამით წერად, გარნა არცა ესე არს საზიზღ, რომლისათჯცა ქუმრმწერელი ვითხოვ კურთხევით ქსენებასა. თუმსა იულისსა ა, წელსა უფლისასა ჩდევ; უდირსი იოანნი ოსეს ძე, იკონომოს-დეკანოსი ტფილისსა შინა სიონისა“ (276v)

მინაწერი: „შე ი ჟ ცოდვილი ალექსი და განხეთქე პელიო-წერილი ცოდვათა ჩემთანი“ (ძალზე წვრილი ხელით, საკითხავის სათაურთან, 60r).

- შენიშვნები:** 1. კრებულს ერთვის საძიებელი: „პინაქსი წიგნ-სა ამას შინა წერილთა საკითხავთა“ (275r-277v).
2. ზოგიერთი საკითხავის სათაურთან აშიაზე მიწერ-ილია მთარგმნელის ვინაობა: „ოვოფილეს თარგმანი“ (168v; 184v; 255r; 259r); „არსენის თარგმნილი“ (187v); „თარგმნილი ეფრემისი“ (241r).

ხელნაწერი დაწერილებით აღწერილია ე. ნიკოლაძის მიერ [ნიკოლაძე 1953, 234-243].

ქიმ № 160 მარხვისა და ზატიკის საკითხავები

XVII-XVIII სს.; 254 ფურც.; 30×21; ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ქაღალდი; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; თი-თოეულ სვეტში 31 სტრიქონია; სათაურები სინგურით; აქვს რვეულებრივი პაგინაცია (32 რვეული).

ჰომილეტიკური კრებული; შეიცავს მარხვისა და ზატიკის საკითხავებს. საკითხავთა საერთო რიცხვია 34. 30-ე საკითხა-ვად შეტანილია:

„წმიდათა შორის მამისა ჩუმნისა გრიგოლი ნოსელი - სა, მკუდრეთით აღდგომისათვის უფლისა ჩუმნისა იესუ ქრისტესი[სა]“ 231r-244r.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. ნიკოლაძის მიერ [ნიკოლაძე 1953, 310-314].

ქიმ № 186 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთამ

1854 წ.; 214 გვ.; 32×21; ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; ქაღალდი; ნაწერია მხედრულით; გადამწერი – დიაკონი ბასილ ცხაგაია (გვ. 214); გადაწერის ადგილი – გორდი.

წმ. ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“-ს ტექსტს ერთვის:

„წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუბნისა გრიგორი ნოსელ ეპისკოპოსისა, მმისა წმიდისა დიდისა ვასილისი, რომელი-იგი წინასწარ თქუა ნეტარმან დიდმან ვასილი, და ვინამთვან დაბადებისათვის კაცისა დაუშთა მას, ესე სრულ-ჰყო წმიდამან გრიგორი მართლად და ღმრთივბრწყინვალედ“ გვ. 122-208.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. ნიკოლაძის მიერ [ნიკოლაძე 1953, 339-340].

ქიმ № 187 მამათა სწავლანი

1823 წ.; 309 ფურც.; ტვიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ფა; 23×18; ქაღალდი; ნაწერია მხედრულად; სათაურები სინგურით და ნაწილობრივ ასომთავრულად; ნაკლული და დაზანებული; გადამწერი — ბერი ილარიონი (53v); ზოგი სათაური ორნამენტითაა შემკული; დაუწერელია 296v.

შეიცავს ოლანე ოქროპირის თხზულებათაგან გამოკრებილი „მარგალიტის“ ზოგიერთ თავს და სხვა წმიდა მამათა ასკეტიკურ და სადღესასწაულო პომილიებს, სულ 24 საკითხავს, მათ შორის:

„წმიდისა მამისა ჩუბნისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისამ, საკითხავი, თქუმული მკუდრეთით აღდგო მისათ კ ს უფლისა ჩუბნისა იესუ ქრისტე[სი]სა“ 258r-284r.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. ნიკოლაძის მიერ [ნიკოლაძე 1953, 340-342].

ქიმ № 208

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული

XIX ს.; 142 ფურც.; ქსოვილგადაკრული ფიცრის ყდა; 19,5×19; ქაღალდი; ნაწერია მხედრულით; სათაურები და თავკი-დური ასოები სინგურით; ნაკლული და დაზიანებული.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს ერთვის მცირე ზომის რამდენიმე თხზულების ტექსტი, მათ შორის:

„ოქმული წმიდისა მამისა ჩუშნისა გრიგოლ ნოსელისა სამყაროსათვს და მნათობთათვს“ 141v.

შენიშვნა: ტექსტი ბოლონაკლულია. წყდება: „აწ უკუშ, ძედ ღმრთისა ქმნილთა ვისწრაფოთ შენანებამ, რამეთუ უკუეთუ შევინანოთ, ვცხონდეთ, და რამეთუ მღდელიცა ქმობს: ავვა მამაო ზეციერო, ხოლო ჩუშნ ვისწრაფოთ, რამთა კა...“

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. ნიკოლაძის მიერ [ნიკოლაძე 1953, 384-385].

ქიმ № 492

სწავლანი სულიერნი

XIX ს.; 16 ფურც.; 22×7; ქაღალდი; უყდო, დაშლილი და დაზიანებული; ნაწერია მხედრულით.

შეიცავს სულიერ სწავლათა ტექსტებს, მათ შორის:

„ოქმული წმიდისა მამისა ჩუშნისა გრიგორი ნოსელისა, ეკლესიას მისვლისა და ლოცვისათვის“ 2v-3v.

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ე. ნიკოლაძის მიერ [ნიკოლაძე 1964, 144].

წ 8. გრიგოლ ნოსელის თხზულებები
უცხოეთში არსებულ
ქართულ ხელნაწერებში

Ath. 11

ათონური მრავალთავი

X ს.; 292 ფურც.; 31,5×24,5; ეტრატი; ნაწერია ნუსხურით
ორ სვეტად; თითოეულ სვეტში 30/31 სტრიქონია; ნაწერი არე:
25×17,7.

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებსა და წმიდათა ცხოვ-
რება-წამებას. გრიგოლ ნოსელის სახელით კრებულში შეტანი-
ლია ორი საკითხავი:

„საკითხავი, თქემული წმიდისა გრიგოლ ნოსელისა და
ხარებისათვის წმიდისა ღმრთისმშობელისა“ 1r-3r.

„თქემული მისივე, წმიდისა ღმრთის მშობელისა და
კუს“ 3r-12v.

შენიშვნები: 1. ორივე ტექსტი ფსევდოეპიგრაფიკულია: ისი-
ნი ძირითადად მიეწერება წმ. გრიგოლ ნეოკესარიელს
(ასევა, მაგალითად, სინურ მრავალთავში; ტბეთისა და
პარხლის მრავალთავებში კი ეს ტექსტები თავნაკ-
ლულია [A კოლექციის აღწ. 1973: 59, 361]).

2. ორივე ტექსტი გამოქვეყნებულია სინური
მრავალთავის მიხედვით: [შანიძე 1959: 1-7, 8-16].

მრავალთავი დეტალურად აღწერილია: [ბლეიკი 1931-32:
344-355; ესბროკი 1975; მაისურაძე 1999: 171-193].

Ath. 18

სამოციქულოს განმარტება

XV-XVI სს. (ასე დაათარიღა ხელნაწერი ალ. ცაგარელმა;
მისი დათარიღება გაიზიარა ყველა შემდგომმა აღწერელმა);

ქაღალდი; 128 ფურც.; 34×23,5; ნაწერია ნუსტურით ორ სვეტად; ნაწერი არე 26×18.

ხელნაწერის ძირითადი ნაწილი (6-120 ფურც.) უკავია უფრემ მცირის მიერ თარგმნილი სამოციქულოს განმარტების ბოლო მონაცემთს (ტექსტი გამოქვეყნებულია [კოჭლამაზაშვილი 2000-2006]). ხელნაწერის თავსა და ბოლოში ჩაწყობილი ფურცლები (1-5, 121-128) სხვა ხელნაწერებიდანაა აქ მოხვედრილი.

1-5 ფურცლების შესახებ მოუთითებდნენ, რომ ესაა რაღაც ფილოსოფიურ-საღმრთისმეტყველო ტრაქტატის ფრაგმენტი, XVI-XVII სს. ხელნაწერი [ბლეიკი 1933-1934: 116; თვალთვამე 1996: 184]. ჩვენ დავადგინეთ, რომ ეს ფურცლები Ath. 18-ში მოხვდა Ath. 14-დან [კოჭლამაზაშვილი 2003: 335-336]. სახელდობრ, ესაა Ath. 14-ში შეტანილი ბოლო თხზულების („წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა, პეტრეს მიმართ, ძმისა თუსისა, პასუხი ექუსთა მათ დღეთათკს“) ნაწილობრივ შემავსებელი ფრაგმენტი.

შენიშვნები: 1. „პასუხი ექუსთა მათ დღეთათკს“ გამოცემულია [ჭელიძე 1989: 194-412]. გამოცემაში Ath. 14 და Ath. 18 ფრაგმენტები გამოყენებული არ არის.

2. Ath. 18 ფრაგმენტების ტექსტს ე. ჭელიძის გამოცემაში შეესაბამება გვ. 221-231.

Ath. 18-ის ბოლოში სხვა ხელნაწერიდან მოხვედრილი 8 ფურცლის (121-128) შესახებ რ. ბლეიკი ვარაუდობდა, რომ ესაა ფრაგმენტი ზატიკისა (**πεντηκοστάριον**). ტექსტის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სინამდვილეში ესაა პარაკლიტონის ფრაგმენტი, და გადმოტანილია მეორე ათონური ხელნაწერიდან – Ath. 26 [კოჭლამაზაშვილი 2003: 336].

ხელნაწერი აღწერილია რამდენჯერმე: ალ. ცაგარელის, რ. ბლეიკის, დ. თვალთვამის, ე. კოჭლამაზაშვილის მიერ [ცაგარელი 1886: 93; ბლეიკი 1931-32: 116; თვალთვამე 1996: 183-186; კოჭლამაზაშვილი 2003: 335-338].

Ath. 32

ბასილი კესარიელის სწავლანი

977 წ. (324v), 314 ფურც.; მაღალხარისხოვანი ეტრატი; 29×21,4; შავ ტკიფრულ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; გადაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ნაწერი არე: 20,2×14; მთარგმნელი: ეფთვიმე (47v, 58r, 313r); მომგებელი: ოვანე, ეფთვიმეს მამა (313r); გადამწერი — საბა, უცბად მწერალი (313r); გადაწერილია ათონზე, ოანე მახარებლის ეკლესიაში.

აღწერილია ა. ცაგარელის, რ. ბლეიკისა და ც. ქურციკიძის მიერ (ცაგარელი 1886: 82; ბლეიკი 1933-34: 150-155; ქურციკიძე 1983: 010-013; Ath აღწ. 1986: 92-99) [ა. ცაგარელს ხელნაწერი აღწერილი აქვს 49 ნომრით]

შეიცავს ბასილი დიდის სწავლანს. წინ უძლვის (გრიგოლ ნაზიანზელის „ბასილის ცხოვრებასთან“ ერთად):

„წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ეპისკოპოსისა ნოსელი სამ, შესხმა წმიდისა და დიდისა ბასილი სთკ სამ, მმისა თვისა“ 48r-58r.

ანდერებები: 1. მთარგმნელისა: „წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთკ-მესათკს, რომელმან ესე ვთარგმნე, და ღმრთისათკს, ვინცა გარდასწერდეთ ამას, დაწერეთ ჩემიცა სახელი და ნუ აღმომჟოცთ მეცა გლახაკსა, რამეთუ ამისთკს თავს-ძიც ფრიადი მრომა“ (47v; ერთვის გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავს: „ცხოვრებად და შესხმად წმიდისა და ღმერთშემოსილისა ბასილისი“)

2. მთარგმნელისავე: „ღმერთმან დაგაჯეროს, წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ ცოდვილისა ეფთვიმესთკს, რომელმან ესე ვთარგმნე, და უფროოსად წმიდისა მამისა ჩემისა იოვანესთკს, რომელმან იხარკა განსწავლად ჩემი, რამთა უფალმან თქუენცა მადლი მოგანიჭოს, წმიდანო ღმრთისანო“ (58r; ერთვის გრიგოლ ნოსელის „ბასილის შესხმას“).

3. გადამწერისა: „ქრისტე, ადიდე სულითა მამად იო-
ვანე და შვილი მათი სულიერი ეფთუმე, ამისი თარგ-
მანი, და მეცა შემიწყალე, გლახაკი საბა, ამისი უცბად
მწერალი. ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისან“.

4. მომგებელისა: სახელითა მამისახთა და ძისახთა და
სულისა წმიდისახთა, ძლიერებითა ცხოველისა პა-
ტიოსნისა ჯუარისათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმ-
შობელისახთა, მეოხებითა წმიდისა იოვანე ნათლისმ-
ცემელისახთა და წმიდისა იოვანე მახარებელისახთა
და წმიდათა მოციქულთა და მღდელომოძლუართა და
წმიდათა მამათახთა და მეოხებითა წმიდისა და ღმ-
ერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისითა მე, იო-
ვანე, ღირს ვიქმენ მოგებად წმიდისა ამის წიგნისა,
რომელი თარგმნა შვილმან ჩემმან ეფთიმე ბერძული-
საგან, და შრომად დიდი ვაჩუენეთ ამას ზედა საქანენ-
ბელად სულისა ჩუენისა. აწ, ვინცა მიემთხუნეთ წმი-
დათა ამათ სიტყუათა ნეტარისა მამისა ჩუენისა ბა-
სილისთა, განმანათლებელთა სულისათა, ღმერთმან
დაგაჯეროს, ლოცვასა მოგკესენით: მე, იოვანე, და
სულიერად და კორციელად მმად ჩემი იოვანე, თორნიკ
ყოფილი, და შვილი ჩემი ეფთიმე, რომელმან თარგმნა
ესე, და სულიერნი მმანი ჩუენნი: არსენი, თ ე და გ ი,
და თქუენ კუალად სასყიდელი მოგანიჭა უფალმან.
დაიწერა მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა
ღმრთისმობელისასა, მონასტერსა წმიდისა იოვანე მა-
ხარებელისასა, ინდიკტიონსა ე, დასაბამითგანსა წელ-
თა [ხუპე] (977 წ.) (ა. ცაგარელის წაკითხვით –
ხფპ = 981, რაც არ ეთანხმება ე ინდიკტიონს [ქურ-
ციკიძე 1983: 013].

შენიშვნები: 1. ყველა ეს ანდერძი ხელნაწერის გადამწერის,
საბას ხელითაა დაწერილი. ც. ქურციკიძის დაკვირ-
ვებით, ანდერძები საკუთრივ ამ ხელნაწერისთვის არაა
შედგენილი, არამედ გადმოტანილი უნდა იყოს ეფთვი-
მესეული ავტოგრაფული ნუსხიდან [ქურციკიძე 1983:
013].

2. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე მთა-
წმიდელისეული თარგმანის ტექსტი გამოცემულია [ქურ-
ციკიძე 1983]. Ath. 32 ამ გამოცემაში A ლიტერითაა
აღნიშნული.

Ath. 39 კრებული

XI ს.; 133 ფურცელი, დაუნომრავი; არც რვეულებრივი
პაგინაცია ჩანს; თავბოლონაკლული; აკლია შუაშიც; თხელი ეტ-
რატი; ფიცარზე გადაკრული შავი ტყავის ყდა; ნაწერია ერთ
სვეტად რუხი მელნით ნუსხურად (თითოეულ გვერდზე 48
სტრიქონი); სათაურები სინგურით; ნაწერი არე სხვადასხვა
ზომისაა: 22,5×14,5 და 21×15; რ. ბლეიკი გამოყოფს ორი გად-
ამწერის ხელს (ფფ. 1-24 და წიგნის დანარჩენი ნაწილი), რომელ-
თაგან პირველი — გიორგი მთაწმიდელია; და. ხევსურიანი გამო-
ყოფს მესამე ხელსაც (ბოლო 25 ფურცელი); ეს ხელნაწერი ა.
ცაგარელის კატალოგში აღწერილია № 79-ით.

შეიცავს შემდეგ თხზულებებს:

1. „[ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ღმერთშემო-
სილისა მამისა ჩუენისა ტიმოთე საკურველ თმოქმე-
დისა ად]“

შენიშვნა: თხზულება მხოლოდ ქართული თარგმანითაა შე-
მორჩენილი. Ath. 39-ში ტექსტი თავნაკლულია. იდენ-
ტიფიკაცია ეკუთვნის ლ. ხევსურიანს. მისივე დაგირგე-
ბით, Ath. 39 ამ თხზულების უძველესი ნუსხაა.

2. „საკითხავი, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეპი-
ფანე კუპრელ მთავარეპისკოპოსისად საღმრთოთა ქორ-
ცთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტე სთა დაფლ-
ვისათჯს და იოსებისთჯს არიმათიელისა და ნიკოლიმოსის-
თჯს და ჯოვოხეთს შთამოსლვისათჯს შემდგომად განმაცხვე-
ლებელისა ვნებისა მისისა, რომელი-ესე იკითხვის დიდსა შა-
ბათსა“ 7r-13v.

შენიშვნა: თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ. ამას გვაუწყებს ანდერძი, რომელიც ტექსტს ერთვის ბოლოში: „წმიდანო მამანო და მმანო, ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთვის, რომელმან ესე წმიდად საკითხავი ბერძულისაგან ვთარგმნე, რამთა ლოცვითა თქუენითა ყოს ღმერთმან შენდობად აურაცხელთა ცოდვათა ჩემთა, და წერტილსა ჩუენსა ნუ შესცვალებთ“.

3. „შესხმად წმიდისა მოწამისა მა მა დ ს ი, თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნო ს ელი ს ა დ, მმისა დიდისა ბასილის“ 13v-15v.

შენიშვნები: 1. ტექსტი დაწერილია გიორგი მთაწმიდი და ელის ხელით და მის მიერვეა თარგმნილი [ხევსურიანი 2009]. ტექსტს ბოლოში ერთვის ანდერძი: „წმიდანო მამანო, ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთვის, რომელმან ესე წმიდად საკითხავი ბერძულისაგან ქართულად ვთარგმნე“ (ამოკითხვა – ლ. ხევსურიანისა).

2. შესაბამისი ბერძული ტექსტი ავტორად მოიხსენიებს ბასილი კესარიელს. შდრ: [მელიქიშვილი 2000: 60].

4. „წმიდისა მამისა ჩუენისა კურილე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისამ, რომელმან თარგმნა ყოველნივე საწინააღმდეგო წიგნი და აღწერნა სხუანი წიგნი მრავალნი, ებისტოლე სხუა ვისმე ეპისკოპოსისა მიმართ, რომელი ვედრებულ იყო მისდა, რამთამცა აღწერა მო კლე თარგ მანება დ წმიდისა მოციქული სა პავლეს ებისტოლე თარგმანი ცნობილი არაა.“ 16v-10lr.

შენიშვნები: 1. ესაა კატენური განმარტება პავლე მოციქულის ორი ეპისტოლისა (რომაელთა და I კორინთელთა), თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდი ელის მიერ. ძეგლი ამ ერთადერთი ხელნაწერითა შემორჩენილი. პავლეს სხვა ეპისტოლეთა განმარტების ეფთვიმესული თარგმანი ცნობილი არაა.

2. პავლეს ეპისტოლეთა განმარტებას წინ უძღვის: „წმიდისა მამისა ჩუენისა კურილე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისად, რომელმან თარგმნნა ყოველნივე საწინააღმდეგულონი წიგნნი და აღწერნა სხუანი წიგნნი მრავალნი, ეპისტოლე სხუას ვისმე ეპისკოპოსისა მიმართ, რომელი ვედრებულ იყო მისდა, რამთამცა აღწერა მოკლე თარგმანება და წმიდისა მოციქულისა პავლეს ებისტოლე ღ თარგმანება და წმიდისა მოციქულისა პავლეს ებისტოლე ღ თარგმანება“ (16v-17v). ტექსტი ნაკლებლია და წყდება I კორ. 8,3-ის კომენტარზე. ზოგჯერ ფურცლები არეულია.

3. ეპისტოლეთა კომენტარებში ჩართულია „სხუა თარგმანი გრიგოლ ნოსელისა და ოქროპირისა“ (53r).

4. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2003, 8-215]; „სხუა თარგმანი გრიგოლ ნოსელისა და ოქროპირისა“ – იქვე, გვ. 109.

5. ხელნაწერს ერთვის მომლოცველთა მინაწერები; გამოქვეყნებულია: [კოჭლამაზაშვილი 2003: 322-323].

6. რადგან ხელნაწერი პაგინირებული არაა, გვერდების მითითება აქ (და რ. ბლეიკის აღწერილობაშიც) პირობითია; ლ. ხევსურიანის დაკვირვებით, ხელნაწერში შემორჩენილია არა 126 ფურცელი, არამედ 133.

5. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისა და, ქალწულებისათვის და საღმრთოება მოქალაქობისა“ 102r-132v.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია რ. ბლეიკის, ე. კოჭლამაზაშვილისა და ლ. ხევსურიანის მიერ [ბლეიკი 1933-34: 228-230; კოჭლამაზაშვილი 2003: 322-325; ხევსურიანი 2000].

Ath. 77

წმიდათა ცხოვრება-შესხმანი

1049 წ. (19v); 146 ფურც.; ეტრატი; $20,9 \times 15,4$; ნაწერია ნუსხურით; თითოეულ გვერდზე 22 სტრიქონი; ნაწერი არე: $15,5 \times 10,5$. შეიცავს წმიდათა ცხოვრება-შესხმას, მათ შორის:

„წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ეპისკოპოსისა ნო-
სელისა ა, შესხმა წმიდისა და დიდისა ბასილისთკ“
85r-95r.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია რ. ბლეიკის მიერ
[ბლეიკი 1933-34: 259-261].

Jer. 2

წმიდათა ცხოვრება-შესხმანი

XI ს-ის ბოლო; ეტრატი; 268 ფურც.; $39,8 \times 27$; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; თითოეულ სვეტში 34 სტრიქონია; ნაწერი არე $29,8 \times 18,5$. გადამწერი – ნიკოლოზი.

შეიცავს წმიდათა ცხოვრებასა და შესხმას, მათ შორის:

„თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსე-
ლისა ა, ცხორებისათვის დისა მისისა წმიდისა მაკრინა ს-
სა“ 76r-99v.

„თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგო-
ლი ნოსელისა ა, შესხმა წმიდისა და დიდისა ბა-
სილისი, ძმისა თჯსისად“ 99v-109v.

შენიშვნა: ამ უნიკალურ ხელნაწერშია შემორჩენილი წე.
გრიგოლ ხანცოლის ცხოვრების ტექსტი (156r-229v).

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია რ. ბლეიკის მიერ [ბლეი-
კი 1922-23].

Jer. 14

სწავლანი ბასილი კესარიელისა

1055 წ. (492r); ეტრატი, 492 ფურც.; 36,6×27,4; ნაწერია ლამაზი ნუსხურით; ნაწერი არე 17×19; პირველი შეიდი ფურცელი ერთ სვეტადაა ნაწერი, მომდევნო ფურცლები — ორ სვეტად; თითოეულ გვერდზე 28 სტრიქონია; გადამწერი — იოვანე დვალი (186v).

შეცავს ბასილი დიდის „სწავლანს“ (თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა), რომელსაც წინ უძღვის:

„ცხორებად და შესხმად წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისად“ 1r-62r.

„შესხმად წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელებისკოპოსისად“ 73r-75v.

შენიშვნა: ბასილი კესარიელის სწავლანის ტექსტი გამოცემულია [ქურციკიძე 1983]. Jer. 14 გამოყენებულია ტექსტის დადგნისათვის C ლიტერით. ამავე წიგნშია გამოქვეყნებული მთარგმნელის, მომგებელისა და გადამწერთა ანდერძები, რომლებიც Jer. 14-ს ერთვის (გვ. 023-024).

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია რ. ბლეიკის მიერ [ბლეიკი 1922-23]. ა. ცაგარელის კატალოგში იგი № 105-ითაა აღწერილი [ცაგარელი 1888], ნ. მარის კატალოგში — № 7-ით [მარი 1955]. ამავე ხელნაწერის შესახებ იხ. აგრეთვე: [ქურციკიძე 1983: 021-024].

Jer. 23

მრავალთავი

XII-XIII სს.; 411 ფურც.; 36×24,8; ქაღალდი; ნაწერი ნუსხურად ორ სვეტად; თითოეულ გვერდზე 32 სტრიქონია; ნაწერი

არე – $30 \times 18,5$; ერთვის რამდენიმე მინაწერი.

ჰომილეტიკურ-პაგიოგრაფიული კრებული; შეიცავს სა-დღესასწაულო საკითხავებსა და წმიდათა ცხოვრება-შესხმას. თითოეულ დღესასწაულზე და ზოგჯერ წმიდათა მოსახსენებლებზე რამდენიმე საკითხავია დადგებული, რის გამოც ამ კრებულს მრავალ თავად მოვიხსენიებთ. საკითხავთა საერთო რიცხვია 64. მათ შორისაა ორი საკითხავი წმ გრიგოლი ნოსელისა:

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა სიტყუად შობისათკს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა და ჩჩკლთათკს, ბეთლემს მოწყედილთა“ 99r-107r.

შენიშვნა: თარგმანი ეფრემ მცირისა [კეპელიძე 1957-ა: 26].

2. ტექსტი გამოქვეყნებულია [კოჭლამაზაშვილი 2006: 28-52]. გამოცემაში ხელნაწერის ვარიანტები აღნიშულია K ლიტერით.

„წმილისა გრიგოლი ნოსელისა, შესხმა წმიდათა ორმეოცთა მ, თავი ბ“ 169v-176r.

შენიშვნა: თარგმანი გიორგი მთაწმიდელისა [კეპელიძე 1957-ა: 27].

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია რ. ბლეიკის მიერ [ბლეიკი 1922-23].

Jer. 37

პაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული

XIII-XVI სს.; 273 ფურც.; 32×25 ; ქალალდი; ნაწერია შავი მელნით ნუსხურად ორ სვეტად; სათაურები და თავგიდური ასოები სინგურით; თითოეულ გვერდზე 32 სტრიქონია; ნაწერი არე $24,8 \times 18$.

შეიცავს წმიდათა ცხოვრებას და რამდენიმე ჰომილიას. საკითხავთა საერთო რიცხვია 34. 29-ე საკითხავად შეტანილია:

„ნოენბერსა იზ: ცხორება და მოქალაქობა წმიდისა

და ყოვლადქებულისა გრიგოლი საკურველთმოქმედისა-ა, აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა“ 204v-229v.

შენიშვნები: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია რ. ბლეიკის მიერ [ბლეიკი 1922-23].

Jer. 38

სადღესასწაულო საკითხავები

XIII-XIV სს.; 479 ფურც.; 31,2×21,8; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; თითოეულ სვეტში 27 სტრიქონია; ნაწერი არე 23,2×15,5; გადამწერი – მიქაელი (126r).

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებსა და წმიდათა ცხოვრება-შესხმას. საკითხავთა საერთო რიცხვია 46. მათ შორის:

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი ეპისკოპოსისად სიტყუად შობისათკ სუფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა და ჩჩულთათკს, ბეთლემს მოწყუელილთა“ 143r-156v.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ.

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი სა და შესხმად წმიდისა სტეფანე პირველმოწამისად“ 156v-170r.

შენიშვნა: თარგმნილია სტეფანე სანანოი სძის მიერ.

„წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი სა და, განმარტებად სიტყუსად მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“ 178v-186v.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია რ. ბლეიკის მიერ [ბლეიკი 1922-23].

Jer. 39

სადღესასწაულო საკითხავები

XIII-XIV სს.; ქაღალდი; 277 ფურც.; თავნაკლული; 30,2×23; ნაწერია ნუსხურით, ორ სვეტად. ნაწერი არე 25,2×17,9.

შეიცავს სადღესასწაულო საკითხავებს (მარხვისა და უძრავი დღეებისას); საკითხავთა საერთო რიცხვია 35; მათ შორისაა წმ. გრიგოლ ნოსელის ორი საკითხავი:

1. „[წმიდისა გრიგოლ ნოსელი სა ა, განმარტებად სიტყუსად მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი]“ 1r-6r.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოცემულია [კოჭლამაზაშვილი 2002-ა: 3-17]. გამოცემაში Jer. 39 ხელნაწერი გამოყენებული არ არის.

2. ხელნაწერის თავნაკლულობის გამო თხზულების დასაწყისი დაკარგულია, ამიტომაც იგი აქამდე იდენტიფიცირებული არ ყოფილა. ფრაგმენტი იწყება ასე: „...ქმნული მეუფისად, და მღლტოლველი და მჯგნელი არა-მიცემად ნათლისცემისა მომცემელსა მას ნათლისლებისასა...“ (შდრ. ჩვენი გამოცემის გვ. 3, სტრ. 20sq).

2. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელი სა ა შემოსლვი სათკს წმიდათა მარხვათა სა, რომელი იკითხვების კურიაკესა უძღებისასა“ 47r-53v.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია რ. ბლეიკის მიერ [ბლეიკი 1922-23: 82-85].

Jer. 44

საღმრთისმეტყველო თხზულებათა კრებული

XII-XIII სს.; 245 ფურც.; 29×24; ნაწერია ნუსხურით ერთ სვეტად; თითოეულ გვერდზე 32 სტრიქონია; ნაწერი არე 22,5×15,7.

შედგენილობით ეს ხელნაწერი იმეორებს შატბერდის კრე-

ბულს; კერძოდ, შეიცავს ბასილი დიდის თხზულებას „ექსთა დღეთათვეს“ (თავნაკლულია), რომელსაც ერთვის:

„თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრი - გოლი ნოსელ ეპისკოპოსისამ, კაცისა შესაქმისა - თჯს, რომელი მიუწერა მმასა თჯსსა პეტრე ეპისკოპოსსა სე- ბასტიელსა“ (57r-103v).

შენიშვნები: 1. ესაა ძველი, ათონამდელი თარგმანი. ტექსტი გამოქვეყნებულია ორგზის [აბულაძე 1964; გიგინეი- შვილი 1979: 67-127].

2. ამავე ხელნაწერში დაცულია „პროსომილიად ექსთა დღეთათვეს სოფლის დაბადებისა“, რომელიც აქ იოვანე ოქროპირს მიეწერება. სინამდვილეში იგი სებერიანე გაბალონელს ეკუთვნის. ტექსტი გამოსაცე- მად მოამზადა ო. ჭყონიამ და გამოკვლევაც დაურთო (1960 წელს), მაგრამ, სამწუხაროდ, გამოქვეყნება ვერ მოახერხა. ამავე ტექსტის ტერმინოლოგიურ გამოკვ- ლევას მიეძღვნა ე. ჭელიძის ფუნდამენტური ნაშრომი „ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლო- გია“ [ჭელიძე 1996].

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია რ. ბლეიკის მიერ [ბლეი- კი 1924-26].

Jer. 74

საღმრთისმეტყველო თხზულებათა კრებული

XIII-XIV სს.; 219 ფურც.; 26×20; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; ნაწერი არე 18,2×13; თითოეულ სვეტში 22 სტრიქო- ნია; გადაწერილია კალიპოსის მონასტერში მოპოვებული დედ- ნიდან მიქაელ მარცუალას მიერ.

შეიცავს რამდენიმე საღმრთისმეტყველო თხზულებას, მათ შორის:

[„თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრი - გოლი ნოსელ ეპისკოპოსისამ, კაცისა შესაქმისა -

თკს, რომელი მიუწერა მმასა თკსსა პეტრე ეპისკოპოსსა სებასტიონსა“] 190v-244v.

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია რ. ბლეიკის მიერ [ბლეიკი 1922-23].

Sin.Geo.N. 7p

წმ. გრიგოლ ნოსელი, ეფრემ ასურის შესხმა

XIII ს.; 3 ფურც.; ქაღალდი; დაშლილი ცალ-ცალკე ფურცლებად. მეორე ფურცელი კბ რვეულის ბოლოა; ფფ. 2-3 ძალზე დაზიანებული; ნაწერია შავი მელნით ნუხსურით.

აქაა ფრაგმენტი წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებისა „ეფრემ ასურის შესხმა“ 1r-v.

ფრაგმენტის შესაბამისი ტექსტი PG-ში: vol. 46, col. 825.

დანარჩენი ორი ფურცლის ტექსტის რაობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

ხელნაწერის შესახებ აქ წარმოდგენილი ცნობები ემყარება მის პირველ აღწერილობას: [Sin.Geo.N. კოლექციის აღწ. 2005: 316].

P 3

გრიგოლი ღმრთისმეტყველისა და გრიგოლი ნოსელის თხზულებათა კრებული

1040 წ.; 38,3×25,5; ეტრატი; აქვს რვეულებრივი სათვალავი; ყავისფერ ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; გადამწერები – გაბრიელ და ოვანე დეკანოზები, ივანეწმიდელ-საფარელნი (427r-428r); გადამწერის ადგილი – ასურეთი, ქართველთა მონასტერი კალიპოსს; გადამწერთ ხელნაწერი შეუწირავთ ჯვრის მონასტრისათვის; 1820 წელს ჯვრის მონასტრიდან წამოუღია გიორგი ავალიშვილს (1v); ამჟამად ეკუთვნის სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს; ხელნაწერის ძველი სააღრიცხვო ნომერია Georg. 149.

კრებულის უმეტესი ნაწილი ეთმობა გრიგოლი ღმრთის-მეტყველის თხზულებებს; არის აგრეთვე რამდენიმე თხზულება გრიგოლ ნოსელისა:

„თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა ა. ქალწულებისათვის და საღმრთოება მოქალაქებისა“ 311v-345v.

შენიშვნები: 1. ერთვის ანდერძი: „ლოცვა ყავთ მამისა ეფთ ჯესთ ჯს, რომელმან ესე წიგნი თარგმნა. ღმერთმან ადიდენ სულითა, ამინ (345v).

2. მინაწერი ტექსტისავე ხელით: „სანატრელნო მამანო, ვჰედავ, რომელ ესე წმიდამ გრიგოლ ნოსელი ესეთივე კაცი ყოფილა, ვითა დიდი ბასილი, თავისი ძმამ, და თუ ვინმე არა იცნობდეს, თქუმულთა მისთადა უჭურიტნეს“ (311v).

„თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა ა. რომელი მიუწერა ძმასა ვისმე, რომელსა ეთხოვა მისგან სწავლამ სულიერი სისრულისათვს, და მან შემოიღო მოსეს ცხორება და მიუწერა“ 345v-396v.

„თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა ა. სინანული ისათ ჯს“ 396v-402v.

„თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა ა. შემოსლვისათვის წმიდათა მარხვათა და“ 402v-408v.

„თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელისა ა. სწავლამ ლოცვისამ და თარგმანებამ მამაო ჩუენო ასა და“ 408v-427r.

ანდერძი: „დიდებამ ღმერთსა, გასრულდა წმიდამ გრიგოლ ნოსელიცა, თუ უნდეს ღმერთსა, დიდი ესე და ბრწყინვალე ქადაგი სინანულისამ. ლოცვა ყავთ წმიდისა მამისა ეფთ ჯესთ ჯს, რომელმან ესე წიგნი ბერძულისაგან ქართულად თარგმნა, ღმერთმან დიდებულ ყავნ სული მათი...“ (427r-428r)

ხელნაწერი დეტალურად აღწერილია ელ. მეტრეველის მიერ [ბრეგაძე 1988: 13, 70-78].

**ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის
ქართული ხელნაწერი № 4
„სანატრელი“**

1160 წ.; 305 ფურც.; 30×24; ქადალდი; ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად; ნაწერი არე 20,7×15. გადამწერი ნიკოლოზ ნიკრამ (304v); ხელნაწერი შემკულია მხატვრულად შესრულებული საზედაო ასოებით და თავსამკაულებით; გადაწერის ადგილი – გარესჯა, ბერთამ; იქიდან წაუღიათ პალესტინაში, ჯვრის მონასტერში. 1570 წელს აუკინძავს ურბნელ მთავარეპისკოპოს ვლასეს, ჯვრის მონასტერში ყოფნისას (305r). 1864 წელს ხელნაწერი განაახლა ბესარიონ ქაოტიშვილმა, ჯვრის მონასტერშივე (8r); ამის შემდეგ (1864-1883 წწ. შორის) ხელნაწერი ჯვრის მონასტრიდან გაუტანიათ (ამის გამო იგი ვერ აღწერა 1883 წელს პროფ. ალ. ცაგარელმა, რომელმაც იმ წელს ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი შეადგინა). ამის შემდეგ ხელნაწერი მთავარდიაკონ კლეობას პირად ბიბლიოთეკაში ინახებოდა (მოგვიანებით იგი ნაზარეთის ეპისკოპოსი გახდა). მისი გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, მისმა მემკვიდრეობმა მიჰყიდეს ანტიკვარული ნივთებით მოვაჭრეს ალექსანდრიაში, სადაც იგი 1931 წელს ვენის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიძინა. ბიბლიოთეკაში იგი ხელახლა აკინძეს.

რადგან ხელნაწერში პატრისტიკული ძეგლებია თავმოყრილი (ანასტასი სინელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირისა და იოანე დამასკელის საკითხავები; კითხვა-მიგება ბასილი დიდისა და გრიგოლი ღმრთისმეტყველისა და სხვ.), ამ ხელნაწერის პირველი აღმწერელი, გრიგოლ ფერაძე, მას მრავალთავის ტიპის კრებულად მიიჩნევდა [ფერაძე 2004: 160]. ასეთი შთაბეჭდილება მას, როგორც ჩანს, შეუქმნა კრებულის საკმაოდ დიდმა ზომებმა. სინამდვილეში ამ კრებულს მრავალთავთან საერთო არაფერი აქვს, ერთი-ორი საკითხავის გარდა. ესაა რაიმე გარკვეული პრინციპის გარეშე შედგენილი, გადამწერის ხელთ მოხვედრილ ტექსტთა შემთხვევითი ნაკრები. ამიტომაც თ. ჯოჯუა

მას კელიოტურ (შერეული ტიპის) კრებულად მიიჩნევს. მასში შეტანილ თხზულებათაგან ერთ-ერთია:

„თარგმანებად მომიჯვენისა ა. თქუმული წმიდისა გრი-
გოლი ნოსელისა ა. 41v-177v.

შენიშვნა: 1. ტექსტი გამოცემულია: [კოჭლამაზაშვილი 2004:
198-285]. გამოცემაში ვენის ეროვნ. ბიბლიოთეკის
ხელნაწერი აღნიშნულია D ლიტერით.

2. ხელნაწერს ერთვის მრავალი ანდერძ-მინაწერი (გა-
დამწერის, შემკაზმველების, მომლოცველთა და სხვ.).
ისინი სრულადაა წარმოდგენილი გრ. ფერაძისა და ო.
ჯოჯუას აღწერილობებში.

ანდერძი (გადამწერისა): სახელითა ღმრთისათა, წიგნსა
ამას ეწოდების სანატრელი. დაწერა ქელითა
უნდოხსა შავ ნიკოლოზ ნიკრა სა ა. სანა-
ხებსა წმიდისა მამისა დავითისსა, გარესჯას, კედელსა
(თუ: კლდესა?), რომელსა ეწოდების სახელად ბერ-
თა ა. ქრონიკოსა ტპ (= 1160 წ.), მეფობასა მისა
დემეტრეს გიორგის ზე, წელსა მეფობისა მი-
სისასა გ. დაამყარენ ღმერთიმან მეფობად მისი სათ-
ნოდ უფლისა ჩურნისა იჲ ქსა, რომლისადაც არს დადგებად
უკუნითი-უკუნისამდე, ამენ. და შავ ნიკრასა შრომისა-
თჯს კურთხევად საუკუნომ, ან. დიდებად ღმერთსა,
სრულმყოფელსა ყოველთასა, ან. მეუფეო, გვენ (304v).

ხელნაწერი დაწვრილებით აღწერილია გრიგოლ ფერაძისა
[ფერაძე 1940; ფერაძე 2004: 164-169] და თემო ჯოჯუას მიერ
[ჯოჯუა 2002]. წინამდებარე აღწერილობა მთლიანად მათ ეყ-
რდნობა. ამავე ხელნაწერის შესახებ იხ. აგრეთვე: [იმნაიშვილი
2001].

**შეღვენილობა წმ. იოანე დამასკელის
დოგმატური კომპილაციისა
„გამოკრებანი წამებათანი“**

S 1463 (138v-181r)

წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იოვანე მანსურ წოდებულისა,
სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს
გამოკრებანი წამებათანი,
რომელთა მიერ ყოველივე კათოლიკე ეკლესიისა
სარწმუნოებამ განცხადებულად გუშსწავების,
ღმრთისმეტყუშლებისასა ვიტყვ ქადაგებასა
და საღმრთოოსა განგებულებისა სიტყუასა,
და სხუათა მართალთა ეკლესიისა შჯულთა უცომელობასა

[თავი C]

სამობისა- და ერთობისა-შორისისა
ღმრთისმეტყუშლებისათვს

გრიგოლი ღმრთისმეტყუშლისამ, ქრისტეს შობისათვს თქუმუ-
ლისაგან (138v-139r)

მისივე, ნათელთათვს თქუმულისა სიტყვსაგან (139r-v)

მისივე, სულისათვს თქუმულისაგან (139v)

მისივე, „გუშინ ბრწყინვალისაგან“ (139v)

მისივე, ღმრთისმეტყუშლებითისა პირველისა სიტყვსაგან (139v)

წმიდისა ბასილისი, ამფილოქეს მიმართა ოცდაათთა თავთაგან
(139v-140r)

ნოსელისამ, მამაო ჩუენოოსა თარგმანისაგან (140r-v)

წმიდისა ბასილისი, ევნომის დასამკობელთაგან (140v)

მისივე, ამფილოქეს მიმართისა მეოთხისა თავისაგან, ვითარმედ
განუკრძალველად უწყის წერილმან მარცუალთა ამათ
კუმევად.¹ (140v)

1 მინაწერი აშიაზე: „თარგმანი: მეზუთესა თავისა შინა გამოუჩინებიეს ამას,

კურილესი ოცდამეათერთმეტისა (31) თავისაგან „საუნჯისა“.¹
(140v-141r)

მისივე, „საუნჯისაგან“, 7 თავისა² (141r)

მისვე წიგნისა მექუსისა თავისაგან³ (141r)

მექუსე თავი მისვე წიგნისა⁴ (141r)

და ოცდამეათოთხმეტესა (34) თავსა შინა, ვითარმედ სრული
ღმერთი არს სული წმიდამ, იტყუს ესრეთ (141r)

თავი 4

ვითარმედ ორთა ბუნებათაგან და ორთა ბუნებათა შინა

მართლმადიდებლობით ქადაგეს ქრისტე

ღმრთივსულიერთა მამათა, და ვითარმედ

ერთსა ბუნებასა სიტყუსასა განკორციელებულსა

კეთილად[მსახურებით] თქუმამ იგივე არს თქუმად

ორთა ბუნებათა ქრისტეს შორის

გრიგოლი ღმრთისმეტყუშლისა [ეპისტოლეთაგან]: ბუნებანი ორნი,

ღმერთი და კაცი, ვინაოთგან სულიცა და კორცნი, ხოლო

ძენი — არა ორნი, არცა ღმერთნი, რამეთუ არცა აქა ორნი

ვითარმედ მამისაცა ზედა ითქუმის რომლისა - მიერი, და ძისა და სულისა ზედა — რომლისაგანი, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: შემოკრიბა თანად ყოველი, ერთისა და მისვე ჭუშდებარისა ზედა ნეტარმან პავლე და თქუა, ვითარმედ: მისვან და მის მიერ და მისისა მიმართ ყოველნი; და ვითარმედ უფლისა მიმართ თქუმულ არს“.]

1 მინაწერი აშიაზე: „ღ ისა ზედა ქსენებულთა სახელთათუს, და ვითარ-
მედ არა მათთა გარემოთაგან, არამედ თავით თუსით იცნობებიან არსებანი“.

2 აშიაზე: „ვითარმედ არა არსება, არამედ ზესთა არსებისა არს ღმერთი“.

3 აშიაზე: „ვითარმედ გმობა არს თქუმამ თუ დასცხრა შშობელობისაგან ღმერთი“.

4 აშიაზე: „მაგალითი ძისა შობისამ. სხუაგან იტყუს ესე, ვითარმედ შობილი და და ბუნებით მამისაგან არს ძე; თანად და სამარადისოცა მის თანა. ვითარცა ცეცხლისაგან სიმკურვალე, ანუ ნათლისაგან შარავანდი, ანუ ვი-
თარცა ყუავილისაგან სულნელებამ და თაფლისაგან სიტყბოებამ, რომელნი-
ესე არა ზიარებით მიხუმულ ამაზგან, არამედ არსებითად მყოფ არიან ამათ
თანა“.

კაცნი, დაღათუ ესრეთ სახელ-სდვა პავლე შინაგანსა კაცისასა და გარეშესა (141r-v)

მისივე, სიტყვისაგებელისაგან, რომელ არს „ვიძლიე“ (141v)

მისივე, ძისათუს მეორისა სიტყვისაგან (141v)

ამფილოქესი, სელევკოსის მიმართისა ეპისტოლისაგან (141v)

ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოსისად აპოლინარის მიმართისა სიტყვისა განკაცებისათუს¹ (141v)

ათანასისი, ეპიკტიტოდს მიმართისა ეპისტოლისაგან (141v)

გრიგოლი ნოსელისად, აპოლინარის ძლითისაგან (141v)

ამბროსი მედიოლანელისად, ღრატიანე მეფისა მიმართისაგან,
რომელი იგმარა კურილეცა კრებასა ეფესომსასა (141v-142r)

ამბროსისივე, თარგმანებისაგან მრწამსისა (142r)

კურილესი, თარგმანებისაგან იოვანეს სახარებისა (142r)

მისივე, სუკენსონის მიმართისა ეპისტოლისაგან² (142r)

მისივე, სუკენსონის მიმართ მეორისა ეპისტოლისაგან³ (142r)

მისივე, ალექსანდრეს მიმართისაგან სარწმუნოებისათუს (142r)

მისვე სიტყვისაგან (142r-v)

მისვე სიტყვისაგან (142v)

ოქროპირისად კესარიოდს მიმართ მონაზონისა, შემდგომად მე-

1 აშიაზე: „რამეთუ ყოვლად ბოროტადმსახურნი არიანოზნი ერთსა ბუნებასა იტყვან ქრისტესა.“.

2 აშიაზე: „იხილე, ვითარ არა მოსპობს ბუნებათა შემდგომად შეერთებისა, არამედ განწვალებასა არა იტყვს მათსა, და არათუ ორთა ბუნებათა თქემასა პრიდებს, არამედ არა განპკუტოს ორად ძედ ერთსა“. „შეისწავე, ვითარ ორთა ბუნებათა იტყვს აქა შემდგომად შეერთებისა, მომსპობელი ერთისა ბუნებისა თქემასა, და ყოვლად ყოვლითურთ ორობასა დამამტკიცებელი ბუნებათასა. ხოლო შემდგომთა მნა უბრწყინვალესად თარგმნის იგი ორთა ბუნებათა ყოფასა ერთისა ქრისტეს შორის, შეურვენელთა და უქცეველთა და განუყოფელთასა“.

3 აშიაზე: „იხილე, ვითარ ცხად-მყოფელად არსებისა ჩუენისა შემოღებულობასა იტყვს მოძღვარი განკორციელებულისასა, რადთა იყოს ერთი ბუნებად სიტყვისა ღმრთისად, და გან კორციელებულისა მიერ საცნაურ-ყოფითა არსებისა ჩუენისადთა ორნი ბუნებანი – ღმრთებისა და კაცებისად“.

ორისა ექსორიობისა მისისა (142v)
 კურილესი, თარგმანებისაგან ლევიტელთან პურიათა შესაკრებელისათვს (142v)
 მისივე, ერმიონის მიმართ (142v-143r)
 მისივე, თარგმანებისაგან ებრაელთა ეპისტოლისა (143r)
 მისივე, ალექსანდრეს მიმართისა სიტყუსაგან (143r)

თავი ၇,

რამეთუ საზოგადოდ ბუნებისა ჩუენისად
 დაითმინა ვნებად, ცხად არს, ვითარმედ ჭორცითა,
 რომელი-იგი ბუნებით ცხოველი ღმერთი იყო¹

ფილიკისონის მიმართისაგან ორთა ბუნებათათვს, ბოროტადმსახურისა სევეროზისი, რამეთუ იტყუს პირველსა სიტყუასა

1 სათაური ამ ქეთავისა H 1463 ხელნაწერში „თავი ၇“-ის წინ წერია.
 2 სევეროზის ციტირებას ერთვის კომპილატორის შენიშვნა (ტექსტშივე): „ხოლო ვინახთგან ორთა ბუნებათა ცხადად აღრიცხუვასა არა თავს-იდებს სევეროს, მოვდ და ფილიკისონის მიმართ თქუმულისაგან სიტყუსა მისისა საღმრთოდ ბუნებისა, ეგრეთვე და კაცობრივისაცა ბუნებისა ქრისტეს ზედა შემდგომად შეერთებისა აღმსარებელად წარმოვადგონოთ იგი. და რამეთუ დაღადუ ზედაასზედა იტყუს ამას, გარნა ეგრეთცა ირთა ბუნებათა აღსაარებასა, ვითარცა ბოროტადმადიდებელი, არა თავს-იდებს. ხოლო იტყუს მეოთხეა სიტყუასა შინა, ვითარცა წმიდისა კურილებს მაგიერ ესრეთ...“ შემდეგ იქვე მოყვანილია სევეროზის გამონათქვამები. ხოლო აშიაზე ამის გასწვრივ წერია: „მეხუთესა თავსა შინა სევეროზ იტყუს...“ (143r). ასევე:

— „და კუალად მექუსესა სიტყუასა შინა, ვითარცა წმიდისა კურილეს მიერ სიტყუსგებისაგან, ვითარმედ ერთ არს ქრისტე“ (და გრძელდება სევეროზის ციტირება) (143r)

— „და მესამესა თავსა შინა, ვითარცა წმიდისა კურილეს მიერ...“ (ერთვის სევეროზის ციტატა) (143r).

— „ხოლო მეხუთესა სიტყუასა შინა სევეროზისა ესრეთ...“ (ერთვის სევეროზის ციტატა) (143r-v)

— „და მერვესა სიტყუასა შინა კუალად სევეროს...“ (ერთვის სევეროზის ციტატა) (143v)

— „ხოლო ამათთვს თჯსაგანსა ოცდამესამესა თავსა შინა პპოებ“ (კვლავ სევეროზის ციტირება) (143v)

- შინა, ვითარცა პირისაგან წმიდასა კურილესა (143r)
 * ათანასისი, საცხორებელისა ღმრთისგამოჩინებისათვის (143v)
 კურილესი, თევდოსი მეფისა მიმართისაგან (143v)
 მისივე, დედოფალთა მიმართისაგან (143v)
 მისივე, მუნითვე (143v-144r)

თავი Ծ,

ნესტორის განსაწყყობელად, რომელი არა იტყოდა
 არცა ქრისტესა ღმრთად, არცა წმიდასა ქალწულსა
 ღმრთისმშობლად

წამებანი წმიდათა წერილთანი: იოვანეს სახარებისაგან ას და
 მეათრვამეტისა თავისა: ხოლო ესე დაიწერნეს, რამთა
 გრწმენეს, ვითარმედ იქსუ არს ქრისტე, ძე ღმრთისამ, და
 რამთა მრწმუნებელთა ცხორებად გაქუნდეს სახელითა
 მისითა (იოვანე 20,31) (144r)

- პირველისა იოვანეს კათოლიკისაგან (144r)
 მოციქულისამ პრომაელთამ (144r)
 წმიდისა კურილესი (144r)
 კურილესი, დაწყებასა პირველისა სხოლიონისასა¹ (144r)
 ** მისივე, აპოლინარის ძლითისაგან (144r-v)
 ღმრთისმეტყუელისამ, ძისათვის თქუმულისაგან (144v)
 მისივე, „ქრისტე იშვებისისაგან“ (144v)
 კურილესი, სამებისა ძლითისა სიტყუსაგან (144v)

* S 158-ში აქა გადატანილი დასაწყისი მესამე თავისა, რომელიც დასა-
 თაურებულია ასე: „თავი გ. ვითარმედ სახელა ქრისტესი თითოეულთა ბუნებათა
 არს ცხად-მყოფელი, და ვითარმედ ღმერთ არს ქრისტე და ღმრთისმშობელ –
 ქალწული, ძანად უღ თოსა ნესტორისსა (გვ. 75).

** წარწერა „თავი დ“ აქა გადმოტანილი S 158-ში.

1 მინაწერი აშიაზე: „შეისწავე, ვითარმედ მრჩობლად სახელ-ედების ქრი-
 სტე მამათა მიერ მრჩობლობისათვის ბუნებათამსა; და კუალად, არა-მრჩო-
 ბლად, ერთობისათვის გუამისა, ესე იყი არს პირისა“. აშიაზევე სინგურით
 მიწერილია ახალადთქმისული წყაროები: „გალატელთამ“, „ეფესელთამ“,
 „ტიტესა“.

მისივე, იოვანეს თავისა თარგმანებისა 72 წიგნისაგან (144v)
მისივე, მატთეს თავისაგან (144v)

მისივე, დაბადებისათვის თქუმულთაგან, აბრაამის მსხუმრპლთა-
თვს, სადა ოტყვს, ვითარმედ: „მოვიდა ადგილსა, ორად
განსაკუშთელთასა“¹ (144v)

კურილე იშლ~მელისა, საკათაკუმეველოთაგან (144v)

გელასი ეპისკოპოსისა კესარიელისამ, თარგმანებასა შინა სას-
წავლელისასა (144v)

წმიდისა ეფრემისი მარგალიტსა შინა² (144v)

თავი 7.

ვითარმედ უქცეველად ეგნეს ერთობად მოსრულნი ბუნებანი
და შეურევნელად არა-რომლისა მათ[განი]სა სხვსა ბუნებად
გარდაცვალებითა; და ვითარმედ ცხოვლად ჰგიან
შემდგომად შეერთებისაცა თკთებანი ბუნებათანი;
და ვითარმედ ამათი განყოფილებად

1 აშიაზე: კადინიერ იქმნების თქუმად ყოვლადბრძენი კურილე, მნებებელი
განლებად და განმარტებად დიდსა და ღრმასა საიდუმლოსა განგებულებისასა,
და სწავლად უმეცართა მისთა, ვითარმედ ვითარ-იგი ქორც იქმნა სიტყუად,
ორ განიკუშტების, და ორგვეცითა ხედვითა მის-ძლითი სიტყუად განვრცნების
შემდგომად ქორცთა-მიმართისა შეერთებისა“.

2 აშიაზე: გარნა ნუუკებ თქუნ მტერთა ჭეშმარიტებისათა, ვითარმედ
კურილე ნესტორის მიმართსა ეპისტოლესა შინა ოტყვს, ვითარმედ მრჩობლი
არა იყო ქრისტე ერთი და მხოლოდ. ეგრეთვე ნესტორის ძლითსა მეორესა
თავსა შინა იტყვს, ვითარმედ არა მრჩობლი იყო. აწ უკუს, ამათნი სადმე
მეტყუშლნი არა ცხადად თანა-შეატყუშენა მამათა თავთა თჯსთა და ურთ-
იერთას, და ბრძოლასა ზიართაგან სარწმუნოებისათა შეინივთებენ, და რომელთა
ქრისტემან დაუტევა შშკდობად თჯსი, მსათ ჰგიობრენ უგულისქმონი, მიმს-
გავსებულნი ეშმაკისანი, და ერთნებათა ვითარცა წინააღმდეგიმთა შემსსმენელ
ექმნებან. ხოლო თჯ მის წმიდისა კურილეს წინააღმდეგომად თავისა თჯსისა
გამოჩინებასა იღუწიან. გარნა არა ესრეთ ჩუენ, არცა უცხოსახედ ვმადიდე-
ბლობთ, არამედ გრიგოლისებრ და სხვათა მამათა, კურილეს თანა ვიტყვთ,
ვითარმედ მრჩობლი იყო არსებითა; და კუალად მისვე კურილესებრ არა
მრჩობლად ვპპოებთ მას დამსახველობითთა გუამოვნებითა, რამეთუ ერთადვე
ეგო და განკაცებულიცა ღმერთი სიტყუად“.

არცა ერთსა შემოიღებს განწვალებასა

კურილესი, ებრაელთა ეპისტოლისაგან (144v)
 მისივე, თანა-შეარსების ძლითისა სიტყუსაგან (144v)
 მისივე, სუკენსონის მიმართისა პირველისა ეპისტოლისაგან (144v)
 მისივე, ნესტორის მიმართისა ეპისტოლისაგან (144v)
 ამბორისისი, ღრატიანეს მიმართ მეფისა (144v)
 თეოდორტე ანტიოქელისამ, ირაკლიდორეს მიმართაგან (145r)
 ლეონ პრომისამ, ფლაბიანეს მიმართისაგან (145r)

თავი 7.

ვითარმედ არა იგივე არს ბუნებამ და გუამი,
 ხოლო ბუნებამ და არსებამ – იგივე,
 და ეგრეთვე – გუამი და პირი

წმიდისა ბასილისი ამფილოქეს მიმართისა ეპისტოლისაგან (145r)
 მისივე, ტერენტის მიმართ (145r)
 მისივე, გრიგოლის მიმართ, ბმისა თჯისა (145r-v)
 ამფილოქესი, სელევკოსის მიმართისა ეპისტოლისაგან (145v)
 გრიგოლისი, ევნომის ძლითისა სიტყუსაგან: რამეთუ გუამოვნებათა
 თჯებამ ვიდრემე ცხად იქმნების... (145v)
 ბასილისი, ამფილოქეს მიმართ მეექუსისა თავისაგან (145v)
 მისივე, კესარის მიმართ მეორისა ეპისტოლისაგან (145v-146r)
 და კუალად, რომელთა შინა ევსტასი¹ სომეხისა წარწერამ ყო,
 ესრეთ მწერლად იხილვების (146r)
 ღმრთისმეტყუბლისამ, პირველისა ღმრთისმეტყუბლებითისაგან
 (146r)

მისივე, ჯმნისაგან (146r)

მისივე, „კუალად იესუესამ“² (146r)

პამფილესი, სელევკოსის მიმართისა ეპისტოლისამ (146r)

ბასილისი, არიანოზთა ძლითისა სიტყუსაგან (146r)

განყოფილებისათვს არსებისა და გუამისა და პირისა, გარეში-

¹ ევსტათი A 269.

² აშიაზე ერთვის დიდი მინაწერი.

საცა ფილოსოფოსისაგან, და თუ რამ არს გონიერი,
სიტყვური, მგრძნობელობითი, ნერგობითი და უსულოდ¹
(146r-v)

განყოფისათვს გუამისა და პირისა (146v-147r)

პამთკლესაგან: იტყვის არისტოტელი: არსებამ არს ყოვლადსა-
კუთარი (147r)

გუამისათვს ქრისტესისა, ეგრეთვე პამთილესგან (147r-v).

თავი ზ.

ვითარმედ ერთბამად [ღმერთი და კაცი] არს ქრისტე
და ერთი ქრისტე; და სახისათვს განგებულებისა,
ესე იგი არს საღმრთოოსა განკორცილებისა და ვნებისათვს
და ჯოვონხეთს შთასლვისა, ვითარ-იგი მოუცემიეს მამათა
კურილესი, თევდორის მიმართ მეფისა (147v)
მისივე, იოვანეს მიმართ ანტიოქელისა (147v)
პროკლე კონსტანტინუპოლელისამ, მარხვა[თათვს] (147v)
ამბროსისი, სარწმუნოებისა ძლითისაგან საღმრთოოსა განკაცებ-
ისათვს (147v-148r)

ღმრთისმეტყუშლისამ კლიდონის მიმართ, რომელი [შე]მოღებულ
იქმნა [ნესტორის ძლითსაცა] კრებასა ეფესოოსსა (148r-v)

მისივე, „ქრისტე იშვებისისაგან“ (148v)

ათანასისი, აპოლინარის ძლითისაგან (148v)

გრიგოლი ნოსელისამ, საკათაკუმეველომსაგან (148v)

საკრებომსაგან კურილესისა ნესტორის მიმართისა ეპისტოლისა
(148v)

ისიდორე ხუცისამ, არქიდის მიმართ ხუცისა ნესტორისთვს (148v)

ათანასისი, აპოლინარის ძლითისა სიტყვსაგან (148v-149r)

კურილესი, თარგმანისაგან იოვანეს სახარებისა (149r)

მისივე, სხოლიონთაგან (149r)

მისივე, თევდორი მეფისა მიმართ (149r)

მისივე, აკაკის მიმართისა ეპისტოლისაგან (149r)

1 აშიაზე: „შეისწავე საზღვარი არსებისა და ბუნებისამ“ 146v.

იპპოლიტე ჰრომისა ეპისკოპოსისა და მოწამისამ (149r)
 გრიგოლ ნოსელისამ, პასექისა ძლითისა სიტყვისაგან (149r)
 კურილესი, თევდოსი მეფისა მიმართისაგან (149r-v)
 მისივე, ნესტორის მიმართისა ეპისტოლისაგან¹ (149v)
 ამფილოქესი, სელევკოვს მიმართისა ეპისტოლისაგან (149v)

თავი ზ.

ვითარმედ პირველ დადებამ იგი,
 რომელსა ენ ჰრეკან ბერძულად, იცნობების
 მამათაგან წინადაწესებულად ბუნებათა ქრისტესთა,
 და ვითარმედ არა ჯერ-არს თქუმად თუ
 ღმრთებამან ივნო ქორცითა,
 ანუ ღმერთმან ივნო ქორცთა მიერ

ბასილისი, ამფილოქეს მიმართისა ეპისტოლისაგან (149v)
 ამბროსისი, ღრატიანე მეფისა მიმართისაგან (149v)
 კურილესი, თევდოსი მეფისა მიმართისაგან (149v)
 მისივე, სამებისა ძლითისაგან (149v)
 მისივე, აკაკის მიმართისა ეპისტოლისაგან (149v)
 მისივე, სხოლიონთაგან (149v)
 ამბროსისი, სარწმუნოებისა ძლითისაგან ღრატიანეს მიმართ მე-
 ფისა (149v)
 მისივე, მეოთხისა თავისაგან განკაცებისათუს (149v)
 ათანასი ეპიკტიტომ მიმართ (149v-150r)
 მისივე, იოვანეს გამოცხადებისა ძლითისა სიტყვისაგან აპოლი-
 ნარის მიმართ (150r)
 მისივე, საცხორებელისა ქრისტეს ღმრთისა გამოჩინებისათუს
 თქუმულისაგან აპოლინარის მიმართ (150r)
 ამფილოქესი, სელევკოსის მიმართისაგან (150r)
 კურილესი, ნესტორის მიმართისა ეპისტოლისაგან (150r)

¹ აშიაზე მინაწერი: „უცხოვ“.

თავი ც.

ვითარმედ შეუძლებელ არს თქუმად
ერთი ბუნებად ქრისტესი შეზავებული,
აუგებელისა და აგებულისაგან შემოკრებული;
და ვითარმედ აპოლინარი და უწინარეს მისსა მანენტოს
დასაქსნელად ორთა ბუნებათა ერთისა შეზავებულისა
ბუნებისა კმად შვეს ბოროტადმსახურებით ამათ თანა
და არიანოზთაცა, რომელთა შეუდგეს ევტჟე
და სევეროს ელლენი; რომელსა შინა არს სიტყუათათუსცა,
რომელთა წინა-ჰყოფენ მწვალებელნი, ვითარცა
ათანასესგან და იულიოსისგან, გამოჩინებად ვითარმედ
აპოლინარისნი არიან; ხოლო ოცდამეცხრესა თავსა შინა
უვრცელესად-რე ჰპომ შეზავებულისა ბუნებისათუს
ღმრთისმეტყუშლისად სულისათუს¹ (150r)
ევსტათი ანტიოქელისად არიანოზთა ძლითისა სიტყუსაგან² (150r)
კურილესი, თანაშეარსვისაგან³ (150r-v)
გრიგოლი ნოსელისად აპოლინარის ძლითისა სიტყუსაგან (150v)
ამბროსისი, წვალებათა ძლითისა მეცხრისა სიტყუსაგან (150v)
პოლემონა აპოლინარის მოწაფისად ტიმოთეს მიმართ თანამოწაფისა
მისისა⁴ (150v)

1 აშიაზე: „აპა განცხადებულად და საყოველთაოდ ყოვლისა მწმასნელობისა უძრესად გამოაჩინა ღმრთისმეტყუშლმან არსებად რამე ერთი შეზავებული თქუმად ღმრთებისაგან და აგებულისა ბუნებისაგან“.

2 აშიაზე: „შესწავებულ იყავნ, ვითარმედ შეუძლებელ არს თქუმად მისვე და ერთისა ბუნებისათუს აგებულ და აუგებელ ყოფად, რამეთუ საყოველთავოდ არს სიტყუად მოძღვრისად“.

3 აშიაზე: „იხილე აქაცა, ვითარმედ შეზავებულად საგონებელ-ყოფად საღმრთოესა ბუნებისად, ანუ თავისა თუსისა მიმართ ანუ სხვსა რომლისამე სხუაბუნებისა მისისა მიმართ უღღონდ, დადვა მოძღუარმან და შეუძლებელად გამოაჩინა იგივეობად ბუნებისა, ესე იგი არს თანაარსობად მოსლვად საღმრთოესა ბუნებისად სხუა მიმართ“ (150v).

4 აშიაზე: „უმიერ არს მოქსენებად მათიცა, რომელთა-იგი წინა-მიყოფენ წინააღმდეგომნი, ტყეილით დამწერელნი სიტყუსანი, ვითარცა ათანასეს მიერისანი, რომელი განცხადებულად აპოლინარისი არს, ვითარცა წამებს ტიმო-

აპოლინარისი პეტრეს მიმართ, თანამწვალებელისა მისისა (150v) მისივე, გან კორციელებისა ძლითისა სიტყუსაგან (150v)

მისივე, დიოდორეს ძლითი ირაკლიონს მიმართ (150v)

აპოლინარისი იგბიანოსის მიმართ მეფისა მიწერილისაგან ეპისტოლისა (150v)

მეუფესა ჩემსა სასურველსა თანამღდელსა დიონიქსიოსს აპოლინარი¹ (150v)

აპოლინარისი დიოდორეს მიმართ² (150v-151r)

თუ, რომელმან ზანდუკი აპოლინარის სიტყუათად აღწერა; რომელთა თანა ათანასის მაგიერ მოღებულიცა ესე განაწესა; და კუალად იგიცა, რომელსა-იგი წარსწერენ იულიომხდად; ხოლო რამთა ნათესავობისაგან სიტყუათადსა იცნობოს საკუთარი მამად მათი, დავაწესენით აქა რაოდენნიმე სიტყუანი აპოლინარეთი.

ხოლო წინა-ჰყოფებ წინააღმდეგომნი სიტყუასა რასმე ვითარცა ათანასისა, რომლისაგან წინა-დასდებენ წამებისა ქონებასა აქა. ესე უკუშ არიან ვითარცა ათანასის მაგიერ მოხუმულინი, და ვინცა ვინ ზრუნავს ჭეშმარიტებისათუს, თანა-შეატყუშნინ ესენი სხუათა სარწმუნოებითთა შჯულთა ათანასითა, და უეჭუშლად უმსგავსოებად პოვოს ამათი მათდა მიმართ. აწ უკუშ, უკუშთუ იგინი ათანასისდად განსთქუმენ ამათ, ხოლო ესენი მეზობელ არიან აპოლინარისთა, და თუ იგი თანა-შეატყუშბადცა შემძლებელ არს წარმოდგინებად ჭეშმარიტებისა; გარნა ჩუქუშ თუნიერ თანა-შეატყუშბისაცა ზედა-მივწინეთ ჭეშმარიტებასა, და მიმთხუმულთა ზანდუკსა ტიმოთესისა, ვი-თარცა პირველ ვიტყოდეთ, ვ[...]-თ. და ოულიოს პრომისათუს წმასინისმწერალ-თა თუ მის ზედაწარწერილისაგან არა ხოლო ცილისწმებელობად ემხ-ილების, არამედ თუ ბუნებისაცა ზედა[აღდეგომა]დ, ვინამთგან ესევითარსა ზედაწარწერილსა არა ვითოთა მიმართ ჰყოფენ პრომნი, არცა ეპისკოპოსისა მიმართ, დაღათუ ყ თასაცა იყოს, [ა დ არცა თუ] ზუცისა მიმართ, არცა შეწყობად სიტყუსად [...]თარგმნევი არს, პრომაულისა ენისაგან გარდმოღებული, არამედ ფრიად ელლენ[...] თუ იგი წერს აპოლინარი, ყოვლითურთ [...] მიმართ ხუცისა ჰყოფეს ესევითარსა [...]".

¹ ციტატის დასწევისი: „ხოლო წმასინისმწერალთა ესრეთ დაწერეს: ოულიოს ეპისკოპოსი პრომისად უფლისა მიერ გახარებ...“. ციტატის დასასრული: „ამათ უკუშ ვითარცა იულიოსისთა წინა-ჰყოფენ; ხოლო თანა-შევაყენეთ (უნდა იყოს: „თანა-შევატყუნეთ“ – ე. კ; თ. დ.) ჩუქუშ ამათ აპოლინარისნი, რომლითა ვაჩუშნოთ ზოგადი თანამონათესვებიად მათი“.

² ციტატის დასასრული: „ესე არიან აპოლინარის ნეტარების ღირსნი, ვითარცა იტყუს პოლემონ მოწაფე მისი. და ამათ უმეტესი მსგავსებად აქუს

მანენტოსისი, სკუთიანეს მიმართისა ეპისტოლისაგან (151r)
ევდუქსიოს ეპისკოპოსისა კონსტანტინუპოლელისა არიანოზისამ,
განკორციელებისათვს თქუმულისა სიტყვისაგან (151r)
ლუკიოს არიანოზისა ეპისკოპოსისა ალექსანდრიელისამ, პასე-
ქისათვს თქუმულისაგან (151r)

თავი 7.

ვითარმედ მამათაგანთა ვიეთმე სახელსა შეზავებისასა
იჯმნეს თქუმად განგებულებითისა ზედა შეერთებისა
ამბროსისი სიტყვისაგან განგებულებისათვს საღმრთოესა განკა-
ცებისა თქუმულისა, რომელი-ესე წერილ არს მეორესა
თავსა შინა (151r)

ოქროპირისამ, კესარიონეს მიმართ მონაზონისა (151r)

კურილლესი, ალექსანდრელთა მიმართისაგან (151r-v)

მისივე, ანატოლეს მიმართისა ეპისტოლისაგან (151v)

თავი 7C.

ვითარმედ ყოველი საღმრთო ბუნებად
ერთისა მიერ გუამისა შეერთა ყოველსავე კაცებასა
და არა კერძო კერძოსა,
ვითარცა არიოზის- და აპოლინარისგანნი იტყუან
და კერძოობითთა აღმსაარებელნი არსებათანი;
და ვითარმედ ყოველნივე მიიჩუნა სიტყუამან ჩუშნი

კურილესი, თევდოსი მეფისა მიმართისაგან (151v)

ღმრთისმეტყუშლისამ ნათლისლებისა ძლითისაგან (151v)

კურილე თევდოსი მეფისა მიმართ (151v)

ღიონჯისიოს არიოპაგელისამ საღმრთოთა სახელთათვს თქუმუ-
ლისაგან (151v)

მათ მეურ წმასნილთა თანა, ვიდრე ათანასის და ოულიოსის სიტყუათა თანა“.
აქ ტექსტშივე ერთვას მთარგმნელის შენიშვნა: „აქა სხუანიცა წამებანი
ეწერნეს მწვალებელთანი – მანინისი, ევდუქსიოს კონსტანტინუპოლელისამ
და ლუკიოს ალექსანდრიელისამ, და თანა-წარ[გვპედ]“ (151r).

კურილე ებრაელთა თარგმანებისაგან (151v)

ბასილისი სოზოპოლელისა მიმართისაგან ეპისტოლისა (151v)

ეპიფანე კუპრიელისა ხარისხისაგან (151v)

ათანასისი საცხორებელისა ქრისტეს გამოჩინებისათვის თქუმულისაგან (151v)

მოციქულისა კოლასელთა მიმართისაგან (151v)

დიონისისი, შეერთებულისა და განყოფილისა ღმრთისმეტყუმლებისაგან (151v)

მისივე, დასასრულსა ამის თავისასა (151v-152r)

მისივე, საღმრთოთა სახელთაგან¹ (152r)

თანამოსაჯულობითთაგან ევნომი ალექსანდრიელისათა, ვითარმედ უკუეთუ იტყვა ქრისტესა ორთა არსებათა ქონებასა, უეჭუმლად წმიდად სამებად განკორციელებულ არს ყოვლითა კაცებითა (152r-v)

წინააღმდეგომად მეტყუმლთა მიმართ, ვითარმედ განთვისებული ბუნებად არს მამისად და განთვისებული ძისად; ეგრეთვე და სულისა წმიდისად² (152v)

[თავი] ၇ၤ.

ვითარმედ რომელთა არსებად ერთ არს,

მათი მოქმედებადცა უეჭუმლად ერთ არს;

და რომელნი სწორ არიან მოქმედებით,

ესენი უეჭუმლად იგიცე არიან არსებით;

და ვითარმედ არა არს სხუაობად არსებისამ,

საღა იგივეობად იცნობებოდის მოქმედებისამ;

რამეთუ შეცვალებასა თანა არსებათასა

შეცვალებად ჯერ-არს მოქმედებისამცა,³ და წინაუკმო; რამეთუ აპოლინარი, ერთისა მეტყუმლი ქრისტეს ბუნებისად,

1 აშიაზე: „ვითარმედ ყოვლითურთობით ღმრთებად ერთისა გუამთა თჯს-თაგანისა მიერ ეზიარა კაცთა“.

2 იქვე, ტექსტშივე ერთვის: „და კუალად“ (152v)

3 მოქმედებათამცა A 64, A 848, S 401.

**ერთსა იტყუს მოქმედებასაცა,¹ რომელსა შინა
არს სახისათჯუსცა ღმრთისა**

კურილესი, პირველისა წიგნისაგან საუნჯისა (152v)
 მისივე, მეათოთხმეტისა თავისაგან მისვე წიგნისა (152v-153r)
 მისივე, მეორისა წიგნისაგან საუნჯისა (153r)
 ოცდამეათერთმეტისა (31) თავისაგან მისვე წიგნისა (153r)
 მისივე, „საუნჯისაგან“ (153r)
 ამბროსისი, ღრატიანეს მიმართისა მეორისა სიტყუსაგან (153r)
 ბასილისი, ევნომის მიმართ მესამისა თავისაგან (153r)
 მისივე, ევნომის მიმართისა სიტყუსაგან (153r)
 მისივე, პირველისა ფსალმუნისაგან (153r)
ნოსელისამ, მამაო ჩუენომსაგან (153r)
 სევერიანე ეპისკოპოსისა გაბალონელისამ, საკითხავისაგან სარ-
 წმუნოებითა შკულთათჯს თქემულისა, რომლისა დაწყე-
 ბად არს: არცა ერთი ვინ ანგელოზებრი ანუ კაცობრივი
 (153r)
 მისივე, ევსტათის მიმართისა ეპისტოლისაგან წმიდისა სამებისა-
 თჯს (153r-v)
 მისივე, დიოდორომ ძლითისა სიტყუსაგან (153v)

თავი 71.

ვითარმედ იგისე არს მოქმედებამ და მოქმედებული
 ვიეთებრმე; და თუ რას არს მოქმედებამ და რაოდენსახე
 მოქმედებამ და ვითარმედ განთჯებულებამ უქმს
 მრჩობლთავე ბუნებათა და ცნობამ თჯსთამ; და ვითარმედ
 ვნებად და მოქმედებადცა საკუთრად იწოდებიან ბუნებითნი;
 და ვითარმედ დგომამ და ჯდომამ და სლვამ — მოქმედებანი
 არიან; და ვითარმედ შემდგომად აღდგომისაცა დაცვულ არს
 ქრისტეს შორის კაცობრივისა ბუნებისა მოქმედებამ;
 რომელნი-ესე ოცდამეექუსესა თავსაცა შინა წერილ არიან

1 რამეთუ აპოლინარი, ერთისა მეტყუშლი ქრისტეს ბუნებისამ, ერთსა
 იტყუს მოქმედებასაცა — A 64, A 848, S 158.

ანასტასი ანტიოქელისამ, მოქმედებათა ძლითისა სიტყუსაგან (153v-154r)

ბასილისი, ევნუმის მიმართ მესამისა სიტყუსაგან (154r)

კურილესი, მეფისა თევდოსის მიმართ (154r)

მისივე, მისვე სიტყუსაგან (154r)

კურილესი, „საუნჯისაგან“, სიტყუსა ამისთვის, ვითარმედ: „მა-მასა უყუარს ძე“ (154r)

იუსტინიანე ფილოსოფოსისა და მოწამისამ, სამებისათვის თქუ-მულისა მესამისა წიგნისაგან მეათშულმეტისა თავისა (154r)

კურილესი, სამებისათვის თქუმულისაგან (154r)

მისივე, იოვანეს თარგმანებისაგან (154r)

ათანასისი, სარწმუნოებითთა შჯულთაგან¹ (154r-v)

ნოსელისამ, ევნუმის მიმართისა სიტყუსაგან² (154v)

იოვანე სკუთოპოლელისამ, სევეროზის ძლითისა სიტყუსაგან (154v-155r)

ნოსელისამ, სწავლითისა მის დიდისა საკითხავისაგან (155r)

მისივე, ევნუმის მიმართისაგან (155r)

ოქროპირისამ, თარგმანებისაგან საქმეთადსა მეორისა სიტყუსა (155r)

ათანასისი, კერპთა ძლით თქუმულისაგან (155r-v)

თავი 10.

ვითარმედ მოქმედებანი არიან დამნიშნველნი არსებათანი,
და სხუმის არა იცნობებიან ბუნებანი,

თუნიერ მოქმედებათა მიერ; და ვითარმედ

შეუძლებელ არს ყოფად ბუნებამ უმოქმედებომ;

და თუ ვითარ გულისქმა-იყოფების საღმრთომ მოქმედებამ

იოვანეს სახარებისაგან (იოვანე 2,11; 10,37-38) (155v)

იგნატი ღმერთშემოსილისამ ტარსელთადსა ეპისტოლისაგან (155v)

იუსტინე ფილოსოფოსისა და მოწამისამ, სამებისა ძლითისა

მესამისაგან წიგნისა, მეათშულმეტისა თავისამ (155v)

1 აშიაზე: „შეისწავე“.

2 სევერებშუა წარწერილია: „იხილე შუშნიერი და საქმარი ფრიად“.

ათანასისი, კერპთა ძლითისაგან (155v)
 ბასილისი, მარწვისა ძლითისაგან (155v)
 მისივე, მადლობისათუს თქუმულისაგან (155v)
 მისივე, სიტყვისა მისგან, რომლისა ზედაწარწერილი არს ესე,
 ვითარმედ: „ევნომის მადიდებლობისა მიმართ, რომელსა
 იწყო აეტიოს“ (155v)

**ნოსელისამ, ევსტათის მიმართისა ეპისტოლისაგან წმიდისა
 სამებისათუს (155v)**

ოქროპირისამ, კოლასელთა მიმართისაგან (155v-156r)
 დიონქსიოს არიოპაგელისამ, დიდისათუს და მცირისა; მისთუსვე,
 სხუსათუს, უმსგავსომსათუს, დგომისათუს, ძრვისათუს და
 სწორებისათუს თქუმულისაგან, თავი ც (156r)

თავი 77.

ვითარმედ ერთბამად ღმრთებრივ და კაცობრივ
 ერთი და მხოლოდ მოქმედებს ქრისტე
 მრჩობლისა მოქმედებისა მჩუშნებელი; და ვითარმედ
 არა უნაწილო იყვნეს თუსთა მოქმედებათაგან საღმრთონი
 ქორცნი მისნი; და მეტყუშლთა მიმართ, ვითარმედ:
 „კაცობრივთა მოქმედებათა მისთა არა მოქმედებად,
 არამედ საქმედ და ვნებად ჯერ-არს წოდებად“,
 რომელნი თავს-იდებენ აღსაარებასა ქრისტესთუს
 ორთა მოქმედებათასა; და ვითარმედ უამსა მისცემდა
 სიტყუად თუსთა ქორცთა, ქმნად და შემთხუმვად თუსთა,
 რაჟამს ენების მას და რაოდენ სთნდეს; და ვითარმედ
 საჩინოობასა შინა მყოფობისასა იქმნებოდეს ქმნილნი იგი
 და არა საოცრებით; და ვითარმედ ვითარცა ორღანოსა
 იქუმევ[ღ]¹ თუსთა ქორცთა სიტყუად მოქმედებათა მიმართ

ოქროპირისამ, სიტყვისაგან ორთა მწულილთა შემწირველისა
 ქურივისათუს თქუმულისა² (156r)

1 იქუმევ S 1463; იქუმევდა S 401.

2 ერთვის დიდი „სხოლიონი“.

ამბროსისი, ღრატიანეს მიმართ მეორისა სიტყუსაგან (156r)
გელასი ეპისკოპოსისა კესარიელისად, თარგმანებისაგან სასწავ-
ლელისა (156r)

კურილე იშტლმელისად, სახარებისა ძლითისაგან სიტყუსა, სადა-
იგი უფარმან წყალი შეცვალა ღჯნოდ (156r-v)

იოსტინე ფილოსოფოსისა და მოწამისად, წმიდისა სამებისათუს
თქუმულისაგან (156v)

[კურილესი]¹ (156v)

მისივე, თარგმანებისაგან ებრაელთადისა (156v)

მისივე, თევდოსი მეფისა მიმართ (156v)

ლეონ პრომთა პაპისად, ლეონის მიმართ მეფისა² (156v)

ევსტათი ეპისკოპოსისა ბივრიტელისად, ეპისტოლისათუს ნე-
ტარისა ლეონტისა სიტყუსგებად ტიმოთეს მიმართ ქ[ურ]-
ცინისა (156v-157r)

გრიგოლი ნოსელისად, ევნომის მიმართისაგან (157r)

დიონუსი ათინელთა ეპისკოპოსისად, გაიოსის მიმართისა მეოთხისა
ეპისტოლისაგან (157r)

მისივე, მისვე ეპისტოლისაგან (157r)

ათანასისი, აპოლინარის მიმართისაგან სიტყუსა (157r)

მისივე, მუნითვე (157r)

კურილესი, სიტყუსგებითისაგან აღწერილისა (157r)

მისივე, „საუნჯისაგან“ (157r)

ნოსელისად, ნეტარებათათუს მეოთხისა თავისაგან (157r-v)

კურილესი, თევდოსის მიმართ მეფისა (157v)

მისივე, სიტყუსა ამისთუს თქუმულისაგან: „აწ სული ჩემი შეშ-
ფოთებულ არს“ (157v)

მისივე, იოვანეს თავისა თარგმანებისაგან (157v)

ათანასისი, არიანოზთა მიმართისაგან (157v)

კურილესი, ებრაელთა ეპისტოლისაგან (157v)

ოქროპირისად, თომამსთუს მოციქულისა, და არიანოზთა დასა-

1 S 1463-ში სათაური წაშლილია.

2 ერთვის დიდი სქოლით.

მკობელად თქუმულისა სიტყვსაგან (157v)
 კურილესი, სხოლიონთაგან, მეათრვამეტისაგან (18) სხოლიონ-
 ნისა (157v)
 მისივე, თევდოსის მიმართ მეფისა (157v)
 გელასი ეპისკოპოსისა კესარიელისად, ეკლესიისა ძლითისა საქმი-
 თისა შენივთებისაგან (157v-158r)
 კურილესი, თევდოსის მიმართ (158r)
 იოსტინე ფილოსოფოს-მოწამისად¹ (158r)
 კურილესი² (158r)
ნოსელისად: [რომელი ყოვლითურთ გუეზიარა ჩუმშ თჯნიერ
 ხოლო ცოდვისა]³ (158r)
 კურილესი (158r)
 მისივე (158r)
 მისივე (158r)
 ათანასისი, კერპთა ძლითისაგან⁴ (158r)
 კურილე იშლმელისად⁵ (158r)

თავი 77.

დასამკობელად უმეცრებიანთა, რომელსა შინა არს
 მისთუსცა, ვითარმედ: „წარემატებოდა იესუ
 ჰასაკითა და სიბრძნითა“; და უხრწნელების
 მგონებელთათუს, და ვითარმედ ზარცემულებად და შიში
 და უმეცრებად ბუნებითნი და უბრალონი ვნებანი არიან
 კურილესი, პირველისა წიგნისაგან „საუნჯისა“ (158r)
 ბასილისი, ეგნომის მიმართთა შეგულისსიტყვათა მესამისა სი-
 ტყვასაგან⁶ (158r)

1 მინაწერი: „ესე ამასვე თავსა შინა წერილა ზემორე“.

2 მინაწერი: „ესეცა ამასვე თავსა შინა“.

3 მინაწერი: „ესე ოთხნივე წამებანი ნოსელისად, სამნი კურილესნი აქა ზემომთ დაწერილ არიან“.

4 მინაწერი: „ესე ათანასისი იე თავისა ბოლოსა“.

5 მინაწერი: „ხოლო ესე იე თავსა წერილ [არს]“.

6 ერთვის ვრცელი „ხხოლიონი“.

კურილესი, თარგმანებისაგან მატებს სახარებისა (158r-v)
ღმრთისმეტყუშლისამ, ძისათჯს მეორისა სიტყუსაგან¹ (158v)
კურილესი, სიტყუსა მისგან, რომლისა ზედაწარწერილი არს
ეს: „სიტყუსა ამისთჯს, ვითარმედ: ხოლო მეყსულად
შემდგომად ჭირისა მათ დღეთამსა მზე დაბნელდეს და
მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჯსი, და ვარსკულავ-
ნი გარდამოცკვენ ზეცით. ხოლო დღისა მისთჯს და ჟამისა
არავინ იცის“ (158v-159r)

ამფილოქე ეპისკოპოსისა იკონიელისამ, დღისა მისთჯს და ჟამისა
თქუმულისა პირველისა სიტყუსაგან, რამეთუ ორნი საკ-
ითხავნი აღუწერიან მას ამისთჯს² (159r)

ათანასისი, სიტყუსა მისთჯს: ხოლო იესუ წარემატებოდა სი-
ბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და
კაცთა (159r)

მისივე, არიანოზთა მიმართისა სიტყუსაგან (159r)

კურილესი, „საუნჯისაგან“, ოცდამეშქდისა (27) თავისა (159r)

ღმრთისმეტყუშლისამ, კლიდონის მიმართისაგან (159r-v)

კურილესი, მეორისა წიგნისაგან „საუნჯისა“³ (159v)

მისივე, თევდოსის მიმართისაგან (159v)

მისივე, თარგმანებისაგან იოვანეს თავისა მერვისა წიგნისა (159v)

1 აშიაზე: „შეისწავე“ და „უცხოო“.

2 მთარგმნელის სქოლით აშიაზე: „შეისწავე, ვითარმედ რომელი-იგი ჩუმნთა ქართულთა სახარებათა შინა ‘გარნა’ დაწერილ არს ამას ადგილსა: ‘არცა ძემან, გარნა მამამან’; და ჩუენ აქა ყოველგან ‘თჯინერი’ დაგაწერია ნაცვალად ‘გარნასასა’. ბერძულად ესრეთ არს, ვითარმედ: იმის რომელი-ესე ‘გარნასაცა’ მოასწავებს და ‘თჯინერსაცა’ და ‘არათუსაცა’, ვითარცა ცხად-ჰყოფენ აქა საწინააღმდეგო ესე სიტყუნი ესაიადნი და დავითისნი, ხოლო ერთისა არა-რომლისაგან გარე-შეიცვის ქართულისა სიტყუსა, ვითარმცა ერთი რამე დაპმართე, და სხვსა მიმართ არღა ჰქონდა კუალი განსავალი სიტყუსას“.

3 აქ აშიაზე ძალზე ვრცელი „სხოლიონია“ მიწერილი; ბოლოში სინგუ-
რით ერთვის: „[გარდა]ხედგნ იმერსა პირსა, სწერი[ა] სხოლიომ“; მართლაც,
სქოლით გრძელდება 160r-ზე.

თავი 76.

ვითარმედ იგივეობითა ბუნებისამთა უცვალებელობად
საცნაურ იქმნების ნებისამ; და კუალად
სწორებად ნებისამ მსგავსებასა წარმოადგენს ბუნებისასა;
და ვითარმედ საღა განყოფილებად იყოს ნებისამ,
არსებისამცა იცნობების ცვალებულებად; და კუალად
იგივეობითა ნებისამთა არსებისამ ცხად იქმნების
უცვალებელობად; რომელსა შინა არს, ვითარმედ უმსგავსოე-
ბასა არსებისასა ანუ განყოფილებასა ნებისასა
არიოზის- და ევნომის-თანანი მოიპოებდეს

ღმრთისმეტყუშლისამ მისათუს მეორის სიტყუსაგან (159v)
მისივე, ღმრთისმეტყუშლებისათუს პირველისა სიტყუსაგან (159v)
ბასილისი, ამფილოქეს მიმართო ოცდაათთა თავთა მერვისა
თავისაგან (159v-160r)

ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისაგან (160r)

მისივე, ევნომის ძლითისაგან (160r). ერთვის: „და შემდგომად
მრავლისა...“¹ (160r)

მისივე, აპოლინარის ძლითისაგან (160r)

ოქროპირისამ, თარგმანებისაგან პრომაქლთა ეპისტოლისა მეა-
თოთხმეტისა (14) სიტყუსა (160r)

თავი 77.

თუ ვითარ ჯერ-არს გულისქმისყოფად, ვითარმედ:
„მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარქედინ
სასუმელი ესე ჩემგან“, და ვითარმედ: „არა ვითარცა
მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“; და კუალად:
„ღმერთო, ღმერთო ჩემო, რამსათუს დამიტევე მე“,
რომელი-ესე ჯუარისა ზედა თქუა მაცხოვარმან

ათანასისი, განკორციელებისათუს უფლისა პირველისა სიტყუსა-
გან (160r)

1 აშიაზე: „შეისწავე“, „შუენიერი“.

კურილესი, მატთეს¹ თარგმანებისაგან (160r)

მისივე, თარგმანებისაგან მატთეს სახარებისა (160r)

მისივე, „საუნჯისაგან“ (160r-v)

მისივე, იოვანეს სახარებისაგან (160v)

ოქროპირისამ, სიტყუსა მისგან, ვითარმედ: „თანაარს მამისა არს
ძე“ (160v)

სევერიანე გაბალონელისამ, სიტყუათა ამათთუს თქუმულისაგან,
ვითარმედ: „მამაო, წარმეტედინ ჩემგან სასუმელი ესე“ (მათე
26,39; ლუკა 22,42) და ვითარმედ: „მიქსენ მე ამის უამის-
აგან“ (იოვანე 12,27) (160v)

ოქროპირისამ, ამისვე სიტყუსათუს (160v-161r)

მისივე, სამეოცდამეშვერისა (67) თავისაგან იოვანეს თარგმანე-
ბისა (161r)

თეოფილე ალექსანდრიელისამ, სინანულისა ძლითისაგან (161r)

ნოსელისამ, აპოლინარის ძლითისაგან, რომლისა დაწყებამ არს
ესე: „კეთილმცა იყო“ (161r-v). შეიცავს ციტირებას აპო-
ლინარის თხზულებიდან, და შესაბამის აღვილზე აშიაზე
მითითებულია: „ესე თუ აპოლინარისი არს ყოველივე,
ხოლო -მდე“. ასევე: „ნოსელისამ“, „აპოლინარისივე“,
„ნოსელისამ“² (161r-v)

თავი 7D.

საღმრთომსა ნებისათუს, და ვითარმედ აქუნდა
ბუნებითი ნებამ სულსა უფლისასა; და ვითარმედ
თანაშეარსული არს ჩუენი წინააღმრჩეველობითი ძალი;
და ყოვლისა ჭირისაგან თავისუფალი მიმართებამ
ნებათა მიმართ აქუს ყოველსა სიტყუერსა ბუნებასა

ნოსელი, სიტყუსებასა შინა ექუსთა დღეთასა³ (161v-162r)

1 გ~თეს S 1463.

2 აშიაზე მიწერილია ასომთავრულით: „იხილე ყოველი ესე ადგილი“ (161v).

3 მინაწერი აშიაზე: „შეისწავე, ვითარმედ მას საკითხავსა იტყუს ნოსე-
ლისასა, მამისა გიორგის თარგმნილსა, რომელ არტანუჯისა კრებამან გაკუშ-

მისივე, ევნომისთუს მეორისა სიტყუსაგან (162r)
 მისივე, პასექისა ძლითისა სიტყუსაგან (162r)
 მისივე, ლოცვისათუს მეოთხისა თავისაგან (162r)
 მეთოდი ეპისკოპოსისა და მოწამისამ, წინააღსადგომელად ორი-
 გენისსა თქუმულისაგან, რომლისაგან პანარიათა შინა წმი-
 დამან ეპიფანე წინავე დაწერა მეორესა შინა წიგნსა (162r)
 ოქროპირისა პრომაელთა ეპისტოლისაგან (162r)

თავი ხ.

თუ ვითარ ჯერ-არს გულის ქმისყოფამ საღმრთოესა
 გრიგოლის მიერ თუთოეულთა სიტყუათა შინა მისთა
 თქუმულსა, განდმრთობასა ოდესმე ნებისასა, ხოლო ოდესმე
 ყოვლისავე სიტყუსა და შეერთებულისა კაცებისასა; და
 ღმრთად და თანაღმრთად სახელისდებასა და ეგევითართასა;
 და ვითარმედ საღმრთოთა მოქმედებათა მიერ
 განმდიდრებულ იყვნეს საღმრთონი ქორცნი მისნი
 განუყოფელისათუს შეერთებისა სიტყუსა თანა;
 არა ქცეულნი ბუნებით, არცა განდგომილნი ბუნებითისაგან
 მოქმედებისა თუსისა; რომელსა შინა არიან
 წამებანიცა რახმე, რომელთა შემოიხუმენ წინააღმდგომნი

იუსტინე ფილოსოფოსისამ, სამებისათუს თქუმულისაგან (162r-v)
 კურილეს, ნესტორის მიმართისაგან მეორისა ეპისტოლისა (162v)
 მისივე, სუკენსონის მიმართისაგან (162v)
 მისივე, თევდორეს დასამკობელისაგან (162v)
 მისივე (162v)
 ანასტასი ანტიოქელისამ, სერგი ღრამმატიკოსისა მიმართისაგან
 (162v)
 მისივე (162v)

თა და ბერმან ეფთუმე გრძელმან, ჭ მე, დარღუშვისა მისისა კელ-ყოფამ, არა
 უწყია, თუ რომლითა სულითა იყადრა, რომელსა აქა წმიდამ იოვანე დამასკე-
 ლი განცხადებულად გრიგოლი ნოსელისად აღარებს მას ყოფად, და ყოვ-
 ლისა საყვრისა უმაღლეს შეასმენს უგუნურებასა განკუშთისა მისისა მკა-
 დრებელთასა (161v). იხ. [ჭელიძე 1984]

თეოდოტე ანკურიელისამ (162v-163r)

და კუალად მატოეს თავსა შინა იგივე (163r)

ნაკუერცხალისათვს (163r)

მისივე, იოვანეს თავისა მოსაქსენებელისაგან (163r)

დიონუსისი, გაიოსის მიმართისაგან (163r)

თეოდოტესი, ანკურიელისამ¹ (163r)

თავი ხC.

სახისათუს გუამოვნებითისა შეერთებისა, ვითარ-იგი
მოსცეს მამათა, და გარდამოცემად ზედამიწევნითი
და განცხადებული გუამის-შინახესათვს; ზოლო
პპოებ შეგავსთა ამათთა მეათშუდეტესაცა თავსა

კურილე ეპისკოპოსისა ალექსანდრიელისამ, ბრალობათა მიმართ
თეოდორიტესთა, სიტყუსმიცემად მეორისა შეჩუმნებისამ²
(163r-v)

ამბროსისი: აღვიარებთ უფალსა ჩუმნსა იქსუ ქრისტესა³ (163v).
ღმრთისმეტყუშლისამ კლიდონის მიმართ: ვინცა ვინ პირველ
დაბადებასა იტყუს კაცისასა⁴ (163v).

ათანასისი, ივბიმიანეს მიმართისაგან (163v)

იუსტინე ფილოსოფოს-მოწამისამ, სამებისა ძლითისა სიტყუსა-
გან⁵ (163v)

ინდიგტიონისაგან იუსტინესი (163v)

ირაკლიანესგან სოტირიხომს მიმართ (163v)

ანასტასი ანტიოქელისამ, მოქმედებათათვს თქუმულისა სიტყ-
უსაგან⁶ (163v-164r)

1 163r-ის აშიაზე ორი სქოლითა.

2 სვეტებშუა მინაწერი: „იხილე ესე ადგილი“.

3 წერია მხოლოდ ექსცერტის დასაწყისი, და იქვე ერთვის მინაწერი: „ესე ზემოთ“.

4 ესაა ექსცერტის დასაწყისი, და იქვე ერთვის მინაწერი: „ესე ორნივე მეშვედესა თავსა თავით-კერძო სწერიან ერთგან“.

5 აშიაზე: „შეისწავე; რამეთუ კერძოდ ბუნებისად ქალწულისა“.

6 აშიაზე: „იხილე ესე ადგილი“ (163v). სვეტებშუა: „შეისწავე; შუენიერი მაგალითი“ (164r).

წმიდისა მაქსიმესგან, თუ რამ არს გუამის-შინამ და რამ გუამი¹
(164r-v)

თავი ხყ.

ვითარმედ არა სიტყუათა შინა და ქმათა, არცა სახელთა,
არამედ საქმეთა შინა არს კეთილადმისახურებამ,
და ვ დ არა შიშუშლთა ლექსთამ ჯერ-არს განხილვამ,
არამედ გამოძიებამ გონებასა თქუმულთასა,
და ვითარმედ ნართაულობით განუსაზღვრებელად იქუმინეს
მრავალგზის მამათა ლექსნი რამე და სახელნი,
ვითარ-იგი წმიდათაგანმან კურილე ქმამ ბუნებისა
და გუამოვნებისამ უმსგავსოდ

დიონუსისი ტრფიალებითთაგან ქებათა (164v)

ნოსელისად: ამისთვის ვიტყუ, ვითარმედ გონებისა მიმართ საქ-
მარ არს ხედვამ წინადასხმულთა ამათ სარწმუნოებისა
სიტყუათამ, და არა ქმათა მიერ შეტყუშბამ (164v)

ღმრთისმეტყუშლისამ ჯმნისაგან (164v)

კურილესი, „საუნჯისაგან“, ამის ძლით: „რამსა მეტყუ მე სახ-
იერით“ (მათე 19,17; მარკ. 10,18; ლუკა 18,19) (164v)

მისვე წიგნისა ოცდამეორისა თავისაგან (164v)

მისივე, მეათხუთმეტისა (15) თავისაგან „საუნჯისა“ (164v)

ნოსელისად, მეათექუსმეტისა (16) თავისაგან „კაცისშესაქმისა“
(164v)

მისივე, სწავლითისა მის დიდისა საკითხავისაგან:² არამედ ამ-
ათდა მიმართ კუალად იგივე ვიკუმიოთ სიტყუამ...³ (164v)

ეგრეთვე შემდგომი ამისი, ნოსელისადვე, ევნომის მიმართისა-
გან: ხოლო ვნებისა ძლით შებრკოლებულთა მიმართ... (164v)

ათანასისი არიანოზთა ძლითისა მეოთხისა სიტყუსაგან (164v)

1 ექსცერპტის სათაური („თუ რამ არს გუამის-შინამ და რამ გუამი“)
მიწერილია სვეტებშუა. მინაწერი აშიაზე: „იხილე, წულილი ფრიად“.

2 სწავლითისა მის დიდისა საკითხავისაგან] საკათაკუმეველომსაგან A 64.

3 წერია მხოლოდ ექსცერპტის დასაწყისი, და იქვე ერთვის მინაწერი:
„ზემო დაწერილ არს მეათცამეტესა (13) თავსა ამათ წამებათასა“

ევფული ლუსტრელ[თა] ეპისკოპოსისამ, სიტყუსაგან, რომელი
თქუა ქარტისა მისთვის, რომელი მიეცა კეთილადმსახურსა
მეფესა ირაკლის ათანასის მიერ სევერიან მტყუვარეპისკო-
პოსისა (164v)

მისივე, შემდგომად მცირედისა¹ (165v-166r)

თავი ხI.

ვითარმედ არა დააყენა წმიდამან კურილე
ორთა ბუნებათა თქუმამ შემდგომად შეერთებისა,
არამედ თანამოსაჯულცა ექმნების აღმოსავლელთა
მართლიად აღმსაარებელთა ორთა ბუნებათასა;
და ვითარმედ ნესტორს არა ორთა ბუნებათა თქუმისათვის
აბრალებს, არამედ განწვალებისათვის და მიუთუალველობისა²
გუამოვნებითისა შეერთებისა და ღმრთისმშობელად
არა-აღსაარებისა ყოვლადწმიდისა ქალწულისა;
რომელსა შინა არიან წამებანიცა სევეროზისნი,
წარმომაჩინებელნი, ვითარმედ მრავალთა მამათაგანთა
უგიობელად იქუმიეს ქმამ ორთა ბუნებათამ

კურილლე, ევლოგის მიმართ ხუცისა (166r-v)

მისივე, მეორისა თავისაგან ბოროტადმზრახვალობათათვის ყოვ-
ლადუღმრთოვსა ნესტორისთა (166v)

მისივე, აკაგის მიმართისა ეპისტოლისაგან³ (166v-167v)

მისივე, უალერიანეს მიმართ ეპისკოპოსისა იკონიელისა (167v)

თავი ხII.

წინადადებანი რამე მეტყუშლთა მიმართ
ერთისა ბუნებისათა; და სიტყუსგებამ თავთა რათმე მიმართ

1 აშიაზე: „აქა დიონქსი“ (166r).

2 მიუთუალველობისა S 1463.

3 აშიაზე ერთვის ორი სქოლიო (166v, 167v); სვეტებშუა – მინაწერები: „აღმოსავლელთათვის“, „ნესტორისი“ (166v), „და აქაცა ანტიოქელთათვის ჰყოფს სიტყუსგებასა“ (167v); აშიაზე: „ანტიოქელთა ძლითი პასუხისმაცე-
მად“ (167r).

მათ მიერ მო[პოვ]ნებულთა; და თანამოსაჯულობაა
კრებისამ, რომელთათვის-იგი აპრალებენ მას სევერიანნი;
და ზედააღდგომაა მართლმადიდებელისამ
მეტყუელთა მიმართ ქრისტესთვის ერთისა ბუნებისათა

[...]¹ (167v-168r)

მატთეს სახარებისაგან (168r-v)

კურილე, წიგნისაგან სულითა მსახურებისა ძლით თქუმულისა
(168v)

მისივე, ესაიამს თარგმანებისაგან (168v)

ეპისტოლისაგან საკრებომასა, რომელი აღწერეს კონსტანტინ-
უპოლისა ასერგასისთა მამათა, დამასოს პრომისასა და
მისთანასა კრებასა (168v)

ხოლო ტიმოთე ქურცინმანცა ესრეთ თქუა ლეონტის მიმართ
მეფისა მის მიერ დაწერილსა მას შინა ეპისტოლესა, სე-
ლენტიარისა დიომიდეს მიერ (168v)

საზღვარი წმიდისა და მსოფლიოსა კრებისამ; წმიდამან და
დიდმან და მსოფლიომან კრებამან მადლითა ღმრთისამთა
და ბრძანებითა კეთილადმსახურთა და ქრისტესმოყუარეთა
მეფეთა უალენტინე და მარკიანე სწავლისთამთა,
შეკრებულმან დედაქალაქსა შინა ხალკიდონელთასა, სამთავ-
როსა ბითუნისასა, საწამებელსა შინა წმიდისა და კეთი-
ლადმდმდისა მოწამისა ევფიმიამსა განასაზღვრნა აქა მო-
ქსენებულნი ესე (168v-169r)

გამოთქუმად სარწმუნოებისამ წითა სამას ათრვამეტთა (318)
მამათამ (169r)²

1 უსათაურო; ამ მონაკვეთის ავტორი თავად კომპილაციის შემდგენელი
(წმ. იოანე დამასკელი) უნდა იყოს.

